www.24saati.ge
# 24 საათი
The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი 8 ოქტომბერი, 2009 წელი. №219 (2257) ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

**დისიდენტ ჟურნალისტს ორგანიზაცია "ნაშის" საშუალებით დევნიან**
A8



**სანამ იანს ექინა...**
A10



**ახალი ენერჯი, ძველი მიზანი**
A13



# თავდასხმა, რაც არ უნდა უწოდო მას, მაინც თავდასხმაა

დევიდ სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*



საქართველოში მომხდარი კონფლიქტის ფაქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომისიამ გასულ კვირას გამოაქვეყნა ევროკავშირის დავალების საფუძველზე მომზადებული ანგარიში, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ელოდნენ. ანგარიში დიდწილად ადასტურებს 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის არმიის შეჭრის ქართულ ვერსიას (რაც მოულოდნელობა არ ყოფილა), მაგრამ კონფლიქტის დაწყებაში მაინც ქართულ მხარეს ადანაშაულებს. ანგარიში სწრაფად ეძლევა დავიწყებას, თუმცა განხილვას მაინც იმსახურებს, რადგანაც 2008 წლის აგვისტოს თავდასხმის საკითხზე დასავლეთის დაბნეულობას ასახავს და მომავლისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

გასული წლის დეკემბერში ევროკავშირის საბჭოს მიერ დაარსებული მისიის შემადგენლობაში შესაბამისი სფეროს 19 ექსპერტი შევიდა, ხოლო მათი მუშაობის შესაფასებლად უფროს მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. ჩატარდა ვრცელი კვლევითი და საველე სამუშაოები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დავა კომპრომისულ დასკვნაზე

*ტალიავინის კომისიის დასკვნის გარშემო პოლემიკა გრძელდება. კომისიის გერმანელმა წევრმა აფხაზეთის დამოუკიდებლობას საჯაროდ დაუჭირა მხარი და აგვისტოს ომის რუსული ვერსია გაახმოვანა. ქართულმა მედიამ გუშინ გერმანელ ექსპერტს "გაზპრომისგან" ქრთამის აღებაშიც დასდო ბრალი. ევროკავშირის კომისიამ ფაქტების იგნორირება მოახდინა და აგრესორს დაუჭირა მხარი, - აცხადებს, თავის მხრივ, ავტორიტეტული ექსპერტი ანდრეი ილარიონოვი. იმავდროულად, ნატო-ს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ ევროკავშირის კომისიის დასკვნის გამოქვეყნება საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების პრესპექტივებს ვერ შეცვლის.*

დიმიტრი ავალიანი

ტალიავინის კომისიის წევრმა, საერთაშორისო სამართლის გერმანელმა სპეციალისტმა, უფლებათადამცველმა და ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ოტო ლუჰტერჰანდტმა აფხაზეთის დამოუკიდებლობას ღიად დაუჭირა მხარი. ექსპერტის ინტერვიუ სათაურით "აფხაზეთის აღიარება სიტუაციას განმუხტავს" ავსტრიულ გაზეთ "სტანდარდში" გამოქვეყნდა.

**"ევროპის ქვეყნების მიერ აფხაზეთის აღიარება ხელს შეუწყობდა არა რუსეთთან მის დაახლოებას, არამედ სიტუაციის განმუხტვას და შესაძლებელს გახდიდა აფხაზეთის საქართველოსთან დაახლოებას. სამხრეთ ოსეთში სიტუაცია უფრო რთულია, ვინაიდან იქ მოსახლეობას, ძირითადად, რუსეთთან გაერთიანება სურს,"** - აცხადებს ოტო ლუჰტერჰანდტი. მან არ გამორიცხა სხვა ქვეყნების მიერ უახლოეს მომავალში აფხაზეთის აღიარება.

გერმანელმა ექსპერტმა აგვისტოს ომის გაჩაღებაზე პასუხისმგებლობა თბილისს დააკისრა: **"მათ შორის ომი იმის გამოც დაიწყო, რომ დასავლეთმა პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ აიძულა, დაედო საიმედო შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ასეთი შეთანხმება რომ ყოფილიყო, თავდასხმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მისთვის ძნელი იქნებოდა, რადგან საერთაშორისო საზოგადოების თვალში აგრესორად გამოჩნდებოდა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბაგაფშის ორმაგი სტანდარტი

*მაშინ, როცა ბაგაფშის ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთის სტატუსზე მსჯელობას სთხოვს და ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში თავისი დელეგაციის ცალკე გამოყოფა თუ გაფართოება სურს, ამავდროულად ყველაფერს აკეთებს, რათა რუსეთის ფედერაციამ მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისედაც გამყარებული პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცოს. კერძოდ, "რია ნოვოსტის" ცნობით, მუშავდება პროექტი აფხაზეთის საჰაერო სივრცეში ავიამიმოსვლის მომსახურების ფუნქციების რუსეთისთვის გადასცემის შესახებ. გარდა ამისა, სოხუმის ე.წ. პასპორტის მოქალაქეობის გრაფაში ჩაიწერება - რუსეთი.*

დათო გამისონია

გუშინ აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ევროკავშირის სადამკვირებლო მისიისთვის შესვლის უფლების მიცემის სანაცვლოდ ულტიმატუმი დააყენა. მისი თქმით, დამკვირვებლებს მხოლოდ მას შემდეგ დაუშვებენ, რაც ევროპის ქვეყნები აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ. ამავე დროს, ბაგაფშის ხელისუფლებამ ჟენევაში საქართველოს კრიზისის საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებებში აფხაზეთის სტატუსის განხილვა მოითხოვა. ჟენევაში გაერო-ს, ევროკავშირის და ეუთო-ს ეგიდით მიმდინარე შეხვედრებში კი საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს წარმომადგენლები მონაწილეობენ, ხოლო აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ხელისუფლებების წარმომადგენლები დებატებში მხოლოდ რუსეთის დელეგაციის ფარგლებში არიან ჩართულნი. ამ საკითხზე ბაგაფშის ხელისუფლების წევრები პერიოდულად გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რადგან ჟენევაში ყველა მონაწილე ერთმანეთს ე.წ. ინდივიდუალურ ფორმატში ხვდება, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ შეხვედრები მომლაპარაკებელი სუბიექტების იდენტიფიკაციის გარეშე გაიმართოს. ამგვარი ფორმატის წყალობით, თავიდან იქნა აცილებული მონაწილე მხარეებს შორის სტატუსის გამო უთანხმოება. სამუშაო ჯგუფების მოლაპარაკებებში, მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოკუპირებული ტერიტორიების ქართული თემის წარმომადგენლები.

გაგრძელება A2 გვერდზე

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ჟირინოვსკი ევროსაბჭოში ქართული დელეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევას მოითხოვს

რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი ევროსაბჭოში ქართული დელეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის წინადადებით პარლამენტის ქვედა პალატას გუშინ მიმართა. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი რუსეთის დელეგაციამ ევროსაბჭოს ზამთრის სესიაზე უნდა დააყენოს. "ეს იქნება პასუხი საქართველოს ქმედებებზე. არსებობს ევროკავშირის დასკვნა, სადაც საქართველო აგრესორადაა აღიარებული. საქართველომ სექტემბრის სესიაზე რუსეთისთვის ხმის უფლების შეჩერება მოითხოვა, მაგრამ ეს რეზოლუცია არ მიიღეს, რადგან ბევრი არგუმენტი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ იყო. ახლა კი, ევროკავშირის დასკვნაზე დაყრდნობით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ჩვენის მხრივ გამოვიდეთ ინიციატივით, არ ვაღიაროთ საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება", - განაცხადა ჟირინოვსკიმ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წევრის გიორგი თარგამაძის შეფასებით, ჟირინოვსკის წინადადებას პერსპექტივა არ აქვს . "არანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ჟირინოვსკის წინადადების განხილვა თუნდაც ევროპის საბჭოს რომელიმე კომიტეტში სერიოზულ დონეზე მოხდეს", - აცხადებს თარგამაძე. ქართველი დეპუტატის თქმით, რუსეთის დელეგაციას, ისე როგორც სხვა დელეგაციებს, აქვს უფლება ორგანიზაციაში საკითხი დასვას.

"მაგრამ რამდენად ექნება პერსპექტივა ჟირინოვსკის ამ ინიციატივას, ამაზე მსჯელობა სერიოზული ანალიზის ფარგლებს სცდება", - განმარტავს თარგამაძე.

ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წევრი აკაკი მინაშვილი რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერის ინიციატივის კომენტირებისას აცხადებს, რომ მსგავსი იდეების გახმოვანება მხოლოდ კრემლის ინტერესების ნაწილია. "ასეთი განცხადებების საფუძველს ტალიავინის დასკვნა არ იძლევა. პირიქით, მასში ნათქვამია, რომ აგრესორი რუსეთია და აქედან გამომდინარე, ერთადერთი ქვეყანა, რომლის მიმართაც სანქციები უნდა დაწესდეს სწორედ ისაა", - მიიჩნევს ქართველი დეპუტატი.

დავით დარჩიაშვილის თქმით კი, რომელიც ასევე ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წევრია, რუსეთს ჟირინოვსკის წინადადების გატანის შანსი პრაქტიკულად არ აქვს. "ძალიან მცირე ალბათობაა, რომ რუსეთს ამ მხრივ რამე გამოუვიდეს. მეტიც, ვფიქრობ, რომ გამორიცხულიც არის, ეს აზრი სერიოზულად ვინმემ გაითვალისწინოს და გაიზიაროს", - აცხადებს დარჩიაშვილი. მსგავსი საკითხი ევროსაბჭოში ქართულმა მხარემ უკვე დააყენა, თუმცა რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილების შეჩერებას დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.

## ახალგორის ცენტრში ხეთაგუროვის ძეგლი დაიდგმება

სააგენტო "რეს"-ის ცნობით ახალგორის ცენტრში ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი დაიდგმება. ახალგორის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციის უფორსის ალან ჯუსოევის განმარტებით, ძეგლის დადგმა ხეთაგუროვის დაბადებიდან 150-ე წლისთავს ეძღვნება. "სამხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტროს ძალებით ძეგლი ლენინგორის კულტურის პარკში დაიდგმება. ლენინგორის რაიონის მოსახლეობისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ისინი დიდი ხნის მანძილზე სამხრეთ ოსეთისგან და ოსური კულტურისგან მოწყვეტილები იყვნენ. ასეთი აქციების მეშვეობით წინაპრების კულტურული მემკვიდრეობა რაიონში დაბრუნდება, ხალხი ოსურ კულტურასთან კავშირს იგრძნობს. ამასთან, ეს ესთეტიკური თვალსაზრისით ძალიან ლამაზია", - განაცხადა ჯუსოევმა. მისივე თქმით, ახალგორის რაიონში ალექსანდრე პუშკინისა და შოთა რუსთაველის ძეგლებსაც .დადგამენ.

## წყნეთის აგარაკზე გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა

"დემოკრატიული მოძრაობის - ერთიანი საქართველოს" ლიდერის ნინო ბურჯანაძის წყნეთის აგარაკზე გამოცხადებული აუქციონი შესაბამისი განაცხადების არარსებობის გამო ჩაიშალა. აღსანიშნავია, რომ მეორე აუქციონზე წყნეთის აგარაკის საწყისი ფასი საგრძნობლად დაიკლებს. ხოლო, თუ ქონება აუქციონზე მეორედაც არ გაიყიდება, ის შესაძლოა, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდეს. გუშინდელ აუქციონზე აგარაკის საწყისი ფასი 11 494 249 (6,76 მლნ დოლარი) ლარს შეადგენდა.

ცნობისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნინო ბურჯანაძის წყნეთში მდებარე დაყადაღებული ქონების რეალიზაციის თაობაზე შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის შუამდგომლობა რამდენიმე კვირის წინ დააკმაყოფილა.

ბურჯანაძეს ე.წ. 1-ლარიანი აგარაკი პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გასული წლის 8 მაისს გამოცემული განკარგულების თანახმად გადაეცა "საქართველოს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის".

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის

**ალექსანდრე ბასილაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ბაგაფშის ორმაგი სტანდარტი

პირველი გვერდიდან

კერძოდ, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის წევრები მონაწილეობენ. საერთაშორისო ფორმატში შექმნილი სტატუს კვოს შეცვლა ქართულ მხარეს არარეალურად მიაჩნია. "24 საათი" ესაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვს: **"წინასწარ რთულია იმის განჭვრეტა, რამდენად რეალურია მარიონეტული ხელისუფლების წინადადება და რამდენად მისაღები იქნება ჟენევის მოლაპარაკებების მოდერატორებისთვის."** მიუხედავად ამისა, მან აღნიშნა, რომ **"ცნობილია, როგორც არიან ჟენევაში მარიონეტული რეჟიმები წარმოდგენილნი. არავითარ შემთხვევაში საუბარი არ არის მათ დამოუკიდებელ მხარედ გამოყოფაზე. დანარჩენი მოლაპარაკების საგანია."** ნალბანდოვის თქმით, ქართული მხარე ამას განიხილავს კიდევ ერთ მცდელობად, რომ რაღაცნაირად მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის ლეგიტიმაცია. მისი აზრით, **"მარიონეტული ხელისუფლების განცხადება მორიგი ფანდია."** რაც შეეხება ჟენევის პროცესთან მიმართებით ბაგაფშის ხელისუფლების მეორე წინადადებას, ნალბანდოვის თქმით, **"ცხადია, ქართული მხარე არ აღიარებს მარიონეტულ რეჟიმებს, არა ერთხელ განმიცხადებია და ახლაც შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენთვის ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს ერთადერთი კონფლიქტი, კერძოდ - რუსეთსა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიის საკითხზე. შესაბამისად, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედებენ მარიონეტული რეჟიმები, ხოლო ეფექტურ კონტროლს ახორციელებს რუსეთის ფედერაცია."** სწორედ ამიტომ მინისტრის მოადგილეს მიაჩნია, რომ ბაგაფშის ხელისუფლების განცხადება ყოველგვარ ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია. ამასთანავე, ნალბანდოვის თქმით, ევროპის კავშირი მეთოდურად ორივე ოკუპირებულ ტერიტორიასთან მიმართებით აწარმოებს არაღიარების პოლიტიკას. გარდა ამისა, ნალბანდოვმა ისაუბრა განცხადების კონკრეტული დანიშნულების შესახებ. **"მარიონეტული ხელისუფლების მოთხოვნები სხვა არაფერია, თუ არა გაუთვითცნობიერებელ პუბლიკაზე გათვლილი პროპაგანდა, თან ძალიან ცუდად დაგეგმილი,"** - განაცხადა ალექსანდრე ნალბანდოვმა.

**"პასპორტიზაციის ახალი ტალღა"**

გუშინ ბაგაფშის ხელისუფლება, მოთხოვნების თუ სურვილების გარდა, კონკრეტული გადაწყვეტილების შესახებაც საუბრობდა. ამჯერად, შეთანხმება რუსეთის ფედერაციას ეხება, კერძოდ, აფხაზური ე.წ. პასპორტების მფლობელებს რუსეთის ფედერაციის საზღვრის გადაკვეთისას შეზღუდვები მოეხსნებათ, რადგან აფხაზეთის ე.წ. პასპორტში მოქალაქეობის გრაფაში რუსეთის ფედერაცია ჩაიწერება. სერგეი შამბას თქმით, **"ჩვენ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. შეთანხმების თანახმად, რუსებს აფხაზეთში ჩამოსვლა ვიზის გარეშე შეუძლიათ. და პირიქით - საზღვრის გადალახვას შესძლებს ყველა, ვისაც აქვს აფხაზეთის პასპორტი. ეს ცვლილება პარლამენტში დამტკიცების შემდეგ შევა ძალაში. ცნობილია, რომ დღევანდელი პასპორტით ეს შეუძლებელია, მით უმეტეს არსებობს პასპორტების ხარისხის პრობლემა. შეთანხმება ამ საკითხზეც მიღწეულია და მალე რუსეთის ფედერაციაში ახალი ხარისხიანი პასპორტები დამზადდება."**

"24 საათი" საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკს დაუკავშირდა. მან ყურადღება გაამახვილა ინიციატივის რეალიზების შემდეგ მოსალოდნელ პროცესებზე. კანდელაკის თქმით, **"რუსეთმა ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა და შესაბამისად, მათი პასპორტებიც აღიარა. ამავე დროს, პასპორტის აღებას გალის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს დიდი ხნის განმავლობაში აიძულებდნენ. ახლა კი ამ ადამიანების ნების საწინააღმდეგოდ პასპორტიზაციის, ასე ვთქვათ, ახალი ტალღა აგორდა."** კანდელაკის აზრით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნაში პასპორტიზაციის პროცესი (რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა) აბსოლუტურად უკანონოდ და საერთაშორისო სამართლის დარღვევად არის მიჩნეული. თუმცა, ტალიავინის ანგარიშში მოყვანილი ფაქტები, რა თქმა უნდა, არ ამსუბუქებს ოკუპირებული ტერიტორიის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს - მათ მარიონეტული რეჟიმის პასპორტის აღება უწევთ. კანდელაკის თქმით, **"მიმდინარე პასპორტიზაციის პირობებში გალიის რაიონის მოსახლეობას, სამწუხაროდ, ბევრი მანევრის საშუალება არ აქვს. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით ამ საკითხის დაყენებას სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე და ჩვენს მოკავშირეებთან, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივ ურთიერთობებში, რათა მათი ყოფა მაქსიმალურად შემსუბუქდეს."**

# საგამოძიებო კომისიების ბუმი პარლამენტში

*საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისიების შექმნის მსურველთა რიგი დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მცდელობები, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება, საპარლამენტო ოპოზიცია ფარ-ხმალს არ ყრის და ინიციატივას ინიციატივაზე აყენებს. უმრავლესობის გულგრილობის ფონზე კი, საგამოძიებო კომისიების ყოფნა-არყოფნის გამო დაპირისპირება ისევ ოპოზიციის შიგნით მწვავდება.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო ვიზიტის ფონზე ერთგვარად "ჩაიკარგა" დიმიტრი ლორთქიფანიძესა და ჯონდი ბაღათურიას შორის დაპირისპირება, რომელიც კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა და მანდატურის ჩარევით დასრულდა. საქმე კი სწორედ საგამოძიებო კომისიის შექმნას ეხებოდა - შეწყალების პროცედურების გამოსაძიებლად. ბაღათურიამ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა: **" ოპოზიცია ისე გადაეკიდა ლაშა რეხვიაშვილის საქმეს, რომ შეიძლება მათ ხელისუფლება შეუბრუნდეთ და საერთოდ უარი თქვას შეწყალების პროცედურაზე."**

პარლამენტმა, 53 ხმით შვიდის წინააღმდეგ, მხარი არ დაუჭირა ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" ინიციატივას. ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივის თანახმად, დროებით საგამოძიებო კომისიას პატიმრების კანონდარღვევით შეწყალების პრაქტიკა და პოლიციელის მკვლელობის ფაქტზე ბრალდებულ რატი რეხვიაშვილის შეწყალების საქმე უნდა შეესწავლა. რატი რეხვიაშვილმა 2009 წლის სექტემბერში თბილისში, უზნაძის ქუჩაზე ერთი პოლიციელი მოკლა და ორი მძიმედ დაჭრა. დეპუტატის განცხადებით, აღნიშნული პიროვნება საქართველოს პრეზიდენტმა დისკრეციული უფლებამოსილებით, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეიწყალა. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, კომისიას უნდა გაერკვია, თუ რომელმა უწყებამ წარუდგინა პრეზიდენტს შესაწყალებელ პატიმართა სია. ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" ინიციატივის შესახებ ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ შეწყალების კომისიის მუშაობაში სხვადასხვა უწყებების შესაძლო ჩარევის საკითხის შესასწავლად, დროებითი კომისიის შექმნა არ არის აუცილებელი. მისი თქმით, საქმეში გასარკვევად სრულიად საკმარისია, საკითხი მთავარმა პროკურორმა შეისწავლოს. მან პოლიტიკოსებს მოუწოდა, არ გამოიყენონ ეს საკითხი პოლიტიკური სპეკულირებისთვის: **"გთხოვთ, შეწყვიტოთ ადამიანების ტრაგედიების პოლიტიკური მიზნებისთვის და პოლიტიკური მოტივებისთვის გამოყენება. დავსხდეთ ერთად და გადავწყვიტოთ, როგორ შეიძლება შეიცვალოს მიდგომები შეწყალების პროცესთან მიმართებაში."**

მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივის ჩაგდების საქმეში ბაღათურიას წვლილი, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო იყო, ბაღათურიას პოზიცია გუშინ უკვე ცაგარეიშვილმაც გააკრიტიკა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"ბაღათურია ვერც ერთ ინიციატივაზე გია ცაგარეიშვილის ხელმოწერას და მხარდაჭერას ველარ ელირსება."** თუმცა მის მიერ სპეციალურად გამართული ბრიფინგის თემა უკვე სხვა - ასევე საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა გახლდათ. გია ცაგარეიშვილი კოლეგებს გახმაურებული მკვლელობების გამოსაძიებლად პარლამენტში კომისიის შექმნაზე პოზიციის დაფიქსირებას სთხოვს. დეპუტატებმა ათი დღის წინ დაჩი ცაგურიასგან, ირაკლი კორძაიასა და ჯაბა ჯიშკარიანისგან მიმართვა მიიღეს, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მომხდარ გახმაურებული საქმეების გამო პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ და დეპუტატებს მოწოდების სიმაღლეზე დგომისკენ მოუწოდებენ. დეპუტატი გია ცაგარეიშვილი საკითხის პროცედურულ დაწყებას გეგმავს და ამ საკითხში ოპოზიციური ფრაქციების მხარდაჭერის იმედი აქვს. **"ეს ის საკითხია, რომელიც პარლამენტის თითოეული წევრის ლუსტრირებას მოახდენს,"** - განაცხადა გუშინ ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ, რომლის შექმნასაც ცაგურია, კორძაია და ჯიშკარიანი ითხოვენ, ზურაბ ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვის, ამირან რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, გიორგი გამცემლიძის, როინ შავაძის, გურამ შარაძის, ევგენი და ომეხ აფრასიძეების და სხვათა გახმაურებული საქმეები უნდა შეისწავლოს.

პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის ინიცირების შესაძლებლობა საპარლამენტო ფრაქციას ან დეპუტატთა 1/4-ს ეძლევა. კენჭისყრაზე დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად კი დამსწრეთა უმრავლსობის მხარდაჭერაა საჭირო.

" ქრისტიან-დემოკრატთა " ფრაქციამ გუშინვე გამოთქვა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას და ინიცირებაც მოახდინოს. თუმცა ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე ფრაქციის მსგავს მცდელობას, როგორც ცნობილია, შედეგი არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ, პარლამენტში შედარებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი კიდევ ერთი ინიციატივის - ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების დამდგენი კომისიის შექმნის წინადადების მიმართ. ეს ინიციტივა, სხვათა შორის, სწორედ შიდაოპოზიციური დაპირისპირების გმირ ჯონდი ბაღათურიას ეკუთვნის. გუშინვე გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ბაღათურიამ განაცხადა, რომ **"კომისია ისტორიული სამართლიანობისა და ობიექტურობის დადგენის მიზნით უნდა შეიქმნას."** დეპუტატის მტკიცებით, იგი გამსახურდიას თანაკლასელებსა და თანამებრძოლებს შეხვდა, რომლებმაც ინიციატივა მოიწონეს და კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მას მხოლოდ კომისიის შექმნა სურს და არა - მისი თავმჯდომარეობა. საპარლამენტო კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, კომისიის შექმნას და მის თავმჯდომარეობას ხელისუფლება, პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ, ზვიად გამსახურდიას შვილს, ოპოზიციონერ კონსტანტინე გამსახურდიას სთავაზობდა. თუმცა ეს ინფორმაცია, ცხადია, არ არის დადასტურებული. სამაგიეროდ ფაქტია, რომ ჯონდი ბაღათურიას ინიციატივა პრაქტიკულად ერთადერთია, რომელსაც უმრავლესობიდან მხარდამჭერები ღიად გამოუჩნდნენ. ბაღათურიას მიერ გაჟღერებული წინადადება "საინტერესოდ" შეაფასა თავად პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, რომელმაც ბაღათურიას მოუწოდა, აღნიშნული ინიციატივისთვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული მსვლელობა მიეცა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ეკა ხერხეულიძემ კი მედიასთან საუბარში პირდაპირ განაცხადა, რომ ამ ინიციატივას მხარს უჭერს. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ამ საკითხზე, ჯერჯერობით, უმრავლესობაში კონსულტაციები არ გამართულა.

და ბოლოს - ინიციატივების სიმრავლის მიუხედავად, ჯერჯერობით არსებულ პარლამენტში საგამოძიებო კომისია არც ერთ თემაზე არ შექმნილა. არსებობს დროებითი კომისიები: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი და, როგორც ცნობილია, უკვე დაასრულა მუშაობა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ხელყოფის მიზნით განხორციელებული აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ. ასე რომ, რეალური საგამოძიებო კომისიის შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკის ათვისება ასეთი კომისიის შექმნის შემთხვევაში ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტარებს პრაქტიკულად თავიდან მოუწევთ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# დავა კომპრომისულ დასკვნაზე

პირველი გვერდიდან

აგვისტოს ომამდე სწორედ ამგვარი შეთანხმების ხელმოწერის მოთხოვნას მოსკოვი თბილისს ულტიმატუმის ფორმით უყენებდა. თუმცა, როდესაც 2008 წლის ივლისში საქართველომ თანხმობა განაცხადა "შტაინმაიერის გეგმაზე", რომლის პირველი პუნქტი სწორედ ძალის გამოუყენებლობას გულისხმობდა, მოსკოვმა და სოხუმმა ამ გეგმაზე უარი ერთდროულად თქვეს.

ლუჰტერჰანდტის ინტერვიუში ფაქტების კიდევ ერთი დამახინჯება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მოლაპარაკებებს შეეხება. პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ასეთი მოლაპარაკება ვერ შედგა, ექსპერტი არა კრემლსა და მარიონტულ რეჟიმებს, არამედ თბილისს აკისრებს, მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებზე უარი, მოსკოვის წაქეზებით, არაერთხელ და დემონსტრაციულად სწორედ სეპარატისტებმა განაცხადეს.

ოტო ლუჰტერჰანდტი მოსკოვის პოლიტიკის გამართლებას შეეცადა და ისიც აღნიშნა, რომ ომამდე რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ინტერესი არ ჰქონია, **"ვინაიდან არ სურდა გავლენის დაკარგვა საქარათველოს შიდა პოლიტიკაზე".** აქაც გერმანელი ექსპერტის შეფასება სადავოდ გამოიყურება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ სეპარატისტულ რეჟიმებთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარების შესახებ ბრძანებულებას რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში მოაწერა ხელი. აფხაზეთში მაშინვე დაიწყო სარკინიგზო და სადესანტო ჯარების შეყვანა, რაც სწორედ იმას მიუთითებდა, რომ მოსკოვი სეპარატისტულ რეგიონებში საქართველოს სუვერენიტეტს აღარ ცნობდა.

კომისიის გერმანელი წევრი ასევე სრულად იზიარებს რუსეთის ოფიციალურ ვერსიას ომის დაწყების შესახებ და აცხადებს, რომ 8 აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე რუსული რეგულარული ჯარის შემოსვლა არ დასტურდება. **"კომისიამ ყურადღებით შეისწავლა, თუ რა ხდებოდა ცხინვალზე თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე.** (რუსული ძალების შემოსვლის) **უდავო და მყარი მტკიცებულებები ვერ აღმოვაჩინეთ,"** - აღნიშნა ინტერვიუში ლუჰტერჰანდტმა.

ავტორიტეტული რუსი ექსპერტი, პრეზიდენტ პუტინის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი ევროპული კომისიის მიერ სწორედ 2008 წლის 7 აგვისტომდე რუსული აგრესის ფაქტების იგნორირებით არის აღშფოთებული. მისი თქმით, საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყებამდე რუსული რეგულარული ნაწილების, ასევე დაქირავებულებისა და მოხალისეების შემოსვლის უამრავი დადასტურება არსებობს, მათ შორის რუსულ და ოსურ მედიაში, მოვლენების მონაწილეთა თუ ოფიციალური პირთა ინტერვიუებში.

**"კომისიის მოხსენება ადასტურებს, რომ "რუსეთის ჯარები და დაქირავებულები რუსეთის მიერ საბრძოლო მოქმედებების ოფიციალურ გამოცხადებამდე იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე", თუმცა აკეთებს მოულოდნელ დასკვნას, რომ ამ მტკიცებულებებს საკმარისად არ მიიჩნევს,"** - აცხადებს ილარიონოვი.

გარდა ამისა, მისი თქმით, დასკვნაში აღნიშნულია, რომ არ არსებობს 8 აგვისტომდე რუსული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე "დიდი რაოდენობით შემოსვლის" მტკიცებულებები. **"მაგრამ, რას ნიშნავს ჯარების დიდი ან მცირე რაოდენობა? ჯარების რა რაოდენობამ უნდა გადაკვეთოს აღიარებული ქვეყნის საზღვარი, რომ ეს ევროკავშირის კომისიამ საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის "საკმარისად" მიიჩნიოს? ეს არასამართლებრივი მიდგომისა და სამართლის აბუჩად აგდების ნათელი მაგალითია,"** - მიიჩნევს ექსპერტი.

ილარიონოვის თქმით, ევროკავშირის კომისიამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მისია და ომის რეალური მიზეზები ვერ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ცხრა თვის განმავლობაში მუშაობდა და დიდი თანხები დახარჯა. **"ყველაზე მთავარის შესახებ - ომის მიზეზებზე - მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მხოლოდ ერთ ადგილას არის ნახსენები "რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ომის მიზეზების გაანალიზებისას უნდა გავითვალისწინოთ,"** - აღნიშნავს ექსპერტი. მისი აზრით, ევროკავშირის კომისიის დასკვნა **"ამართლებს აგრესიას და აგრესორს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს აგრესიის განახლებისთვის როგორც ამ რეგიონში, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებში".**

კომისიის წევრ ოტო ლუჰტერჰანდტის ინტერვიუ მოწმობს, რომ დასკვნის მომზადებაში აშკარად აქტიურად მონაწილეობდნენ პრორუსული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ექსპერტები, რასაც ოფიციალური თბილისის წარმომადგენლები დასკვნის გამოქვეყნებამდე დიდი ხნით ადრე აცხადებდნენ. კომისიის შიგნით ამგვარი პლურალიზმი კი იმას მიანიშნებს, რომ საბოლოო დასკვნა კომისიის წევრების განსხვავებულ მოსაზრებებს შორის კომპრომისის შედეგი გახდა და არა ყოველმხრივი ობიექტური ანალიზისა. საბოლოოდ კომისიამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არალეგიტიმურად ცნო, სანაცვლოდ კი, როგორც ჩანს, დასკვნაში ლუჰტერჰანდტისა და მისი თანამოაზრეების შეფასებების ნაწილი გაითვალისწინა.

ევროკავშირის კომისიის დასკვნის გამოქვეყნება საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პრესპექტივებს ვერ შეცვლის. ამის შესახებ გუშინ ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა. მისი თქმით, **"საქართველო და უკრაინა მომავალში ნატო-ს წევრები გახდებიან, როგორც ეს ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე გადაწყდა".** მან კონფლიქტის ყველა მხარეს მოუწოდა, თავი შეიკავონ რეგიონში დაძაბულობის გამომწვევი ნაბიჯებისგან.

# რადიო "თავისუფლება" აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში მაუწყებლობისთვის ემზადება

რუსული სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, რადიო "თავისუფლება - რადიო თავისუფალი ევროპა" აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მაუწყებლობას 2 ნოემბერს დაიწყებს. სააგენტოს ინფორმაციით, გადაცემებს რადიოსადგურის პრაღის ოფისში ქართული და რუსული რედაქციები ერთობლივი ძალებით მოამზადებენ. "იტარ ტასი" ამ ცნობას რადიოსადგურის ვაშინგტონის წარმომადგენლის, მარტინს ზვენერსის ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს. ცენტრალური ოფისის გადაწყვეტილებით, ეთერში ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა გავა, რომელიც რეგიონში სხვადასხვა მხარის შეხედულებების დაახლოებისკენ იქნება მიმართული.

რუსული სააგენტოს ცნობით, პრაღის ერთ-ერთი საინფორმაციო რესურსი იტყობინებოდა, რომ ამ პროგრამას რადიო "თავისუფლების" ერთ-ერთი თანამშრომელი ანდრეი ბაბიცკი უხელმძღვანელებს.

მარტინს ზვენერსი ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ პროგრამასთან კავშირი აქვს ანდრეი ბაბიცკის, მაგრამ ვინ უხელმძღვანელებს პროექტს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

თუმცა, რადიო "თავისუფლების" თბილისის ბიუროს ხელმძღვანელ მარინა ვაშაყმაძის განცხადებით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში "რადიო თავისუფლების" მაუწყებლობის დაწყება ჯერ შემუშავების პროცესშია.

"ჩვენ მართლაც ვამზადებთ ამ პროექტს, თუმცა ჯერ დეტალები არ გვაქვს განსაზღვრული. ამ დროისთვის ყველა მიმართულებით მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დეტალური კომენტარის გაკეთება გამიჭირდება," - აღნიშნა ვაშაყმაძემ.

მან გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსული საინფორმაციო წყაროებით აღნიშნული ინფორმაცია ძალიან ადრე გავრცელდა. "ჩვენ ორიოდე კვირაში გავაკეთებთ საგანგებო განცხადებას, სადაც ყველა ჩვენი გეგმა და დეტალი გახდება ცნობილი," - განმარტა რადიო "თავისუფლების" თბილისის ბიუროს ხელმძღვანელმა

"რადიო თავისუფლების" აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მაუწყებლობის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დეტალების დაკონკრეტება ამ ეტაპზე უჭირთ.

"რადიო თავისუფლება არ არის მაუწყებელი, ის არ ფლობს ლიცენზიას, ამზადებს პროდუქციას და უშვებს რომელიმე ლიცენზირებული მაუწყებლის ეთერში. შესაბამისად, თუ ამ პროცედურას განახორციელებს ლიცენზირებული მაუწყებლის ეთერით, რომელსაც აქვს მთელს საქართველოზე მაუწყებლობის ლიცენზია, არანაირი პრობლემა არ არის. ჯერ არ გასულა "რადიო თავისუფლების" გადაცემები ეთერში, ამიტომ დაველოდოთ და ვნახოთ, ვისი ეთერით მოხდება მაუწყებლობა", - აცხადებენ კომუნიკაციების კომისიაში.

ევროპასთან ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის, დავით დარჩიაშვილის განცხადებით. რადიო "თავისუფლების" სეპარატისტთა ტერიტორიებზე მაუწყებლობასთან დაკავშირებით ქართული მხარე "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის შესაბამისად იხელმძღვანელებს. მისი შეფასებით, დე ფაქტო აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე "თავისუფლების" მაუწყებლობის დაწყება შეიძლება კარგიც იყოს, რომ მოსახლეობამ დაბალანსებული ინფორმაცია მიიღოს.

დარჩიაშვილის განცხადებით, აღნიშნული რადიო თავისუფალი, თუმცა ამერიკის ბიუჯეტზე დამოკიდებული მედიასაშუალებაა, შესაბამისად, რადიომ დონორს ჩრდილი არ უნდა მიაყენოს.

"რადიოს დონორი ვერ უბრძანებს, რა გააკეთოს და რა - არა, ვინაიდან რადიო თავისუფალი მედიის პრინციპებზე მუშაობს, თუმცა გასარკვევია, მაინც რა იგულისხმება პროექტში. ქართული მხარე კანონის ენით ისაუბრებს", - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

აფხაზეთში "რადიო თავისუფლების" შესაძლო მაუწყებლობის შესახებ კომენტარი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემაც გააკეთა.

"აფხაზეთში არის ძლიერი საინფორმაციო ვაკუუმი და კარგი იქნება, თუ "რადიო თავისუფლება" იქ მაუწყებლობას დაიწყებს. აფხაზეთის მოსახლეობამ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოს", - განაცხადა გიორგი ბარამიამ.

თუმცა, სოხუმის რეჟიმის ე.წ. სამთავრობო ინფორმაციის სამმართველო აფხაზეთში რადიო "თავისუფლების" მაუწყებლობის კატეგორიული წინააღმდეგია. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესი" იუწყება. დე-ფაქტო სამმართველოს უფროსის კრისტიან ბჟანიას განცხადებით, აფხაზეთში რადიო "თავისუფლების" მაუწყებლობა მისგან გამომდინარე ყველა შედეგით უკანონოა.

"მაუწყებლობის დაწყების შემთხვევაში მკაცრ ზომებს მივიღებთ, მათ შორის ტექნიკურსაც - რადიოსიხშირის ჩახშობის ჩათვლით. ამ პროექტის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით. აფხაზეთში ამგვარი საკითხების გადაწყვეტაში კომპეტენტური ორგანოებისთვის რადიო "თავისუფლების" რედაქციას არ მოუმართავს. როგორ ჩანს, რედაქციის ფანჯრებს მიღმა "მტრულ" ტერიტორიაზე მეკობრული რადიომაუწყებლობის ცუდი დრო შემორჩა", - განაცხადა სამმართველოს უფროსმა კრისტიან ბჟანიამ.

ამავე სააგენტოს ცნობით, სოხუმის რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აფხაზეთში რადიო "თავისუფლების" მაუწყებლობას დასაშვებად მიიჩნევს, თუკი ეს არ იქნება ქართული პროექტი.

შამბას განცხადებით, რადიო "თავისუფლებამ" აფხაზეთში წარმომადგენლობის გახსნის შესახებ მის სამსახურს გასულ კვირას მიმართა.

"მე განვაცხადე, რომ ეს არ უნდა იყოს ქართული პროექტი. დამარწმუნეს, რომ ეს არის სამხრეთკავკასიური პროექტი და მე აფხაზეთში წარმომადგენლობის გახსნას დავთანხმდი", - აღნიშნა შამბამ.

მისივე თქმით, მხარს უჭერს სიტყვის თავისუფლების გაფართოებას, მთავარია, ეს არანაირად იყოს საქართველოსთან დაკავშირებული. სერგეი შამბას ინფორმაციით, რადიოსადგურმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის კონკურსიც გამოაცხადა, რომელშიც სამი აფხაზი ჟურნალისტი მონაწილეობს.

"ჩვენი ჯგუფი პრაღაში გამგზავრებას გეგმავს, რათა შერჩევაში მიიღოს მონაწილეობა. იქ გაირკვევა, დავთანხმდებით თუ არა და რა პირობებზე ვიქნებით თანახმა", - განაცხადა შამბამ.

*მარი ახსიაშვილი*

# თავდასხმა, რაც არ უნდა უწოდო მას, მაინც თავდასხმაა



პირველი გვერდიდან

ანგარიში ზუსტად ისეთია, როგორსაც შეიძლება ევროკავშირის მანდატის მქონე ჯგუფისგან ელოდე. დოკუმენტი 1100 გვერდზე მეტია და ძირითადად დაწერილია მონოტონურ და ორაზროვან სტილში, რომელიც, სიმართლის თუ არა, გულმოდგინედ შესრულებული სამუშაოს შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს.

"როგორც ჩანს, ყოვლისმომცველი გამოძიების თვეებმა, - წერს "ლოს-ანჯელეს თაიმსის" კორესპონდენტი მეგან სტეკი (Meghan Stack), - დიდად ვერ შეცვალა შარშანდელი მოვლენების შესახებ ფართოდ გავრცელებული შეხედულებები." 21-ე საუკუნეშიც კი არ კმარა მთელი სამყაროს ძალები ომის ბურუსში გზის გასაკვლევად. ანგარიშში არაერთხელ არის ნათქვამი, რომ მისიამ ვერ შეძლო ამა თუ იმ ინფორმაციის სისწორის დამოუკიდებლად გადამოწმება.

თუმცა, ანგარიშს დადებითი მხარეებიც აქვს. ის კარგად არის სტრუქტურირებული და დაწერილი, შეიცავს შესაბამისი ისტორიული ცნობებისა და კონტექსტის მკაფიო და მოკლე შინაარსს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ომი 2008 წელს არ დაწყებულა და სავარაუდოდ 1989 წლიდან მიმდინარეობს. იქვე წერია, რომ მასობრივი "პასპორტიზაცია", რომელიც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) განახორციელა, უკანონო იყო. ანგარიში გასული წლის გაზაფხულზე და ზაფხულში დაფიქსირებულ დაძაბულობის ზრდაში დიდწილად რუსეთს ადანაშაულებს. დოკუმენტში უარყოფილია რუსეთის მტკიცება, რომ საქართველომ სამხრეთ ოსეთში გენოციდი ჩაიდინა, დადასტურებულია, რომ ზემო აფხაზეთზე თავდასხმა ძალის უკანონო გამოყენება იყო და ნათქვამია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოსგან გამოყოფის კანონიერი უფლება არა აქვთ, ხოლო რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება საქართველოს საშინაო საქმეებში უკანონო ჩარევას წარმოადგენს.

ალბათ ღირს, გავიმეოროთ მისიის სიტყვები 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიის საქართველოში შეჭრის შესახებ:

"არსებობს რიგი ანგარიშებისა და პუბლიკაციებისა, მათ შორის რუსეთში გამოქვეყნებულებიც, რომლებშიც ჩანს, რომ რუსეთის მხარე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ძალებს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე წვრთნიდა და სამხედრო აღჭურვილობით ამარაგებდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთში მოხალისეები და დაქირავებული მებრძოლები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან როკის გვირაბისა და კავკასიის მთების გავლით აგვისტოს დასაწყისიდანვე შედიოდნენ, ხოლო 2008 წლის 8 აგვისტოს 14.30 საათამდე სამხრეთ ოსეთში უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები იმყოფებოდნენ, რომლებიც შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის ნაწილს არ წარმოადგენდნენ. ასევე, როგორც ჩანს, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს ქართული სამიზნეების, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მყოფი ობიექტების წინააღმდეგ ოპერაციები 8 აგვისტოს დილას ჰქონდა დაწყებული ანუ უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებებშია მითითებული. არსებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თავდაპირველი შეტევა საქართველოს ცენტრალურ ნაწილში განახორციელეს."

ამ ყველაფრის მიუხედავად, მისია წერს, რომ მას "არ შეუძლია განიხილოს საქართველოს მტკიცება 2008 წლის 8 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შეჭრის შესახებ, როგორც საკმარისად დასაბუთებული."

აქედან ანგარიში არალოგიკურად გადადის შეკითხვაზე - გამართლებული იყო თუ არა საერთაშორისო სამართლით საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში ძალის გამოყენება, რომელიც 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალზე იერიშით დაიწყო. ანგარიშის თანახმად, ასეთი ქმედება არ იყო გამართლებული.

ამრიგად, მისიამ ვერ შეძლო რუსეთის თავდასხმის ყველა ფაქტის გადამოწმება. თუმცა რატომღაც იმის დადგენა ითავა, იყო თუ არა ეს თავდასხმა საკმარისად "ფართომასშტაბიანი", რათა საქართველოს მხრიდან სამხედრო რეაქცია გამოეწვია!

"ასევე ვერ მოხერხდა იმის დადასტურება, რომ რუსეთი ასეთი მასშტაბური თავდასხმის განხორციელებისთვის ემზადებოდა," - ნათქვამია ანგარიშში.

შესაძლოა, გვიანი იყო და ამ აბზაცებს მისიის ავტორები დაღლილები წერდნენ, მაგრამ ნებისმიერი პასუხისმგებელი რედაქტორი ასეთ ტექსტს ნაგვის ყუთში მოისვრიდა. როდესაც უცხო სახელმწიფო მეამბოხე ძალების წვრთნასა და აღჭურვას უზრუნველყოფს, სამხედრო აღჭურვილობისა და მარაგების წინასწარ განლაგებაზე ზრუნავს, რეგულარული და არარეგულარულ ძალები შემოჰყავს და ჰაერიდან დარტყმებს ახორციელებს, ეს თავდასხმაა. ზოგადად იმის დადგენა, იყო თუ არა ესა თუ ის თავდასხმა "ფართომასშტაბიანი", აუცილებელი სულაც არ არის, მაგრამ სამხრეთ ოსეთის გარეთ მდებარე ქართულ ობიექტებზე განხორციელებული საჰაერო დარტყმები გონიერი ადამიანების უმრავლესობისთვის სწორედაც რომ "ფართომასშტაბიანია".

გარდა ამისა, ეჭვგარეშეა, რომ რუსეთი მასშტაბური თავდასხმის განხორციელებისთვის ემზადებოდა, რადგან შემდგომში სწორედ ასეთი თავდასხმა განახორციელა! მისიის შემადგენლობაში სამხედრო ლოგისტიკის სპეციალისტი რომ ყოფილიყო, ის ალბათ განმარტავდა, რომ ამ სახის შეტევის მომზადებას თვეები სჭირდება.

მისიის მიერ მომზადებული, გაწონასწორებული პოზიციის სურვილით გაჯერებული ანგარიში ბუნდოვანს ხდის მარტივ სიმართლეს: 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა წამოიწყო კარგად მომზადებული და დიდი ხნის წინ დაგეგმილი თავდასხმა პატარა საქართველოზე. ასეთი ორაზროვანი მიდგომა არა მხოლოდ უსამართლობაა საქართველოს მიმართ, არამედ უარყოფით შედეგებს მოიტანს ზოგადად დასავლეთის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ევროკავშირის დავალებით მომზადებული ანგარიშის ლოგიკას თუ მივყვებით, რუსეთმა (და სხვებმა) შეიძლება მიიჩნიონ, რომ დასავლეთი აგრესიას მოითმენს, თუკი საკუთარ თავს დაარწმუნებს, რომ აგრესია "ფართომასშტაბიანი" არ არის. ასეთი მიდგომა ნატო-სთვის პირდაპირი გამოწვევაა - თუ თავდასხმის მსხვერპლი, მაგალითად, ესტონეთი გახდება, დაიწყებენ თუ არა მოკავშირეები თავდასხმის მასშტაბის შესახებ ბჭობას? რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს პრევენციული დიპლომატია, თუკი არ გვსურს, რომ თავდასხმას თავდასხმა ვუწოდოთ?

*დევიდ სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი თბილისში და პოლიტიკის კვლევის პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი ვაშინგტონში.*

## 8 ოქტომბერს თბილისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა დელეგაცია ეწვევა

8-10 ოქტომბერს თბილისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა დელეგაცია ეწვევა. როგორც "პირველს" ეროვნული ბაკიდან აცნობეს, ფონდის ხელმძღვანელი პირები საქართველოში თურქეთიდან ჩამოვლენ, სადაც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური შეხვედრა იმართება.

ვიზიტის ფარგლებში სავალუტო ფონდის ხელმძღვანელები ქვეყნის ეკონომიკური გუნდის წევრებს შეხვდებიან და უშუალოდ მათგან მიიღებენ ინფორმაციას იმ ძირითადი გამოწვევების შესახებ, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის წინაშე დგას, ასევე ისაუბრებენ სავალუტო ფონდის როლზე ქვეყნის ამ გამოწვევებთან გამკლავების საქმეში.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურთან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძესთან და ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების მინისტრებთან. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით, სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" მრგვალი მაგიდა გაიმართება, რომელშიც საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ხელმძღვანელები მიიღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს შეხვდებიან, ასევე რუსთავში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საქმიანობას გაეცნობიან.

ცნობისთვის, აგვისტოს ომის შემდეგ სავალუტო ფონდი პირველი იყო, ვინც ოპერატიულად გამოეხმაურა მთავრობის თხოვნას და ომის უარყოფითი შედეგების შერბილებისათვის ქვეყანას 750 მილიონი აშშ დოლარის რესურსი გამოუყო. **პირველი**

## სააკაშვილის ახალი ეკონომიკური ინიციატივების განხილვაში შესაძლოა, გია ხუხაშვილიც ჩაერთოს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ახალი ეკონომიკური ინიციატივების განხილვაში შესაძლოა, ეკონომიკის საკითხებში ექსპერტი გია ხუხაშვილიც ჩაერთოს. როგორც "პირველს" ხუხაშვილმა განუცხადა, მას პრეზიდენტის ინიციატივებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შეკითხვა აქვს და საკუთარი მოსაზრებები გააჩნია. "მე არ ვარ პოლიტიკოსი და დიალოგზე და მოლაპარაკებებზე უარს არასოდეს ვამბობ. მართალია, ამ ინიციატივებისდამი ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, თუმცა თანახმა ვარ, მათ განხილვაში მონაწილეობა მივიღო. რამდენად ექნება მეორე მხარეს ამის სურვილი, ეს სხვა საკითხია," - განაცხადა ხუხაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ პარლამენტში მიხეილ სააკაშვილმა "ეკონომიკური თავისუფლების აქტი" წარადგინა. სააკაშვილის ახალი ინიციატივის თანახმად, კონსტიტუციურად განისაზღვრება, რომ საბიუჯეტო ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 30%-ზე მეტი არ იქნება. გარდა ამისა, კონსტიტუციურად უნდა დაფიქსირდეს, რომ ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 3%, ხოლო სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არაუმეტეს 60%-ისა იქნება. ამასთან, სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, აიკრძალოს ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა.

სააკაშვილი დადგენილი ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის გაზრდის, ასევე კომერციულ ბანკებში სახელმწიფოს მიერ წილების ფლობის აკრძალვის ინიციატივებითაც გამოვიდა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა გადასახადების გაზრდისა და ახალი გადასახადების დაწესების გადაწყვეტილების მიღებისას რეფერენდუმის ჩატარების იდეაც გაახმოვანა. **პირველი**

## სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 175-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N11 აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 175-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "პირველს" საქართველოს ეროვნული ბაკიდან აცნობეს, აუქციონში მონაწილეობა 4 კომერციულმა ბანკმა მიიღო, მოთხოვნამ 32 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი - 4.870%-ით, მაქსიმალური - 5.150%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 5.033 %-ით განისაზღვრა. **პირველი**

## შპს "რთველი - 2008" ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს 15 თეთრად ჩაიბარებს

შპს "რთველი - 2008" ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს 15 თეთრად ჩაიბარებს. როგორც "პირველს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, ჰიბრიდული ჯიშის ყურძენს გურჯაანში მდებარე ქარხანა მიიღებს. ცნობისთვის, ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი უწამლი, ვაქირულა, შანიძე, ალიკარტა და კაბერნეა. აღნიშნული ჯიშის ყურძენს ძირითადად საკონიაკე სპირტის დასამზადებლად იყენებენ.

შეგახსენებთ, რომ საფერავისა და რქაწითელის ჯიშის ყურძნისგან განსხვავებით, ჰიბრიდული ჯიშის ყურძენზე სახელმწიფო სუბსიდია არ გაიცემა. **პირველი**

# სს "თბილისის" აქციათა 93,341 პროცენტი გაიყიდა

თინა შავაძე

გასული ორი კვირის განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ ვარდნა განიცადა და 106,284 ლარი შეადგინა, გასხვისდა 1,066,893 აქცია და დაიდო 163 გარიგება. ძირითადი ბრუნვა კვლავ სს "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციაზე დაფიქსირდა. ერთი აქციის ფასი კვლავ 0,09 ლარის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ბოლო ორ სესიაზე ფასმა 0,07 ლარამდე დაიწია. სს "საქართველოს ბანკის" აქციის ფასი ძველ ადრინდელ ნიშნულს ინარჩუნებს და საშუალოდ 11,303 ლარს შეადგენს. დანარჩენი კომპანიებიდან მოთხოვნა ან მიწოდება დაფიქსირდა სს "თელასის", სს "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის", სს "საქწყალპროექტის", სს "ყაზბეგის" აქციებზე, მაგრამ გარიგება არ განხორციელდა.

გარესაბირჟო ფიქსინგით გარიგება დაიდო 9 სახეობის აქციაზე. საინვესტიციო კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სულ დაფიქსირდა 26 ოპერაცია, გაიყიდა 14,567,427 აქცია და თანხობრივმა მაჩვენებელმა 2,696,499 ლარი შეადგინა. ადგილი ჰქონდა რიგ მსხვილ გადანაწილებას. სს "თბილისი" - გაიყიდა წილის 93,341 პროცენტი, ანუ კომპანია ფაქტობრივად ახალი მეწილეების ხელში გადავიდა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებებისგან განსხვავებით, გარესაბირჟო გარიგებების დროს გაფორმებული ხელშეკრულების დეტალები კონფიდენციალურად ითვლება. ამდენად, ახალი მეწილეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. მოძიებული ინფორმაციით, სს საგზაო კომპანია "თბილისი" თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში აქტიურად მონაწილეობს. მათ შორის ცნობილია, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის განმავლობაში 100 000 ლარზე მეტი ღირებულების საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე 200 000 ლარზე მეტი ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებზე ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაო სს "თბილისმა" აიღო. ამის გარდა, ცნობილია, რომ ქ.თბილისის მერიის მიერ 2008 წლის განმავლობაში 50 000 ლარზე მეტი ღირებულების საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე 120 000 ლარზე მეტი ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვებზე კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნუსხაში ს.ს "თბილისიც" ფიგურირებს.

გარესაბირჟო ვაჭრობით შპს "თელიანი ველმა" კომპანიის 25 პროცენტი 2,524,500 ლარად გაყიდა, თითო აქციის ფასმა საშუალოდ 0,188 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ივლისში კომპანია "თელიანი ველის" 17,14 პროცენტი გაიყიდა, თუმცა მაშინ აქციის ფასი 0,05-0,059 ლარი იყო - ანუ ამჟამად წილი გასხვისდა 3-ჯერ მეტი ფასნამატით აქციაზე. "24 საათთან" საუბარში კომპანია "ნიკორას" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა მაკო ჯაოშვილმა დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია კომპანია "თელიანი ველის" აქციათა 25 პროცენტის შეძენის თაობაზე. როგორც ირკვევა, "თელიანი ველის" აქციათა კუთვნილი 25 პროცენტი პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ არჩილ გეგენავამ გაყიდა.

ბირჟაზე აქტიური ვაჭრობა სს "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციებზე მიმდინარეობდა. გასხვისდა 1,063,395 აქცია. ერთი აქციის ფასი 0,08-დან 0,11 ლარამდე მერყეობდა.

რაც შეეხება საქართველოს სავალუტო ბაზარს, გასული თვის განმავლობაში სავალუტო ბაზარზე გასხვისდა 2 000 000 დოლარი. ლარის კურსი სტაბილურია და ცოტათი გამყარდა - 1,6755 ნიშნულზეა. ექსპერტების შეფასებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ლარის მასის მიმოქცევიდან ამოღებაა სახაზინო ვალდებულებების და სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვის გზით - ჯამურად ორ კვირაში ამ ორი ინსტრუმენტით 45 მლნ ლარია მიმოქცევიდან ამოღებული.

# ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე დანიელ ბიზნესმენებს შეხვდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ზურაბ ალავიძე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ პერ სტიგ მიოლერსა და დანიელ ბიზნესმენებს შეხვდა. მხარეებმა ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსა და ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე ისაუბრეს. როგორც ალავიძემ განაცხადა, მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მნიშვნელოვანია, რათა ინვესტორები გაეცნონ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და იმ სიახლეებს, რასაც საქართველოს მთავრობა ატარებს ეკონომიკის ლიბერალიზაციისთვის. "ეს სიახლეები უშუალო კონტაქტით უნდა დავიყვანოთ ბიზნესმენებამდე, რათა ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა მოვახერხოთ და შევქმნათ დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც მთავარი პრიორიტეტია ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის. მთავრობის ნაბიჯები სწორედ ეკონომიკური სტაბილიზაციისკენ არის მიმართული, რაც პოტენციურ ინვესტორებს მნიშვნელოვნად დააინტერესებს და დიდ სტიმულს მისცემს," - განუცხადა ალავიძემ ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის მაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხდებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

# ტურიზმი სოფლად

## საოჯახო სასტუმროები აგროტურიზმის სტანდარტებით ისარგებლებენ

ნინო ნატროშვილი



საქართველოს რეგიონებში ტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელისუფლებამ პრიორიტეტად ორი წლის წინ დაასახელა. ამის მიუხედავად, ამ სეგმენტის განვითარება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბუნებრივია, არსებობს ობიექტური მიზეზებიც - 2008 წლის ომი და ეკონომიკური კრიზისი.

საოჯახო სასტუმროები სოფლად და პატარა ქალაქებში მოსახლეობის სახსრებით შენდება. ზოგიერთი მეწარმე ბანკიდან სესხის აღებას ახერხებს, ზოგი კი USAID -ის საგრანტო დახმარებით სარგებლობს. ის სასტუმროები, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტით ისარგებლა, აგროტურიზმის სტანდარტების სერტიფიკატს მიიღებს. ეს იმის გარანტია, რომ სოფლად დასვენების მსურველი ტურისტების მოლოდინები დაკმაყოფილდება და მასპინძელი ოჯახის მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება.

ზემოთხსენებული სტანდარტების მთავარ მიზანს სოფლად ტურისტული ინდუსტრიის გაფართოება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება წარმოადგენს.

USAID -ის მიერ დაფინანსებული, საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა (GEII) ტურიზმისა და ეკონომიკის ხელსეწყობის მიზნით 2007 წლიდან მოქმედებს. დღეისათვის უკვე განახლებულია 15 საოჯახო სასტუმრო აჭარაში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში. სწორედ USAID -ის მიერ გაწეული ფინანსური დახმარების შედეგად 15 საოჯახო სასტუმროდან პირველად საქართველოში 11 სასტუმრომ აგროტურიზმის სტანდარტების სერტიფიკატი მიიღო.

"საოჯახო სასტუმროებისათვის სტანდარტების მინიჭება ასოციაცია "ელკანას" ინიციატივით მოხდა. "ელკანას" სტანდარტი სრულ შესაბამისობაში მოდის სასტუმროების მომსახურების ხარისხთან. მომსახურების ხარისხის დაყოფა ოთხ ჯგუფად მოხდა. პირველი ჯგუფია - სტანდარტი, მეორე - მაღალი ხარისხი (ერთი მზე, ორი მზე, სამი მზე). მზე არის გარკვეული კატეგორიის სიმბოლო. მივიღეთ შესაბამისი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც მოხდა კატეგორიის მინიჭება," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ასოციაცია "ელკანას" წარმომადგენელმა მანანა გიგაურმა.

მისი თქმით, სერტიფიცირების პროცესი ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია სასტუმროს მფლობელის სურვილზე. "სასტუმროების მფლობელთათვის სერტიფიცირების პროცესი არის ხარისხის სტანდარტის კლასიფიკაცია. კატეგორიის მინიჭება ნიშნავს გარკვეულწილად რეკლამას, რაც სასტუმროში ტურისტების ნაკადს გაზრდის," - ამბობს მანანა გიგაური.

სპეციალისტების მიერ 2009 წლის სექტემბერში სტანდარტების შესაბამისად 15 სასტუმროს სერტიფიცირება განხორციელდა. ექსპერტებმა 11 სასტუმროს სერტიფიცირება ოთხ რეგიონში განახორციელეს. აქედან სერტიფიკატი სამცხე-ჯავახეთში ორმა, აჭარაში ექვსმა, ხოლო კახეთში სამმა სასტუმრომ მიიღო.

"24 საათი" ამ საკითხზე სერტიფიცირების ავტორს, ასოციაცია "ელკანას" წარმომადგენელ მანანა გიგაურს ესაუბრა:

**- "ელკანა" ძირითადად ბიომეურნეობის სფეროს განვითარებაზე მუშაობს. სოფლად ტურიზმის განვითარების სეგმენტი თქვენი ინტერესის სფეროში რატომ მოექცა?**

- "ელკანასთვის" სოფლის ტურიზმის მიმართულება საინტერესო გახდა 2006 წლიდან. ჩვენი მიზანია სასტუმრო საქმიანობის აღორძინება სოფლად. ამის მიზეზი კი ჩვენი ორგანიზაციის განსხვავებული მიმართულებაა. სოფლად საქმიანობა ადგილობრივი კვების პროდუქტების წარმოებას მოიცავს. ფერმერებს, რომლებსაც ჩვენ ვსტუმრობდით, აქვთ მეურნეობა. აქვთ იმის საშუალება, რომ სტუმარს შესთავაზონ პროდუქტი, აჩვენონ მისი დამზადების ტექნოლოგია; აჩვენონ მარნები, საინტერესო წესჩვეულებანი სწორედ ამის გამო "ელკანამ" გადაწყვიტა, ამ საქმიანობაში მონაწილეობა მიეღო.

**- სტანდარტის შემუშავების იდეაც "ელკანას" ეკუთვნის. სოფლის სასტუმროსათვის რამდენად მნიშვნელოვანია სერტიფიკატის ფლობა?**

- როცა სასტუმრო ემსახურება სტუმარს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხი. სტანდარტების შემუშავება "ელკანას" ინიციატივა იყო. შემდეგ GEII და ტურიზმის დეპარტამენტი შემოგვიერთდა. საბოლოო ჯამში "ელკანას" საკმაოდ საინტერესო სტანდარტი მივიღეთ, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. მომსახურების ხარისხი 4 ჯგუფად იყოფა, კატეგორიების მიხედვით კი სასტუმროს მომსახურებასთან მიმართებაში მოთხოვნები იზრდება.

**- სასტუმრომ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს იმისათვის, რომ სერტიფიკატი მიიღოს?**

- პირველი - სასტუმრო სახლის მფლობელისათვის სერტიფიკატი არის სტაბილურობის გარანტია; მეორე - ეს არის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების კარგი საშუალება. სასტუმროს დაჯავშნის შემდეგ მომხმარებელი ხშირად უკმაყოფილო რჩება, რადგანაც მას აწვდიან ინფორმაციას სხვა სერვისის შესახებ, რეალურად კი ადგილზე ჩასულს სულ სხვა მდგომარეობა ხვდება. ხოლო სერტიფიკატი დაპირებული სერვისის არსებობას უზრუნველყოფს; მესამე - კატეგორიის მინიჭებით სასტუმრო იღებს სტანდარტს, რომლის მეშვეობით უფრო მეტ ტურისტს მიიზიდავს.

# კახა ბენდუქიძე პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ "თავისუფლების აქტს" "უნივერსალურ პოსტულატებს" უწოდებს

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში კახა ბენდუქიძე პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ "თავისუფლების აქტს" "უნივერსალურ პოსტულატებს" უწოდებს. როგორც ბენდუქიძემ "რუსთავი 2"-ის გადაცემა "ბიზნესკურიერში" განაცხადა, "სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ასეთი სტრატეგია კარგი და მისაღებია". "ეკონომიკის სტიმულირების გზა 2008 წლის ნოემბრიდან დაიწყო, როცა საშემოსავლო გადასახადებმა 25%-ით იკლო. აღნიშნული "თავისუფლების აქტით" კი მთავრობა ასრულებს ხალხის ნებას, ქვეყნისთვის საჭირო მიზნებს, რაც ეკონომიკას მნიშვნელოვნად წაადგება. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი აქტი - რეფერენდუმის გზით თუ ორი მოწვევის პარლამენტის მიერ, ქვეყნისთვის ორივე ვერსია მისაღები უნდა იყოს, მთავარი აქ მხოლოდ ის არის, რომ პროექტი რეალობად იქცეს," - განაცხადა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, "ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ქართულ და უცხოურ კერძო სექტორს ნორმალური სამუშაო პირობები, დაბალი გადასახადები, მცირე რეგულირება და ყველა ის აუცილებელი ცვლილება კანონში, რომელიც საქართველოში მეტი ინვესტორის მოზიდვას უზრუნველყოფს".

შეგახსენებთ, რომ გუშინ პარლამენტში მიხეილ სააკაშვილმა "ეკონომიკური თავისუფლების აქტი" წარადგინა. სააკაშვილის ახალი ინიციატივის თანახმად, კონსტიტუციურად განისაზღვრება, რომ საბიუჯეტო ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 30%-ზე მეტი არ იქნება. გარდა ამისა, კონსტიტუციურად უნდა დაფიქსირდეს, რომ ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 3%, ხოლო სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არაუმეტეს 60%-ისა იქნება. ამასთან, სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, აიკრძალოს ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა.

*პირველი*

### მომავალ კვირას თბილისში შესაძლოა, "ელიტ-ელექტრონიქსის" კიდევ რამდენიმე მაღაზია გაიხსნას

მომავალ კვირას თბილისში შესაძლოა, კომპანია "ელიტ-ელექტრონიქსის" კიდევ რამდენიმე მაღაზია გაიხსნას. ამის შესახებ "პირველს" კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, კომპანია "ელიტ-ელექტრონიქსსა" და კრედიტორ ბანკებს შორის კომპანიის აქციების გადანაწილებაზე მოლაპარაკება ამ დრომდე მიმდინარეობს და ბანკები საბოლოო წილობრივ მონაცემებზე ჯერაც არ შეჯერებულან. ცნობისთვის, "ელიტ-ელექტრონიქსი" მოლაპარაკებებს ხუთ კრედიტორ ბანკთან აწარმოებს. ამ დროისთვის თბილისში კომპანიის ხუთი მაღაზია ფუნქციონირებს. **პირველი**

### "კავკასუს ონლაინმა" "გაერთიანებული ტელეკომის" მიმართ დავალიანების არსებობა აღიარა

"კავკასუს ონლაინმა" "გაერთიანებული ტელეკომის" მიმართ დავალიანების არსებობა აღიარა. ამის შესახებ "პირველს" გაერთიანებული ტელეკომის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, "გაერთიანებული ტელეკომის მიერ გაგზავნილი ფინანსური დოკუმენტაციის შედარება "კავკასუს ონლაინის" ხელთ არსებულ დოკუმენტაციასთან ამ წუთებშიც მიმდინარეობს, თუმცა "კავკასუს ონლაინმა" "ტელეკომის" მიმართ 217 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების არსებობა უკვე აღიარა".

შეგახსენებთ, რომ "გაერთიანებულმა ტელეკომმა" "კავკასუს ონლაინი" ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. როგორც "გაერთიანებულ ტელეკომში" აცხადებენ, "კავკასუს ონლაინს" კომპანიის მიმართ ნახევარი მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია. თავის მხრივ, "კავკასუს ონლაინი" დავალიანების არსებობას ამ დრომდე უარყოფდა. **პირველი**

### ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ნავთობის იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციასთან მემორანდუმი გააფორმა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტსა და ნავთობის იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა. როგორც "პირველს" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან აცნობეს, მემორანდუმის მიხედვით, ასოციაცია 2010 წლის აპრილამდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებულ ავტოგასამართ სადგურებზე საერთაშორისო სტანდარტების სველ წერტილებს მოაწყობს. **პირველი**

### "აქსისი" უძრავი ქონების ბაზარზე ნოვატორული შემოთავაზებებით შემოდის

დეველოპერული სამშენებლო კომპანია "აქსისი" უძრავი ქონების ბაზარზე ნოვატორული შემოთავაზებებით შემოდის. როგორც "პირველს" "აქსისიდან" აცნობეს, ამასთან დაკავშირებით "აქსისის" გენერალური დირექტორი გიორგი კაპანაძე ხვალ კომპანიის მთავარ ოფისში პრესკონფერენციას მართავს. კონკრეტული წინადადებები წინასწარ არ ხმაურდება და მხოლოდ ხვალ, 12:00 სთ-ზე გახდება ცნობილი. **პირველი**

### დავით ბაქრაძე სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორ ასად ალამს შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დღეს სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს - ასად ალამს შეხვდა. ასად ალამმა ბაქრაძეს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგებისა და აგვისტოს ომით გამოწვეული ზიანის აღმოსაფხვრელად შექმნილი ახალი სტრატეგია გააცნო. აღნიშნული სტრატეგია მსოფლიო ბანკმა სექტემბერში შეიმუშავა. ის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებას, სოციალური დახმარების და ღარიბებისთვის ჯანმრთელობის ხარჯების დაფარვის კუთხით რეფორმების გაღრმავებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და ხარჯების ეფექტურობის გაძლიერებას ითვალისწინებს. "ახალი სტრატეგიის ძირითადი მიზანია, უპასუხოს იმ შედეგებს, რომელიც კრიზისმა მოსახლეობაზე იქონია," - განაცხადა ასად ალამმა. მისივე თქმით, მსოფლიო ბანკი ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის და გაუმჯობესების კუთხით თავის რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობას მიაწვდის. პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი ესწრებოდა. მისი თქმით, საქართველოსთვის მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული ორგანიზაცია მნიშვნელოვნად უჭერს მხარს და ხელს უწყობს მომავალში საქართველოში ძლიერი ეკონომიკის აშენებას.

ცისკარიშვილის თქმით, მსოფლიო ბანკი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მხარდაჭერით საქართველოში უკვე განხორცილებულ პროექტებს და მზად არის დამატებითი დაფინანსების გამოყოფისთვის. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს "ეკონომიკური ლიბერალიზაციის აქტზე", რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში გუშინ წარადგინა. ასად ალამის განცხადებით, "აქტში წარმოდგენილი მიმართულებები პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც საქართველო დგას". **პირველი**

# ზრუნვა პატიმართა ჯანმრთელობაზე

## "ალდაგმა" პენიტენციური სისტემა დატოვა

*წლების განმავლობაში პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები - სავალალო მდგომარეობაში მყოფი სამედიცინო ნაწილები, მკურნალობისთვის საჭირო ტექნიკის და მედიკამენტების არ არსებობა, არაპროფესიონალი ან კორუმპირებული ექიმების ნაწილი, არა მარტო ქართველი ადამიანების უფლებების დამცველებისთვის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განსჯის საგანი იყო. დაუძლეველი პრობლემის მოსაგვარებლად ციხეთა სამკურნალო დაწესებულება ბოლო პერიოდში ექსპერტიმენტის საგნადაც იყო ქცეული. ერთ-ერთ წარუმატებელ "ექსპერიმენტად" შეიძლება ჩაითვალოს გასულ წელს პატიმართა ჯანმრთელობის სადაზღვევო სისტემაზე გადაყვანა. ეს მისია სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" ტენდერში გამარჯვების შემდეგ იკისრა. თუმცა, ერთწლიანი მომსახურების შემდეგ კომპანიამ საკუთარი სურვილით გააუქმა პენიტენციალურ სისტემასთან დადებული ხელშეკრულება და ამისთვის სოლიდური ჯარიმის გადახდასაც არ მოერიდა.*

თამარ კაციტაძე

ციხის და სადაზღვევო კომპანიის განშორებას არანაირი ხმაური არ მოჰყოლია. თუმცა, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე ამაში გასაკვირს ვერაფერს ხედავს.

**"ალდაგი" არის კომერციული ორგანიზაცია. როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მისი კომერციული ინტერესებისთვის წაგებიანი იყო. ამიტომაც გადაიხადა ხელშეკრულების გაუქმებისთვის დადგენილი ჯარიმა და სისტემიდან წავიდა. იმის გამო, რომ ასეთმა ძლიერმა სადაზღვევო კომპანიამ ვერ შეძლო ციხის ჯანდაცვაზე ზრუნვა, გასაგები იყო, რომ სხვა კომპანიებს უფრო მეტად გაუჭირდებოდათ. ამიტომ, ამგვარი მომსახურება აღარავისთვის შეგვითავაზებია და, საერთოდ, მსგავს სისტემაზე უარი ვთქვით,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარისას მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომლის დაქვემდებარებაშიცაა სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო სფეროზე ზრუნვა.

სასჯელაღსრულების სისტემის ახალ სამინისტროში გაერთიანებიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ მაისში, პენიტენციური სისტემის სამედიცინო ნაწილში რეფორმა დაიწყო.

**"როდესაც სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო შეიქმნა, სადაზღვევო კომპანია "ალდაგი", რომელსაც პენიტენციური სისტემის ჯანდაცვა მთლიანად გადაბარებული ჰქონდა, ახალი წასული იყო. ამის გამო მოგვიწია ახალ სისტემაზე გადასვლა. სხვათა შორის, საერთშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა, რომ ციხის ჯანდაცვაზე ცალკე სტრუქტურა ზრუნავდეს, ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება თუ იგი დაექვემდებარება ჯანდაცვის სამინისტროს. მაგრამ ჯერჯერობით ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამდით, რადგან სისტემა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და თავიდან არის საჭირო მისი აწყობა. ასეთ სიტუაციაში პრობლემის სხვაზე გადაბარება ჩვენი მხრიდან "ხელების დაბანა" იქნებოდა. ამიტომ, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება - ავაწყოთ სისტემა და უკვე ჩამოყალიბებული სახით გადავაბაროთ ჯანდაცვის სამინისტროს,"** - ამბობს კოკა სეფერთელაძე.

როგორც მინისტრის მოადგილე ირწმუნება, იმ დროს, როდესაც ახალმა სამინისტრომ ციხის ჯანდაცვის სისტემა ჩაიბარა, რეალურად ერთადერთი აწყობილი დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რესპუბლიკური საავადმყოფო იყო, რომელიც 2006 წელს გაიხსნა.

**"მართალია, დანარჩენ დაწესებულებებში იყვნენ ექიმები, მაგრამ მათი ფუნქცია ძირითადად მწირი რაოდენობის და სახეობის წამლების დარიგებით შემოიფარგლებოდა. დაწესებულებებში ავადმყოფი პატიმარის გასასინჯად ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობდა, რომ არაფერი ვთქვათ, სტომატოლოგიურ ან სხვა სახის კაბინეტებსა თუ დანადგარებზე.**

**სამედიცინო ნაწილის რეფორმირება, ფაქტობრივად, მაისში დავიწყეთ. ჩვენი მიზანია მისი საჭირო ტექნიკით აღჭურვა და გამართვა. პირველ რიგში, ვყიდულობთ სტომატოლოგიურ მოწყობილობებს, რადგან, მოგეხსენებათ, ინფექციური დაავადებების დიდი ნაწილი ციხეში სწორედ ამ გზით ვრცელდება. სტერილური დანადგარებით კი თავიდან ავიცილებთ დაავადებების გავრცელებას, ყოველ შემთხვევაში, შევამცირებთ მაინც.**

**დღეს სასჯელაღსრულების 18 დაწესებულებიდან შვიდში უკვე არის თანამედროვე სტომატოლოგიური კაბინეტები, ოქტომბრის ბოლოს კი, ყველა დაწესებულებაში იქნება აპარატურა, სადაც მსჯავრდებულები თავისუფლად შეძლებენ მკურნალობას.**

**რაც შეეხება ქსანში მდებარე ტუბზონას, რომელიც 700 პატიმარზეა გათვლილი, აქ 11 წლის განმავლობაში დახმარებას ორგანიზაცია "წითელი ჯვარი" გვიწევდა. თუმცა, მომავალი წლის იანვრიდან ეს ორგანიზაცია წყვეტს პროგრამის უზრუნველყოფას და ამ დაავადებაზე მედიკამენტებით უზრუნველყოფას "გლობალ ფონდი", მენეჯმენტს კი თავად სამინისტრო განახორციელებს.**

**რეფორმის ფარგლებში შედის სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებით, ე.წ. "ბალნიჩკების" სრულყოფილად გამართვა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვა, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ პაციენტის ციხის რესპუბლიკურ ან სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა. თუ ადგილზევე შევძლებთ ავადმყოფის მკურნალობას, ამით დავზოგავთ სხვა დანარჩენ ხარჯებს, დაზოგილ თანხას კი სხვა მიმართულებით გამოვიყენებთ. რა თქმა უნდა, არის დაავადებები, რომელსაც უფრო სერიოზული მკურნალობა სჭირდება, ასეთ პატიმრებს აუცილებლად გადავიყვანთ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.**

**ამასთან, უკვე ვქმნით, მობილური ჯგუფები, როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მანქანებით ექიმთა ჯგუფები სისტემატურად ივლიან დაწესებულებებში და პატიმრების ჯანმრთელობაზე მუდმივ მონიტორინგს ჩაატარებენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას, როგორ უმკურნალონ პაციენტს, თუ დასჭირდათ მათივე მანქანით გადაიყვანენ შესაბამის საავადმყოფოში.**

**დღეს პენიტენციურ სისტემაში მთლიანად 250 ექიმი მუშაობს,**


კოკა სეფერთელაძე


ციხის სტომატოლოგიური კაბინეტი

**თუმცა პირველ ეტაპზე ამ გადამზადებას 24 ექიმი გაივლის. ყველა მათგანი ეტაპობრივად გადამზადების კურსებს გაივლის,"** - მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, ასეთია რეფორმის ის მიმართულებები, რომელიც დღეს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო სფეროში მიმდინარეობს.

ციხის სამედიცინო მომსახურების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული მის დაფინანსებაზე. წლების განმავლობაში, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ სამედიცინო პრობლემებს ამ სფეროში ფინანსების არქონით ხსნიდნენ. სეფერელაძის ინფორმაციით, დღეს ციხეში მყოფი, დაახლოებით, 18 ათასი პატიმარის სამედიცინო მომსახურებისთვის სახელმწიფო მთლიანად 5 ნახევარ მილიონ ლარს ხარჯავს. აქედან, 1 მილიონ 200 ათასი ლარი მხოლოდ მედიკამენტებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების საგნების შესაძენადაა გამოყოფილი. კონტრაქტით, ციხეებს წამლებით ფირმა "ავერსი" ამარაგებს. თუმცა, ამ თანხაში არ შედის ტუბერკულიოზით და შიდსით დაავადებულ პატიმართა მკურნალობა. მათ სახელმწიფოს ეროვნული პროგრამებით მკურნალობენ.

ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი ავადმყოფი პატიმრების გარე სამედიცინო მკურნალობისთვის იხარჯება. რაც შეეხება ტექნიკისთვის გამოყოფილ თანხას, როგორც მინისტრის მოადგილე იხსენებს, 2009 წლის დასაწყისში, როდესაც ბიუჯეტი დამტკიცდა, ამ მიმართულებით ძალიან მცირე თანახა, დაახლეობით 200 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა კანონით დადგენილი გზებით ეს რაოდენობა გაიზარდა, რისი დამსახურებაცაა იმ თანამედროვე ტექნიკის შეძენა, რითაც დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემაა აღჭურვილი.

გაზრდილია მედპერსონალის ხელფასებიც, მათი საშუალო ხელფასი დაახლოებით 500-600 ლარია. თუმცა, ამ სისტემაში კორუფციის აღმოფხვრას მინისტრის პირველი მოადგილე მხოლოდ ხელფასების მატებით არ ხსნის. მისი აზრით, ექიმთა მხრიდან დანაშაულის კლების მიზეზი არის ისიც, რომ ციხეში ფული აღარ შედის.

**"გავრცელებულია მოსაზრება, რომ პატიმრების უმრავლესობა ტუბერკულიოზით ან სხვადასხვა ჯგუფის ჰეპატიტებით არის დაავადებული. მინდა თავიდანვე გითხრათ, რომ ციხეში ხშირად უკვე დაავადებული პატიმრები ხვდებიან. ეს გასაგებია, დღეს არსებულ პატიმართა დიდი ნაწილი ნარკომანიით არის დაავადებული, რომლებიც რისკჯგუფს განეკუთვნება. ის პრობლემა, თითქოს, ჯანმრთელი და ტუბერკულიოზით დაავადებული პატიმრები ერთ საკანში არიან, დღევანდელ ციხეში, ნამდვილად აღარ არსებობს. წელიწადში ორჯერ მედიკოსთა სპეციალური ჯგუფი ყველა პატიმარის ჯანმრთელობას ამოწმებს და თუ ვინმეს აღმოაჩნდება ტუბერკულიოზით დაავადებული, ხდება მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა. დაავადების სიმძიმიდან გამომდინარე, ნაწილი მკურნალობას ადგილზევე, იზოლირებულად აგრძელებს, ნაწილი კი ტუბზონაზე ან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაგვყავს,"** - ამბობს კოკა სეფერთელაძე.

მინისტრის მოადგილე არც იმ გავრცელებულ მოსაზრებას ეთანხმება, თითქოს ციხეში შესული ნარკომანები აბსიტენციურ მდგომარეობას ე.წ. ლომკას ცივი წყლის შხაპით იხსნიან. კოკა სეფერთელაძის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების N 8 საპყრობილეში დანერგილია "მეტადონის" პროგრამა. მას შემდეგ, რაც ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამიკიდებული პატიმარი საპყრობილეში მოხვდება, შესაბამისი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, აღნიშნულ პროგრამაში ერთვება. "მეტადონის" პროგრამით მკურნალობა ერთიდან სამ თვემდე გრძელდება. ამ პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე მკურნალობა დაახლოებით 300-მდე პატიმარმა გაიარა, ამჟამად კი, პროგრამაში 50 პაციენტია ჩართული. რამდენიმე თვეში ანალოგიური პროგრამა ქალთა კოლონიაშიც დაინერგება, მოგვიანებით კი, ქუთაისის საპყრობილეში, სადაც ჯერჯერობით ნარკომან პატიმრებს დამაწყნარებელი საშუალებებით მკურნალობენ.

**"ციხის კიდევ ერთი პრობლემა ესაჭიროება ფსიქიატრის მეთვალყურეობა, იგი იგზავნება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში შემდგომი მკურნალობისათვის, რომელიც გათვლილია 50 ავადმყოფზე და აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით.**

**სხვათა შორის, ამჟამად პარლამენტში მიდინარეობს კანონპროექტის განხილვა, რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც, გვეძლება საშუალება ფსიქიკურად დაავადებულ პატიმრებს ვუმკურნალოთ არა სასჯელაღსრულების სისტემაში, არამედ სამოქალაქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში,"** - ამბობს კონა სეფერთელაძე.

ციხის კიდევ ერთი დაუძლეველი პრობლემა - პატიმართა სიკვდილიანობაა. მართალია, წინა წლებთან შედარებით მიმდინარე წელს მსჯავრდებულთა სიკვდილიანობამ საგრძნობლად იკლო. თუ ჯანდაცვის რეფორმამდე, ამ წლის მაისამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 46 პატიმარი გარდაიცვალა, რეფორმის დაწყებიდან, ივნისის თვიდან დღემდე მხოლოდ 4 შემთხვევა დაფიქსირდა.

კოკა სეფერთელაძე ვარაუდობს, რომ ავადმყოფობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პრინციპის, ე.წ. აქტიროვკის სრული ამოქმედების შემდეგ, მძიმედ დაავადებული პატიმრები ციხეში აღარ გარდაიცვლებიან. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი განუკურნელები სენით იქნება დაავადებული, მას მიეცემა რეკომენდაცია სასამართლოში პატიმრობიდან სრულ გათავისუფლებაზე. მძიმედ დაავადებული მსჯავრდებული კი, რომლის მკურნალობაც შესაძლებელია, დროებით გათავისუფლების რეკომენდაციას მიიღებს, თუმცა იგი განკურნების შემდეგ მაინც მოიხდის სასჯელს.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ჯანდაცვის და პენიტენციურ სისტემის წარმომადგენლები ერთობლივად ჰქონდათ შექმნილი "აქტიროვკის" კომისია, აქამდე ზუსტად არ იყო განსაზღრული იმ დაავადებების სია, რის გამოც შეიძლებოდა ავადმყოფი პატიმრების გათავისუფლება. ციხეში სიკვდილიანობის მასშტაბურობა ამითაც იყო გამოწვეული. კოკა სეფერეთელაძის ინფორმაციით, ეს სია და ის კომისია უკვე არსებობს, რომელიც მძიმე ავადმყოფებს გათავისუფლების რეკომენდაციას მისცემს. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკვე შვიდი მძიმედ დაავადებული პატიმარი ელის "აქტიროვკით" გათავისუფლებას.

**"ჩვენს მიერ დაწყვებული რეფორმის მიზანია, ჯანდაცვა პენიტენციურ სისტემაში იყოს ისეთივე ხელმისაწვდომი, როგორიც არის სამოქალაქო ცხოვრებაში,"** - ამბობს სასჯელაღსრულები, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე.

# ტირასპოლს კალინინგრადის სტატუსი ხიბლავს

დნესტრისპირეთი მზად არის, რუსეთის შემადგენლობაში რეგიონის სახით შევიდეს, - განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერმა იგორ სმირნოვმა. მისი სიტყვებით **"რესპუბლიკა დღეს, როგორც არასდროს, ახლოს არის რუსეთთან შეერთებასთან,"** - ამ განცხადებით იგი რამდენიმე დღის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა. მიმომხილველების აზრით, სმირნოვმა კარგად შეარჩია დრო თავისი განცხადებისთვის და ის 8-9 ოქტომბერს კიშინიოვში დაგეგმილ დსთ-ს სამიტს "მიუძღვნა", თუმცა მიიჩნევენ, რომ მისი ეს განცხადება რეალურად ვერ განხორციალდება.

სმირნოვმა, ფაქტობრივად, გამორიცხა შესაძლებლობა, რომ გამოყოფილი რეგიონი კვლავ მოლდოვის შემადგენლობაში დაბრუნდეს და დაუმატა, რომ დნესტრისპირეთის პოზიცია მისი სტატუსის შესახებ გამართულ ნებისმიერ მოლაპარაკებებზე 2006 წლის 17 სექტემბრის რეფერენდუმის შედეგებს დაეყრდნობა. მაშინ დნესტრისპირეთის მოსახლეობის 97 პროცენტმა დამოუკიდებლობას და მომავალში რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი.

მოსკოვს ოფიციალური პოზიცია ჯერჯერობით არ გამოუხატავს. რუსეთის საგარეო სამინისტროში ანონიმურმა წყარომ განაცხადა, რომ **"ჩვენ ვაღიარებთ მოლდოვის ტერიტორიულ მთლიანობას და მხარს ვუჭერთ დნესტრისპირეთის სტატუსის გადაწყვეტას ტირასპოლსა და კიშინიოვს შორის მოლაპარაკების შედეგად."**

რუსეთის დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა "ბი-ბი-სი"-ს განუცხადა, რომ "ძალინ აფასებს დნესტრის ნაპირებზე მცხოვრები ხალხის სურვილს, იყვნენ რუსეთთან ახლოს." მისი აზრით, მოლდოვაში "არ სცემენ პატივს დნესტრისპირეთის თვითგამორკვევის და თვითმმართველობის უფლებას", თუმცა "გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გადასალახავად სურვილები არ კმარა." **"დნესტრისპირეთი რუსეთს არ ესაზღვრება. დღეს ჩვენ კალინინგრადის რეგიონთან ურთიერთობის პრობლემა გვაქვს, რომლის რუსეთის შენადგენლობაში ყოფნაც არავის ეჭვს არ იწვევს. ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვება რუსეთის ნაბიჯს, თუ ის დნესტრისპირეთის მოსახლეობის სურვილს გაითვალისწინებს და თუნდაც მხოლოდ დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. შეიძლება ყველაფერი მოხდეს, ძალისმიერი რევანშის ჩათვლით, და რუსეთს, უკრაინის პოზიციის გათვალისწინებით, ძალიან გაუჭირდება დნესტრისპირეთის ინტერესების დაცვა,"** - მიიჩნევს ზატულინი.

მოლდოვის ვიცე-პრემიერმა ვიქტორ ოსიპოვმა, რომელიც დნესტრისპირეთთან ურთიერთობას კურირებს, განაცხადა: **"ტირასპოლის ადმინისტრაციის იდეა ახალი არ არის და განხორციელების არანაირი საფუძველი არ გააჩნია." "სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის სეპარატიზმს შორის არსებობს მსგავსება, თუმცა არ არსებობს არანაირი მიზეზი, ვივარაუდოთ, რომ მოლდოვაში სიტუაცია საომარი მოქმედებით გადაწყდება. საბოლოო მიზანთან - დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან მიახლოებას ჩვენ მხოლოდ მოლაპარაკების გზით შევძლებთ,"** - დაამატა ოსიპოვმა.

სმირნოვს მსგავსი განცხადება ადრეც არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ მისი ამჟამინდელი გააქტიურება, მიმომხილველთა აზრით, მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა გამოიწვია, სადაც ევროპაზე ორიენტი-



იგორ სმირნოვი

რებულმა ლიბერალებმა გაიმარჯვეს. თავის ბრიფინგზე დნესტრისპირეთის ლიდერმა პარალელი გაავლო "საქართველოსა და მოლდოვის ნაციონალისტურ პოლიტიკას შორის" და დაასკვნა, რომ ქვეყნის სათავეში კოალიციის "ევროპული ინტეგრაციისათვის" მოსვლის შემდეგ შესაძლოა, რუსულენოვანთა უფლებების დარღვევის "ახალი ტალღა" დაიწყოს. ამას ეხმაურება მოლდოვის ყოფილი ელჩი მოსკოვში და ახლანდელი კომუნისტი დეპუტატი ვლადიმერ ცურკანიც, რომელიც აცხადებს, რომ **"მმართველი კოალიციის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს და ტირასპოლის რეჟიმის უწყობს ხელს".**

მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა ვლად ფილატმა, ფაქტობრივად, ახალი ხელისუფლების ფორმირებისთანავე განაცხადა, რომ დაგეგმილია დნეპრისპირეთში რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო კონტინგენტით ჩანაცვლება. თუმცა იქვე დაუმატა, რომ ეს დაუყოვნებლივ არ მოხდება და ამ საბოლოო მიზანს ისინი მოლაპარაკებების არსებული ფორმატის ფარგლებში მიაღწევენ.

დღეს დნესტრისპირეთში სამშვიდობოების ერთობლივი ძალები დგას, რომელთა შემადგენლობაში 335 რუსი სამხედრო პირია (სხვა მონაცემებით 400 კაცზე ცოტა მეტი), 490 - დნეპრისპირელი, ხოლო 453 - მოლდოველი. ასევე 10 სამხედრო დამკვირვებელი უკრაინიდან. სმირნოვი ფორმატის შეცვლის წინაალმდეგია. პირიქით, მან მოსკოვს დამატებით 1000 სამხედროს გაგზავნა სთხოვა.

ვორონინის მმართველობის პერიოდში რუსეთი დნესტრისპირეთს ეხმარებოდა, მაგრამ სიტყვით მხარს უჭერდა მოლდოვასთან მის გაერთიანებას ფედერაციის და კონფედერაციის ფარგლებში, მომავალი სახელმწიფო გაერთიანების ნეიტრალიტეტის პირობით. დღეს რუს ანალიტიკოთა ნაწილს მიაჩნია, რომ თანდათანობით შესაძლოა მოლდოვაში აქტუალური გახდეს რუმინეთთან სასწრაფოდ შეერთების საკითხი (მიუხედავდ იმისა, რომ ასეთი განცხადება ოფიციალურად არავის გაუკეთებია), თუნდ დნესტრისპირეთის გარეშე და მაშინ სმირნოვის პროექტს განხორციელების შანსი მიეცემა.

ექსპერტთა ნაწილი, მათ შორის ავადსახსენებელი ზატულინი, სმირნოვის დემარშს დნესტრისპირეთის შიდა პრობლემებით ხსნის. სმირნოვი ცდილობს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და უფლებამოსილებების პრეზიდენტის სასარგებლოდ გადანაწილებას. თან იმდენი ვადით უნდა ჰქონდეს პრეზიდენტად "არჩევის" უფლება, რამდენჯერაც მოისურვებს, რაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შიგნითაც კი იწვევს ბევრის უკმაყოფილებას. რუსეთის კანონმდებლობასთან დნესტრისპირეთის კანონმდებლობის უნიფიკაციის მსურველს სხვადასხვა მხრიდან ცინიკურად ურჩევენ, თავი დაანებოს რუსეთის ფედერალურ კონსტიტუციას და ნიმუშად რომელიმე ოლქის ადგილობრივი კანონები აიღოს, სადაც გუბერნატორებს სულ სხვა უფლებამოსილებები აქვთ.

68 წლის იგორ სმირნოვი (მანამდე ტირასპოლის ქარხანა "ელექტომაშის" დირექტორი და მოლდოვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) დნესტრისპირეთს 1990 წლიდან ხელმძღვანელობს.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# "საუკუნის მძარცველი" საკუთარ ემოციებს წიგნში აღწერს

*"აბსოლუტურად შერაცხადია," - ასეთი დასკვნა გამოაქვეყნეს პერმის ოლქის ფსიქიატრიული კლინიკის ექსპერტებმა, რომლებიც თვენახევრის განმავლობაში ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას უტარებდნენ "საუკუნის მძარცველის" სახელით ცნობილ ყოფილ ინკასატორს, 36 წლის ალექსანდრ შურმანს, რომელმაც რეკორდი მოხსნა და 250 მილიონი რუსული მანეთი გაიტაცა.*

საქმე ისაა, რომ "საუკუნის ძარცვა" გასროლის გარეშე მოხდა. ინკასატორმა, რომელსაც 10-წლიანი მუშაობის სტაჟი ჰქონდა, ავტომატის მუქარით, კოლეგებს, რომლებსაც "სბერბანკის" კუთვნილი სოლიდური თანხა ავტომანქანით გადაჰქონდათ, ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვა და კოლეგებს თანხა მოსთხოვა. **"შიდსით ვარ დაავადებული, სამკურნალო თანხა მჭირდება,"** - განუცხადა კოლეგებს ამავე ბანკის ინკასატორმა. მან კოლეგები ავტომანქანაში ჩაკეტა, ტომრებში მოთავსებული ფული მანქანიდან გადმოიტანა და გაუჩინარდა.

ძარცვის მეორე დღესვე სამართალდამცველებმა ალექსანდრ შურმანის მეუღლე დააკავეს. ასევე დააკავეს იმ ავტომანქანის მძღოლი, რომელსაც ბანკის კუთვნილი თანხა გადაჰქონდა.

მომხდარი ძარცვიდან ერთი თვის შემდეგ კი თავად მძაცველი ინკასატორი დააკავეს. ალექსანდრ შურმანი ამ ხნის განმავლობაში ტყეს აფარებდა თავს, სადაც სამალავი ჰქონდა გათხრილი.




ალექსანდრ შურმანი




სამალავი ტყეში, სადაც მძარცველი იმალებოდა

როგორც გამომძიებლებმა დაადგინეს, "საუკუნის მძარცველად" ცნობილი ალექსანდრ შურმანი ამ დანაშაულისთვის ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

ალექსანდრ შურმანის მიერ ჩედენილ ძარცვასთან დაკავშირებთ, პერმის ოლქში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა, რომლის შედეგებმაც სამართალდამცველები შოკში ჩააგდო.

**"არავითარ შემთხვევაში არ მივაწვდიდი ინფორმაციას სამართალდამველებს "საუკუნის მძარცველის" ადგილ-სამყოფელის თაობაზე,"** - აცხადებს გამოკითხულთა 58 პროცენტი. მხოლოდ გამოკითხულთა 14 პროცენტი ამბობს, რომ სამართალდამცველებთან ითანამშრომლებდა,მხოლოდ დასაჩუქრების მიზნით. გამოკითხულთა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა კი აცხადებს, რომ ალექსანდრ შურმანს თანაუგრძნობდა, მას მიმალვაში დაეხმარებოდა და ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ ის სამართალდამცველებს ხელში არ ჩავარდნოდა.

ალექსანდ შურმანი ექსპერტიზის შემდეგ კვლავ წინასწარი მოთავსების იზოლატორში დააბრუნეს, სადაც მან მემუარების წერა დაიწყო. "როგორ გავძარცვე გრეფი" - ასეთია წიგნის სახელწოდება, რომელსაც "საუკუნის მძარცველი წერს. გერმან გრეფი "სბერბანკის" პრეზიდენტია. როგორც ალექსანდრ შურნმანის ინტერესების დამცველი მიხეილ პოსტანოგოვი აცხადებს, წიგნში რეალური მოვლენები იქნება ასახული.

**"ჩემი დაცის ქვეშ მყოფი დეტალურად აღწერს წიგნში, რას განიცდიდა ძარცვამდე და რას განიცდის მას შემდეგ,"** - აცხადებს ადვოკატი. მისივე თქმით, წიგნი ოთხნაწილიანი იქნება, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი დანაშაულის მიზეზები, დანაშაულის ჩადენის დეტალები, დაკავება და დაკავების შემდეგ შეძენილი ემოციები.

**"წარმოუდგენელია, გამომივიდა, ნუთუ,ეს ჩემს თავს მოხდა?1 250 მილიონი მაქვს ხელში,.არ მჯერა, რომ ფულის ტომრები ჩემთან არის. ყველაფერი კარგად იქნება,"** - ასე აღწერს საკუთარ წიგნში ძარცვის შემდეგ მიღებულ ემოციებს ალექსანდრ შურმანი. აქვე საუბარია იმაზე, როგორ დააბიჯებდა ქუჩაში 5 მილიონი მანეთით მძარცველი და როგორ იყიდა ამ ფულის მოსათავსებლად პლასტმასის ვედრო, რომ ვინმეს ეჭვი არ შეპარვოდა.

**"ვერ ვიჯერებ. ჯერ კიდევ გუშინ, ჩვეულებრივი, რიგითი ინკასატორი ვიყავი, დღეს კი მილიონერი ვარ,"** - წერს წიგნში მძრცველი.

როგორც რუსული პრესა წერს, ალექსანდრ შურმანის მიერ გატაცებული თანხის ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. ძარცვის მეორე დღესვე, სამართალდამცველებმა ინკასატორის მეუღლისგან 9 მილიონი მანეთი ამოიღეს. ალექსანდრ შურმანის დაკავების შემდეგ კი სამართალდამცველებმა ორ საიდუმლო სამარხს მიაგნეს ტყეში, საიდანაც გატაცებული თანხის მხოლოდ ნაწილი ამოიღეს.

# დისიდენტ ჟურნალისტს ორგანიზაცია "ნაშის" საშუალებით დევნიან

### საქმეში უკვე "ერთიანი რუსეთიც" ჩაერთო

ივა შილაკაძე

კრემლის ხელდასხმული ახალგაზრდული ორგანიზაცია "ნაშისა" და ადამიანის უფლებათა დამცველისა და ჟურნალისტ ალექსანდრ პოდრაბინეკის დაპირისპირებაში, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინ დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში ძალიან გამწვავდა, უკვე ადამიანის უფლებათა დაცვის საპრეზიდენტო საბჭო და მმართველი პარტია "ედინაია როსიაც" ჩაერთვნენ. ეს შეიძლება ერთ კონკრეტულ შემთხვევად დარჩენილიყო და მისი საერთაშორისო დონეზე გახმაურება და განზოგადება არც მომხდარიყო, რომ არა ამ ბოლო დროს რუსეთში სწორედ ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ აშკარად შესამჩნევი სახიფათო ტენდენცია. რუსეთის სხვადასხვა რეგიონში მათი დაშინების, ცემის და სასამართლო დევნის შემთხვევები გახშირდა, რომ აღარაფერი ვთქვათ კრიტიკულ რეგიონში - ჩრდილოეთ კავკასიაში რამდენიმე ცნობილი უფლებათა დამცველის მკვლელობის ფაქტებზე.

ყველაფერი დაიწყო პოდრაბინეკის მიერ ინტერნეტში 21 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიით, რომელშიც ის სამწვადეზე გამოკრული აზრის ჩამოხსნას გამოეხმაურა. მანამდე მოსკოვის ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოკრუგის პრეფექტმა ოლეგ მიტვოლმა ვეტერანთა საბჭოს მოსკოვის ორგანიზაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ლენინგრადის პროსპექტზე მდებარე სამწვადიდან აზრის "ანტისაბჭოური" ([illegible]) ჩამოხსნის განკარგულება გასცა. სამწვადე სასტუმრო "საბჭოურის" ([illegible]) პირდაპირ მდებარეობს და ასეთი სიტყვათა თამაშით ცხადია, სამწვადის პატრონები კლიენტებს იზიდავდნენ. ეს სიტყვათა თამაში კი ვეტერანებისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და ისინი "უადგილო კალამბურის" გამო "აღშფოთდნენ". ალექსანდრ პოდრაბინეკი ამ ამბავს გამოეხმაურა თავის სტატიაში - "როგორც ანტისაბჭოელი ანტისაბჭოელებს" ([illegible]), სამწვადეს მეპატრონეებს მხარი დაუჭირა და "ვეტერანებს" საკმაოდ მკვეთრი გამონათქვამებით დაუპირისპირდა.

პოდრაბინეკი საბჭოთა პერიოდის დისიდენტია, იგი თავისი შეხედულებების გამო ციხეში ორჯერ იჯდა. სტატიაში წერდა, რომ "საბჭოთა კავშირში, თქვენ გარდა, სხვა ვეტერანებიც იყვნენ - საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის ვეტერანები, რომელთა შესახებაც თქვენ არ გინდათ, რაიმე იცოდეთ და გაიგონოთ". ამას გარდა, პოდრაბინეკმა "საბჭოთა ვეტერანებს" "ჯალათები" და "ციხის ზედამხედველები" (დისიდენტების და პატიმრების ჟარგონზე - "[illegible]") უწოდა.

ის, რაც ამის შემდეგ დაიწყო, არანაირ ცივილიზებულ ჩარჩოებში არ ჯდება და უფრო პოლიტიკურ-კრიმინალური შინაარსის მქონე ფილმის სიუჟეტს წააგავს, სადაც მოვლენები უტრირებულია. პოდრაბინეკს კრემლის მიერ კონტროლირებადი ახალგაზრდული ორგანიზაცია "ნაში" ზეწოლის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით დაუპირისპირდა. ინტერნეტსაიტი, რომელთანაც პოდრაბინეკი თანამშრომლობს, "ბლოგერების" შეტევის და ლანძღვის ობიექტი გახდა. საიტებზე დიდი ასოებით იყო მოწოდება "შეიძლება ვდევნოთ". მის სახლთან 24-საათიანი პიკეტი მოაწყვეს, უცნობი პირები მის ბინაში სხვადასხვა საბაბით ცდილობდნენ შესვლას, მისი მოძრაობის გრაფიკის დასადგენად მეზობლები დაკითხეს. "ნაშის" აქტივისტებმა პოდრაბინეკის მოსაძებნად მოტყუებით შეაღწიეს "ნოვაია გაზეტას" რედაქციაშიც, სადაც ის მუშაობს. შენობაში სხვა სართულზე განლაგებული ორგანიზაციის საშვებით შეაღწიეს, შემდეგ თავისი "ფორმის" წითელი ქურთუკები გადაიცვეს (ეს ვიდეოკამერებმაც დააფიქსირეს) და რედაქციაში შევიდნენ, მაგრამ პოდრაბინეკი ვერ იპოვეს, რადგან ის სამსახურში არ იმყოფებოდა. ჟურნალისტისგან მოითხოვენ ან ბოდიში მოუხადოს ვეტერანებს, ან ქვეყანა დატოვოს (?!). ორგანიზაციამ "ნაშიმ" მას სასამართლოშიც უჩივლა.



პოდრაბინეკი ბოლო დღეებში სახლში ვერ მიდის და მისი ადგილსამყოფელი არ ხმაურდება. ახალგაზრდული ორგანიზაცია "ნაში", კერძოდ მისი ხელმძღვანელი ნიკიტა ბოროვიკოვი აცხადებს, რომ კანონის ფარგლებში მოქმედებენ, მათ აქვთ რეაგირების უფლება და ჟურნალისტს ფიზიკური ანგარიშსწორებით არავინ დამუქრებია. მის სახლთან უვადო პიკეტს კი ვიდეოკამერით გადაიღებენ. სხვათა შორის, ამ პიკეტის მოწყობის უფლება მათ მოსკოვის მერიისგან უპრობლემოდ მიიღეს, ოპოზიციური ორგანიზაციების ანალოგიური მოთხოვნები კი, როგორც წესი, დაუკმაყოფილებელი რჩება. "ბი-ბი-სი"-სა და "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუებში პოდრაბინეკის მეუღლე ვრცლად ლაპარაკობს დევნის ფაქტებზე. იგი აცხადებს, რომ ორგანიზაცია "ნაშის" მოქმედებათა შეფასებისას შთაბეჭდილება რჩება, რომ მათ მხოლოდ ერთი ბრძანების - "ეცი" - შესრულება იციან.

ადამიანის უფლებათა ცნობილ დამცველს "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" და "ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი" გამოესარჩლენ. რუსი და უცხოელი ადამიანის უფლებათა დამცველები სახელმწიფოს მოუწოდებენ, უზრუნველყოს ჟურნალისტის უსაფრთხოება. მათ ხელისუფლებას შეახსენეს, რომ სასწორზეა ადამიანის სიცოცხლე და რუსეთში სიტყვის თავისუფლების პატივისცემა. პოდრაბინეკის შემთხვევა ნათლად მეტყველებს, რამდენად ძნელია დღევანდელ რუსეთში დაუპირისპირდე ოფიციალურ ვერსიას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში.

თვითონ პოდრაბინეკი "ცოცხალი ჟურნალის" ინტერნეტსაიტზე აცხადებს, რომ "ჩემზე და ჩემს ახლობლებზე შეტევა მხოლოდ პროპაგანდისტული ილეთია, "სახალხო აღშფოთების" იმიტაცია. მის უკან სერიოზული ძალები დგანან. სანდო წყაროებიდან მივიღე ინფორმაცია, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე მიიღეს ჩემთან ნებისმიერი ფორმით გასწორების შესახებ გადაწყვეტილება ".

გუშინწინ ალექსანდრ პოდრაბინეკს უკვე რუსეთის პრეზიდენტთან არსებული "ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობის საბჭო" გამოესარჩლა. მისი ხელმძღვანელი ელა პანფილოვა აცხადებს, რომ ის არ ეთანხმება აზრის გამოთქმის მკვეთრ ფორმას, მაგრამ მას, როგორც რუსეთის ყველა მოქალაქეს, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს. საწინააღმდეგო აზრიც იმავე ფორმით უნდა გამოითქვას, ხოლო თუ ვინმე ფიქრობს, რომ პოდრაბინეკმა სხვისი უფლებები შელახა ან კანონი დაარღვია, ამის გასარკვევად სასამართლო არსებობს. ორგანიზაცია "ნაშის" მოქმედებებს კი საბჭო უკანონოდ და ამორალურად მიიჩნევს. საბჭოს შეფასებით, "ნაშის" მოქმედებები "სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნის სამარცხვინო საბჭოთა კამპანიებს" გვახსენებს. საბჭომ "ნაშის" მოქმედებებში ექსტრემიზმის ნიშნებიც დაინახა.

გუშინ საბჭოს ასეთი პოზიციით უკვე მმართველი პარტია "ედინაია როსიას" წარმომადგენლები აღშფოთდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ პოდრაბინეკის გამოსარჩლებით მეორე მხარისთვის ხელ-ფეხის შეკვრის მცდელობასთან გვაქვს საქმე. მმართველი პარტიის წარმომადგენლები რუსეთის პრეზიდენტის წინაშე ელა პანფილოვას გადაყენების საკითხის დაყენებას აპირებენ, თუმცა ამაზე ელა პანფილოვამ განაცხადა, რომ ზეწოლას მიჩვეულია და უკან არ დაიხევს.

პოლიტიკოსების ასეთი მწვავე და არაადეკვატური რეაქცია აშკარად მიუთითებს ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე. პოდრაბინეკის წყარო, როგორც ჩანს, მართალია და ჟურნალისტთან ანგარიშსწორება მართლაც "ზემოთ" დაიგეგმა.

# ბარაკ ობამა: ავღანეთიდან ჯარების გაყვანას არ ვაპირებთ

### გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა ობამას პოლიტიკური ბედი განსაზღვროს

მარიკა იაშვილი

ამერიკის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი ავღანეთში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაზრდის საკითხს ობამას პრეზიდენტობის პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უწოდებს და მის მისაღებად დროს მოითხოვს.

თავად ამერიკის პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ ავღანეთში ამერიკული სტრატეგიის მისეული შეფასება ქვეყნიდან ჯარების გაყვანას ან მათი რაოდენობის შემცირებას არ გულისხმობს. თუმცა ობამას არც ის უთქვამს, რომ ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის 40 ათასით გაზრდას არ აპირებს, რასაც ამერიკული სამხედრო ძალების მეთაური გენერალი სტენლი მაკკრისტალი მოითხოვს.

ობამა მაკკრისტალს გასულ პარასკევს, თვითმფრინავის ბორტზე შეხვდა, როდესაც კოპენჰაგენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეხვედრაზე მიფრინავდა და კონტინგენტის გაზრდის სასარგებლო არგუმენტები უშუალოდ მისგან მოისმინა.

თუმცა, ამ საკითხის შესახებ პრეზიდენტის სტრატეგიის ღიად დაფიქსირების გაჭიანურება, ექსპერტთა განცხადებით, პოლიტიკურ მღელვარებას პრეზიდენტის პარტიის წევრებშიც კი იწვევს. გადაწყვეტილების მიღების წინ ამერიკის პრეზიდენტი კონსულტაციებს სენატორებსა და კონგრესმენებთან ატარებს. თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე ობამამ აღნიშნა, რომ არ აპირებს, ავღანეთში მხოლოდ "ალ კაიდას" ლიდერების დევნითა და მათი განადგურებით შემოიფარგლოს.

დეპუტატთა ნაწილი დაუსრულებელ ავღანურ ომში დამატებითი ძალების ჩართვის საკითხს ეჭვით უყურებს. წამყვანი კონგრესმენები აცხადებენ, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ, თუმცა ჟურნალისტებთან საუბრისას არ მალავენ, რომ ქაბულში დამატებითი სამხედრო ძალების გადასროლის საკითხი აზრთა სერიოზულ სხვადასხვაობას იწვევს. ამის გამო პრეზიდენტი აცხადებს, რომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ყველა მხარეს ვერ დააკმაყოფილებს.



ამავე დროს გენერალი მაკკრისტალი დაჟინებით მოითხოვს ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდას და აცხადებს, რომ ამერიკული მისიის წარმატებით დასაგვირგვინებლად სულ უფრო ცოტა დრო და შანსი რჩება და დამხმარე ძალა აუცილებელია. "დემოკრატი" კონგრესმენები მის მოთხოვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. "რესპუბლიკელები" კი აცხადებენ, რომ ამ გეგმას მხარს იმ შემთხვევაში დაუჭერენ, თუ ეს თავად სამხედრო მოსამსახურეების ინტერესებშიც იქნება.

"დემოკრატებიც" არ გამორიცხავენ, რომ ავღანეთში ამერიკული კონტინგენტის გაზრდას მხარი დაუჭირონ, თუმცა მათი ლიდერ ნენსი პელოსის ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისთან თანამშრომლობის საკითხი სერიოზულად აეჭვებს.

"დემოკრატების" განცხადებით, რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ავღანეთში განსახორციელებელ ქმედებათა სამხედრო სტრატეგიის შემუშავება.

დაგეგმილია, რომ პრეზიდენტი ობამა ავღანეთის ომის გეგმის გამოცხადებამდე კიდევ, სულ მცირე, სამ თათბირს ჩაატარებს. მას კარგად ესმის, რომ სამხედრო დანაკარგის ზრდასთან ერთად, რამაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად იმატა, ავღანეთის ომი ამერიკაში სულ უფრო არაპოპულარული გახდა.

თეთრმა სახლმა ავღანეთიდან ძალების გამოყვანის შესაძლებლობა გამორიცხა, თუმცა ობამასთვის, როგორც პრეზიდენტისთვის, მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება, შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

# რევიუ



AFP ' 2009

*ამ უძველეს ნიღაბს მალინალტეპეკი ჰქვია და ჩვენი წელთაღრიცხვით 350-500 წლებით თარიღდება. იგი პარიზში გამართული გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატია, გამოფენა კი აცტეკების უნიკალურ კულტურას ეძღვნება. აქ წარმოდგენილია მექსიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხუთასამდე ნივთი, რომლებიც არქეოლოგებმა "ღმერთების ქალაქის" სახელით ცნობილი ადგილის გათხრისას იპოვეს.*

## ბუკერი მგლების დარბაზში

### წლის ნაწარმოებად ჰილარი მენტელის რომანი დაასახელეს

ლონდონში 2009 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატის ვინაობა დაასახელეს - წლის რომანის წოდება ბრიტანელმა მწერალმა ჰილარი მენტელმა დაიმსახურა რომანისთვის "მგლების დარბაზი". ნაწარმოები ინგლისის მეფის, ჰენრი VIII-ს მმართველობის პერიოდს და სამეფო კარზე განვითარებულ პოლიტიკურ ინტრიგებზეა, რომლის მთავარი გმირი ტომას კრომველი, მეფესთან დაახლოვებული და მისი მრჩეველი ისტორიული პიროვნება გახლავთ.

ჟიურიმ, რომელსაც შოტლანდიელი მწერალი და ჟურნალისტი ჯეიმს ნოტი ხელმძღვანელობდა მენტელის რომანისთვის უპირატესობის მინიჭება შემდეგნაირად ახსნა: "ნაწარმოები უბრალოდ ძალიან კარგია. ის გონიერადაა დაწერილი და საინტერესო თემატიკას ეძღვნება, ამიტომ ჰილარი მენტელის გამარჯვება ყველანაირად გამართლებულია". კომენტარს აკეთებს თავად გამარჯვებულიც: "ტომას კრომველი უბრალო მჭედლის შვილი გახლდათ, რომელმაც სიცოცხლე ესექსის გრაფის წოდებით დაასრულა. როგორ მიაღწია ამ მდგომარეობას, როგორ ასრულებდა მთავარ პარტიას სახელმწიფოს მართვაში, რა როლი შეასრულა ინგლისის ისტორიაში - სწორედ ამის შესახებაა ეს წიგნი".

ჰილარი მანტელის პირველი ნაწარმოები "ყოველი დღე დედის დღეა" 1985 წელს გამოიცა, თუმცა განსაკუთრებული აღიარება არ მოუპოვებია. ამის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა თავის ძირითად საქმიანობას, კინოს კრიტიკას და მხოლოდ ჟურნალისტური საქმიანობით შემოიფარგლებოდა. თუმცა პერიოდულად მაინც ახერხებდა ნოველების გამოცემას. 1989 წელს მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწამოები "ფლუდი" გამოვიდა,




რომელმაც ავტორს ლიტერატურული პრემია და აღიარება მოუტანა. ჰილარი მენტელი ათამდე წიგნის ავტორია და თითქმის ყველა მათგანს გააჩნია სხვადასხვა ლიტერატურული პრემია. ბოლო, "მგლების დარბაზი" კი როგორც უკვე გითხარით, ბუკერით აღინიშნა. ამ ნაწარმოებს ავტორი ხუთი წლის განმავლობაში წერდა და როგორც დაჯილდოების ცერემონიალზე აღნიშნა, მალე მის გაგრძელებაზე დაიწყებს მუშაობას.

წელს ჰილარი მენტელის მთავარი კონკურენტი 2003 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, სამხრეთ აფრიკელი ჯონ მაქსველ კუტზეე გახლდათ, რომელმაც ბუკერზე მემუარული ჟანრის "ზაფხული" წარადგინა. ეს ავტორი ორჯერ უკვე იყო ბუკერის ლუარეატი: 1983 წელს რომანისთვის "მაიკლ კ-ს ცხოვრება და დრო" და 1999 წელს გამოცემული "ულირსობისთვის".

## ილია და კირილე ზდანევიჩები

დღეს, 18 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში იხსნება კირილე და ილია ზდანევიჩების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია "კლუბ ილიაზდი"-ს პრეზიდენტის ფრანსუა მერესა (საფრანგეთი) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებში დაცული ძმები ზდანევიჩების 50-მდე ნამუშევარი, რომელთა ნაწილი საქართველოში არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი.

დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა იხილოს ილიაზდის უნიკალური შავი მუშამბის ყდიანი დღიური, რომელშიც აღწერილია ნიკო ფიროსმანის აღმოჩენის ისტორია; ასევე, მისი საავტორო წიგნის გვერდები, ილუსტრაციები... შანელის სახლისთვის შექმნილი ესკიზები, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრის გეგმები. კირილე ზდანევიჩის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, საარქივო მასალა - აფიშები, გაზეთები..., ექვიმე თაყაიშვილის წერილი ილიაზდისადმი 20-იან წლებში მიწერილი და სხვა.

"თბილისური ავანგარდი" ბუნებრივად ასოცირდება ძმების კირილე და ილია ზდანევიჩების სახელთან. პოლონური წარმოშობის ქართველ შემოქმედთა ეს ორი ფიგურა განსაზღვრავს ავანგარდული ხელოვნების კუბისტურ - ფუტურისტული ნაკადის დინამიკურსა და ცხოველმყოფელ მოძრაობას 1910-1920-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში.

გარდა თავად კირილე და ილია ზდანევიჩების შემოქმედების მნიშვნელოვნელობისა მათი ღვაწლი ქართული ხელოვნებაში უსაზღვროდ დიდია.

სწორედ ძმები ზდანევიჩების დამსახურებაა გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის აღმოჩენა და მისი შემოქმედების პოპულარიზაცია. ზდანევიჩები ფიროსმანის ნამუშევართა პირველი კოლექციონერები გახლდნენ. მათ გვერდით იდგა ფრანგი მხატვარი მიშელ ლე-დანტიუ.

მხატვრების ადრეული პერიოდის შემოქმედება იმ ეპოქის ნოვატორულ ძიებებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ილიას ლითოგრაფირებული წიგნები და კირილეს გრაფიკული ნამუშევრები.

მხატვართა შემოქმედების შედარებით გვიანი პერიოდი წარმოდგენილია ილია ზდანევიჩის ემიგრაციაში შესრულებული ლიტერატურული ქმნილებებითა, წიგნებით და კირილე ზდანევიჩის 1960-იან წლებში შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით.

ნამუშევრებში მიუხედავად იმ პერიოდის კულტურაში გაბატონებული სოცრეალისტური მსოფლხედველობისა მაინც იგრძნობა მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა და თვითმყოფადობა.

გამოფენის ორგანიზატორები: საფრანგეთის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი.

*24 საათი*

## ფრანგული კულტურული კვირეული

12 ოქტომბრამდე, თბილისი სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით ფრანგულ კულტურას მიაგებს პატივს - თეატრალურ და მუსიკალურ სცენებზე ფრანგი არტისტების მონაწილეობით ან საფრანგეთისა და საქართველოს ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობის გამოფენით.

5 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში უკვე გაიმართა ფრანგი მუსიკოსების წყვილი: ფრანგი ჰობოისტი ფრანსუა ლელო და მისი მეუღლე ვიოლონისტი ლიზა ბათიაშვილი, რომლის წარმატებულ კარიერასაც მოწმობს კრიტიკის მიერ პრემირებული ბოლო დისკი.

6 ოქტომბერს და ოთხშაბათს 7 ოქტომბერს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" ფრანგულ-ხორვატულ პიესას "So So" წარმოადგენდა ფრანგი მსახიობი კატრინ დიუფლო.

დღე და ხვა, ანუ 8 ოქტომბერსა და 9 ოქტომბერს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართება ფილიპ ჟანტის დასის მიერ დადგმული მარიონეტების კომიკური სპექტაკლის "ზიგმუნდის ოინების" წარმოდგენა. ამ ფილოსოფიურმა ფარსმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მთელი მსოფლიო დაიპყრო.

ამას გარდა, დღეს საღამოს, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სწორედ ფრანგული კულტურის დღეების ფარგლებში იხსნება ორი ქართველი ხელოვანის გამოფენა - კირილე და ილია ზდანევიჩების - შემოქმედებით გზას.

9 ოქტომბერს, 16 საათზე, ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმში გაიმართება კირილე და ილია ზდანევიჩების მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

9 ოქტომბერსვე, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი "არტისტერიუმი" წარმოგვიდგენს ფრანგი ხელოვანებისა და გამოფენის კომისარის ეველინ ჟუანოს პროექტს «EMERGENCY BIENNALE IN CHECHNYA». ეს პროექტი მოსკოვის ბიენალეს საპასუხოდ 2005 წლის თებერვალში გროზნოში უნდა ჩატარებულიყო და იგი მას შემდეგ ბევრ ქალაქში იყო წარმოდგენილი, მათ შორის პარიზში, სტამბოლში, სან-ფრანცისკოსა და ვანკუვერში.

დაბოლოს, საფრანგეთი აქტიურ მონაწილეობას იღებს პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსში, რომელიც კონსერვატორიაში მიმდინარეობს 1-დან 14 ოქტომბრამდე.

*24 საათი*

# სანამ იანს ეძინა…

### სასტუმროში გათამაშებული "SO, SO…"

თამარ კიკნაველიძე



ბატონ იანს ახსოვს რა მიზნით მივიდა სასტუმრო "მარიოტში", როგორ მოკალათდა სავარძელში, სხვების ზურგს უკან, ღიმილით შეავლო თვალი ნაცნობ სახეებს და როგორც კი განეწყო, გაითიშა...

აი, ასე, ბატონი იანივით ჩვენც ხშირად ვეთიშებით რეალობას, იშვიათად კი ისეთი სიძლიერით, რომ ნამდვილის გარჩევა გვიჭირს. დავიჯერო, არასოდეს გქონიათ განცდა, რომ ირეალურიც ცხადია? მე კი, ბევრჯერ და ეს "მეორე რეალობა" მავსებს კიდეც... როდის? მაშინ, როდესაც თეატრში მივდივარ… თუმცა, იმ დღეს, უფრო ზუსტად კი 6 ოქტომბერს, მე და ბატონი იანი განსხვავებული დოზით გავითიშეთ - ის ძალიან, მე - ოდნავ, ამიტომაც რაღაცეების დანახვა მოვასწარი და თუ მკითხავთ, რა გაარჩიეთ, გიპასუხებთ, რომ ის, რისი აღქმაც შეიძლებოდა.

თავდაპირველად მახსოვს განცდა, რომელიც ერთი, ტრადიციული და დათქმული ადგილის მეორეთი ჩანაცვლებამ გამოიწვია, ანუ თეატრი სასტუმრო "მარიოტმა" შეცვალა, სცენა და პარტერი კი - სასტუმრო ოთახმა, სადაც ბ-ნ იანთან ერთად მოვხვდი. საუკეთესო ადგილი შემხვდა, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ ბ-ნი იანის მსგავსად ჩემს გვერდით მსხდომნიც არ გაითიშნენ და მარტო არ დამტოვეს "რეალობასთან", რომელიც ცხადზე ბანალური აღმოჩნდა.



კატერინ დუფლოტის სასცენო პროექტი (ავტორი - კატერინ დუფლოტი), როგორც წესი, ძვირადღირებულ სასტუმროებში ხორციელდება. ფრანგულ-ხორვატიული პროდუქტი სოფი კალეს ტექსტზე დაყრდნობით რეჟისორმა ბრანკო ბრეზოვეჩმა შექმნა. მასში კლაიდ ჩაბოტი, კატერინა დუფლოტი და სინიჩა მილეტიჩი მონაწილეობენ.

სად გათამაშდა პროექტი? როგორც ზემოთ აღვნიშნე, სასტუმრო "მარიოტის" ნომერში, სადაც ერთ ოთახში ისე მოგვათავსეს, რომ რამდენიმეს თვალთახედვის არეში სამი ოთახი მოექცა, სხვები კი მხოლოდ ორს, ან ერთ აკვირდებოდნენ.

როგორი იყო გარემო? დაულაგებელი. "მარიოტის" ინტერიერისთვის მონაწილეებს ბევრი ნივთი შეემატებინათ. ერთ ოთახში ნასუფრალი მაგიდა დაგვხვდა, დასვრილი ჭიქებითა და თეფშებით, რომლებზეც საჭმლის ნარჩენებს აღმოაჩენდით, მეორეში ჩვენ მოგვათავსეს და ამით, შეიძლება ითქვას, რომ ჩაგვსვეს გარემოში, სადაც გათვლილი იყო თითოეული ნივთისა და საგნის ადგილი, მესამეში კი რამდენიმემ ტახტზე წამოგორებული მამაკაცი დავინახეთ - ის რეჟისორი აღმოჩნდა.

გინახავთ წარმოდგენა, რომელშიც დამდგმელი ტახტზეა წამოწოლილი? არც მე! მისი ფუნქცია იმით შემოიფარგლებოდა, რომ ტელეფონზე პერსონაჟთა ზარებს პასუხობდა. თუმცა, რეჟისორის ყოფნა და ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნება, შესაძლოა, ემსახურებოდა იმას, რაც იქ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ანუ განწყობას.

რამ შეგვიქმნა განწყობა? ნივთებმა და საგნებმა, რომლებიც მიმოეფანტათ, ასევე, განათებამ, პროექტორის დახმარებით აციმციმებულმა კადრებმა, ტელევიზორმა, სადაც იტალიურ ენაზე დუბლირებული ფილმის კადრებსაც უჩვენებდნენ (სტივ მაქუინის მონაწილეობით), ანუ ერთის მხრივ ბუტაფორიამ, მეორე მხრივ - ტექნიკურმა საშუალებებმა, რომლებიც ინტერიერში ორგანულად მოეთავსებინათ.

რაზეა სპექტაკლი? როგორ თამაშობენ მსახიობები? მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის დაწყებამდე მისი თავებად დაყოფილი სინოფსისი დაგვირიგეს, სიმართლე გითხრათ, მასში ამოკითხული არ გამომადგა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მთავარი იყო განწყობა, რომლის შესაქმნელადაც რეჟისორთან ერთად სცენოგრაფმა - ტიჰომირ მილოვაჩმა და განათება-გახნმოვანების ავტორმა - დამირ კრუჰაჩმა იმუშავა.

"მარიოტში" გაცოცხლებულ პროექტში, ფრანგულ და ხორვატიულ ენებზე მოთხრობილს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ახალს ვერაფერს ვამბობთ და თანამედროვე ადამიანებსაც ის გვაწუხებს, რაც ოდითგანვე გვტკიოდა და გვაინტერესებდა, მაგალითად: ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, გაუცხოვებისა და არარეალიზებულობის პრობლემა, გაორება, ბრძოლა საკუთარ თავთან და ა.შ. ამ ჩამონათვალს კი მოგვიანებით ქალის როლის გააქტიურება და მამაკაცის ფუნქციების შეზღუდვაც დაემატა, რაზეც მტკივნეულად ვრეაგირებთ.

ჩვენს თვალწინ სამი პერსონაჟი დგას. მათი მოძრაობა, ძირითადად, შენელებულია, იშვიათად კი - ზედმეტად აჩქარებული. ისინი ერთმანეთს იშვიათად ეხებიან და დისტანციას ინარჩუნებენ. მათ შორის ცენტრალური ფიგურაა უკვე ასაკოვანი, სუსტი აღნაგობის ქალბატონი. ის არის მამაკაცის საყვარელიც და ცოლიც. ამ მამაკაცის შემსრულებელი კი მეორე კაცსაც ანსახიერებს. ეს უკანასკნელი მაშინ ჩნდება, როდესაც ცოლ-ქმარი განქორწინდება და ქალი მასთან გააბამს რომანს, მაგრამ მათი ურთიერთობაც განშორებით მთავრდება. ვინ არის მეორე ქალი? ორივე ქალი ერთ პერსონაჟს განასახიერებს. ამაში მაშინ დავრწმუნდით, როდესაც ერთი გმირის გაორების, საკუთარ თავთან ბრძოლისა და ჭიდილის სცენა წარმოგვიდგინეს. თუმცა, პირველზე შედარებით ახალგაზრდა შემსრულებელი ერთგან მამაკაცსაც თამაშობს. აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული და მსახიობთა ამოცანას პერსონაჟთა ემოციების გამოხატვა წარმოადგენს, რასაც თავს ართმევენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს მათი ოსტატობა მაყურებელთან ახლო მანძილზე მუშაობის თვალსაზრისით...

"მე მომეწონა ეს კაცი, როდესაც პირველად სექსით დავკავდით, იმ ღამეს შემეშინდა მისთვის სახეში შემეხედა. მეგონა, რომ გრეგი კვლავინდებურად მიყვარდა და იმ აზრთან შეგუების შემეშინდა, რომ შემთხვევით სხვა მამაკაცთან ვიწექი. გადავწყვიტე თვალები დამეხუჭა. მაგრამ სიბნელეშიც კი გაურკვევლობა არ მტოვებდა. ერთხელ დიდად მივქარე და გავუმხილე, რატომაც არ ვახელდი თვალებს. არავითარი რეაქცია არ ჰქონია. რამოდენიმე თვის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ გავთავისუფლდი გრეგის აჩრდილისგან, საკუთარ თავში დარწმუნებულმა თვალები გავახილე იმ იმედით, რომ ეს ის კაცი იყო, ვისთანაც ყოფნა მსურდა. არ ვიცოდი, თუ ეს ჩვენი უკანასკნელი ღამე იქნებოდა: ჩემს მიტოვებას აპირებდა. მოვლენები ჩვენ წინ გვისწრებს, მათ ვერასოდეს მოვაგვარებთ და მათ ნამდვილ სახელს ვერასოდეს გავიგებთ... სააბაზანოში, ნიჟარაზე ორი სავსე ჰიგიენური ჩანთაა, ერთ აწერია "პმ"; აბაზანაში ბინძური ტრუსები და ნახმარი ტამპონი გდია. დილის 10:08 საათი. ვხედავ, როგორ ჩამოდის მატარებლიდან. ქალი მოყვება. ორივეს ვეებერთელა ბარგი მოაქვს. ნელ-ნელა დაღლილები მიემართებიან გასასვლელისკენ. ბოლო სურათს ვიღებ, როგორ გამოდის სადგურიდან. მასთან გატარებული ამ ცამეტი დღის შემდეგ, ჩვენი ამბავი დასასრულს მიუახლოვდა. დილის 10:10 საათი. ვწყვეტ ჰენრი ბ-ს თვალთვალს", - აი, ესეც ამონარიდი ტექსტიდან, ერთგავრი შტრიხი განწყობის შესაქმნელად.

და მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ იან ჰერბერტს (კრიტიკოსთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი), რომელიც საქართველოში თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ჩამოვიდა, ამ წარმოდგენის მსვლელობისას ეძინა, მაინც არ გაუჭირდებოდა ეპასუხა კითხვაზე - "როგორი იყო წარმოდგენა?", ის აუცილებლად გეტყოდათ: "SO, SO…" და მართალიც იქნებოდა...

# ნოდარ გაბუნიას მუსიკის დრო დადგა

ნინო ჟვანია

საერთაშორისო კონკურსების ტრადიციად იქცა პროგრამაში ერთი სავალდებულო ნაწარმოების ჩასმა, რაც შესაძლებლობას აძლევს ჟიურის, შეაფასოს თანაბარ პირობებში ჩაყენებული შემსრულებლები. პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსის II ტურის სავალდებულო ნაწარმოების სახით ნოდარ გაბუნიას 1962 წელს შექმნილი "იმპროვიზაცია და ტოკატა" შეირჩა. ნომინაციაში - **"ქართველი კომპოზიტორის სავალდებულო საკონკურსო ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის"** - პრემია გაიცემა ცალ-ცალკე, უცხოელი (ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსის მიერ) და ქართველის პიანისტებისათვი (კორპორაცია BAGEBEY CITY GROUP-ის მიერ).

"ნოდარ გაბუნია საოცრად ნიჭიერი კომპოზიტორია, რომლიც მხოლოდ ახლა იმკვიდრებს მისთვის განკუთვნილ ადგილს. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი მუსიკის დრო დადგა" - აღნიშნა თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა, მუსიკისმცოდნემ ლიდია გოგუამ. ნაწარმოებში იგრძნობა, როგორ გაარღვია მუსიკამ საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩამოფარებული კულტურული "რკინის ფარდა" გასული საუკუნის 60-იან წლებში. ქართული რიტმებისა და ინტონაციების მიღმა იგრძნობა, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი უკვე იცნობდა მის თანამედროვე დასავლურ მუსიკალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, რაც "იმპროვიზაციასა და ტოკატას" იმავე პერიოდში შექმნილ სხვა ქართულ საფორტეპიანო ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს. შექმნიდან 47 წლის შემდეგაც კი ნაწარმოები საკმაოდ თანამედროვედ ჟღერს, განსაკუთრებით თანამედროვე მუსიკით ნაკლებად განებივრებული თბილისელი მსმენელისთვის.

3 დღის განმავლობაში "იმპროვიზაცია და ტოკატა" თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ოცდახუთჯერ შესრულდა. ოცდახუთივე ინტერპრეტაცია ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსის დამაარსებელმა და დირექტორმა, ვალერიან შიუკაშვილმა მოისმინა: "სასიხარულოა, რომ წლევანდელ კონკურსზე სავალდებულო ნაწარმოებად შეირჩა სწორედ ნოდარ გაბუნიას "იმპროვიზაცია და ტოკატა". თავის დროზე პიანისტთა თბილისის I საერთაშორისო კონკურსზე (1997) მე დამაჯილდოვეს პრიზით რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატის საუკეთესო შესრულებისათვის და მოხარული ვარ, რომ დღეს თავად შემიძლია პრიზის გადაცემა ანალოგიურ ნომინაციაში. ამასთან, სუბიექტური დამოკიდებულება მაქვს დიდი მაესტროს მიმართ, რადგან ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი მისი ერთ-ერთი მოწაფე და დავსწრებოდი თავის კლასთან ამ ნაწარმოებზე მუშაობის პროცესს. მიმაჩნია, რომ კონკურსანტთა უმეტესობა ჩაწვდა მის მხატვრულ ჩანაფიქრს. ცხადია, გამოიკვეთა პირადად ჩემთვის ფავორიტი, რომლის დასახელებისგანაც თავს შევიკავებ და ვიმედოვნებ, რომ ჩემი და ჟიურის მოსაზრება დაემთხვევა ერთმანეთს". იქიდან გამომდინარე, რომ ვალერიანმა საკუთარი ფავორიტი არ გაგვიმხილა, II ტურის ნებისმიერი მონაწილე შეიძლება ჩაითვალოს პრიზის სავარაუდო მფლობელად. ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს: "გაბუნიას საფორტეპიანო ნაწარმოები ძალიან ორიგინალურია და ამავე დროს საოცრად რთული, როგორც ტექნიკურად, ისე მხატვრული თვალსაზრისით. დიდი ხანი ვფიქრობდი მის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრზე, რაც განსაკუთრებულად საინტერესოს ხდიდა მასზე მუშაობის პროცესს" - აღნიშნა პერუელმა კონკურსანტმა კლაუდიო კონსტანტინიმ. "ნაწარმოებზე მუშაობისას უზარმაზარი სიამოვნება მივიღე. საკმარისი არ არის შეასრულოთ გაბუნიას საფორტეპიანო ქმნილება ტექნიკურად უზადოდ, სუფთად და ამავე დროს ტემპში; აუცილებელია, რომ ტექნიკური საშუალებები მხატვრულ ჩანაფიქრს დაუქვემდებაროთ. ბედნიერი ვიქნები თუ ეს მოვახერხე" - გაგვიმხილა უკრაინელმა კონკურსანტმა ტიმურ გასრატოვმა.



ქართველმა პიანისტმა ნინო ბაქრაძემ კი კომპოზიტორს ასეთი საჩუქრისთვის მადლობა გადაუხადა: "ნაწარმოები მოითხოვს მრავალფეროვან ბგერით პალიტრას, ინსტრუმენტის ფლობას, დახვეწილ ნიუანსირებას და ძლიერ ემოციურ მუხტს, რაც მხატვრული სახის შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "იმპროვიზაცია და ტოკატა" კომპოზიტორის გულუხვი საჩუქარია ყველა შემსრულებლისთვის".

ნოდარ გაბუნიას ნაწარმოები მსმენელმაც საჩუქრად აღიქვა. სხვადასხვა ეპოქის მუსიკალური შედევრების ფონზე ნაცნობი ინტონაციების მოსმენისას ჩნდებოდა მსოფლიო მუსიკასთან თანაზიარების შეგრძნება. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ეს შეგრძნება, როდესაც ამ ქართულ ინტონაციებს საოცრად ბუნებრივად და ორგანულად უცხოელი შემსრულებლები ასრულებდნენ. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მსმენელთა განსაკუთრებული სიმპატია ტიმურ გასრატოვმა (უკრაინა), ანა ღლიღვაშვილმა და ვახტანგ ჟორდანიამ (საქართველო) დაიმსახურეს.

იმედს ვიტოვებთ, რომ კონკურსანტთა უმრავლესობა მიიღებს ნოდარ გაბუნიასა და თბილისის კონკურსის მიერ მათთვის გაკეთებულ საჩუქარს და ააჟღერებს მას მომავალში მსოფლიოს სხვადასხვა დარბაზში. მით უმეტეს, რომ ეს მუსიკა ამას იმსახურებს.

# ცხრიანები

## ფელინის "8½" მარშალის "ცხრად" იქცა

ია ვეკუა

ჯოჯოხეთის ცხრა წრე, კატის ცხრა სიცოცხლე, ფეხმძიმობის ცხრა თვე, "ბიტლზის" Revolution 9 და ასე შემდეგ - მოკლედ 9 სწორედ ის ციფრია, რომელსაც ყველა ეპოქასა და კულტურაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. 2009 წლის დადგომისთანავე გარკვეული მისტიკა და იღბლიანობის განცდა ამ თარიღმაც შეიძინა, ამიტომ ბევრი ცდილობდა მისთვის ერთგვარი ძღვენი მიერთმია. ამ მხრივ კინოსამყარომაც იყოჩაღა და ერთბაშად სამი დიდი პროექტი მოამზადა.

09.09.09 - ამ დღეზე ნადირობა პროდიუსერებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოაცხადეს, რადგან სამი 9-იანისგან შემდგარ თარიღზე პრემიერა ფილმის უცილობელ წარმატებად ესახებოდათ. საბოლოოდ ტიმ ბარტონისა და თემურ ბეკმამბეტოვის დუეტმა იმარჯვა და ეკრანებზე დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებულ პროექტად მიჩნეული "9" გამოვიდა. მართალია, მას ქართულ ეკრანებთან ახლოსაც არ ჩაუვლია, ფილმის ნახვას მაინც მოახერხებთ, თუ ინტერნეტ მეკობრეობას სახელმწიფო დანაშაულად არ მიიჩნევთ.



"9" სამგანზომილებიანი ანიმაციაა, თუმცა ყველაზე ნაკლებად ალბათ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. სამეცნიერო ფანტასტიკის, ფენტეზისა და სათავგადასავლო ჟანრის შეზავებით მიღებული ფილმი ამერიკული კინოს ერთ-ერთ უსაყვარლეს თემატიკას, დედამიწის განადგურებას ეხმიანება. ჰოლივუდმა ამ თემას უკვე იმდენი ფილმი მიუძღვნა, შეიძლება ითქვას, რომ მეორედ მოსვლა უკვე ყველას ნანახი გვაქვს ან ის მაინც ვიცით, დაახლოებით რა სახე ექნება ამ მოვლენას. თუმცა "9-ში" ყველაფერი მაინც სხვაგვარად, უფრო სწორედ ძალიან უცნაურადაა. მეცნიერების მიერ შექმნილმა ხელოვნურმა ინტელექტმა დედამიწაზე ყველანაირი სიცოცხლე, მათ შორის ბაქტერიებიც მოკლა, ქალაქები ნაგვის გროვას დაემსგავსა, ირგვლივ ადამიანების ჩონჩხები და ოდესღაც ამ პლანეტაზე მათ არსებობაზე მიმანიშებელი ნივთები ყრია. თუმცა ტექნოლოგიურ არმაგედონს მაინც გადაურჩა 9 არსება, ნაჭრის თოჯინები, რომლებსაც ადამიანებისა მხოლოდ სული შერჩათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პინოკიოს ახალი ისტორია, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მამილო კარლომ ერთ-ერთი მათგანისთვის საკუთარი სული გაწირა. ეს თითქოს მინიშნებაცაა, რომ თანამედროვე ადამიანები ამ სამყაროში მხოლოდ თოჯინების როლს ასრულებენ, მოქმედებისა და აზროვნების ბრძანებას კი მათ მიერვე შექმნილი ხელოვნური მონსტრებისგან იღებენ. თუმცა როგორც ყველა ამერიკულ ფილმში, იმედის პატარა ნაპერწკალი აქაცაა - მეტალის კარკასებსა და სილიკონის გონებებში სული მაინც ინარჩუნებს თავის მთავარ დანიშნულებას.

ორიოდე თვის წინ გამოსული "მე-9 რაიონი", რომელსაც მაღალ მატერიებზე მინიშნებების გაცილებით მოკრძალებული პრეტენზია აქვს, მაინც ინარჩუნებს თანამედროვე მსოფლიოს მოწყობისადმი ერთგვარი პროტესტის გამოხატვის უფლებას. "9 სწორედ რომ მინიშნებაა 2009 წელზე - დროზე, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია საზღვრები სხვადასხვა სოციალურ ფენებსა და რასებს შორის. ფილმში მე-9 რაიონში უცხოპლანეტელები ცხოვრობენ, ისევე როგორც ინდიელები რეზერვაციებში, ან აფროამერიკელები სულ რამდენიმე წლის წინ. ჩვენ ამავე რაიონის ბინადრებთან ვაიგივებთ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებსაც, ვისაც პოლიტიკოსებმა სახლები, ცხოვრება, მომავალი წაართვეს", - ასეთი იყო ფილმის გამოსვლის შემდეგ პროდიუსერ პიტერ ჯექსონის კომენტარი. მართლაც, ვინც ფილმი ნახა, ალბათ ყველაზე ნაკლებად მის ტექნოლოგიურ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას. აქ მთავარი ადამიანების გარკვეული ჯგუფის მიერ "სხვებისადმი" სრულიად გაუმართლებელი მოქცევა უფროა, ვიდრე ის, რამდენად დახვეწილია კომპიუტერული გრაფიკა.

წლის ყველაზე მნიშვნელოვანი "ცხრიანი" პრემიერა ნოემბრის მიწურულს გველის - რობ მარშალის მიუზიკლი "ცხრა". ფილმი 1982 წლის ბროდვეის შოუს ეფუძნება, რომელის თავის მხრივ ფედერიკო ფელინის "8½-ის" ერთგვარ სიკველს წარმოადგენს. აქ ფელინის ფილმის თითქმის ყველა პერსონაჟია გადმოტანილი და სიუჟეტშიც იგივე ხასიათია შენარჩუნებული, თუმცა ცხადია ეს სულ სხვა ნამუშევარია. თუ ფილმის სამსახიობო ანსამბლს გადავხედავთ, თავი მსოფლიო კინოს დიდების ხეივანში გეგონებათ. მარჩელო მასტროიანის მიერ ოდესღაც განსახიერებულ გვიდო ანსელმის (ამჯერად მას გვიდო კონტინი ჰქვია) ორი "ოსკარის" მფლობელი დენიელ დეი ლუისი თამაშობს. ამავე ჯილდოს ლაურეატები არიან "ცხრაში" დაკავებული მარიონ კოტიარი, ნიკოლ კიდმანი, პენელოპე კრუსი, ჯუდი დენჩი და დიდებული სოფი ლორენი. თუ ამას დავუმატებთ, რომ რობ მარშალი ექვსი "ოსკარის" მფლობელი "ჩიკაგოს" რეჟისორია, მაშინ თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინ ნამდვილად შესანიშნავი სანახაობა გველის.

# სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
## სექტემბერი, 2009



## მთავარი სიახლეები

- საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოფელ წეროვანში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე, ახლადაშენებული სკოლა გახსნა;
- ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა ხელფასი კვლავ გაიზარდა;
- კომპიუტერით სარგებლობის "საერთაშორისო მართვის მოწმობა" უკვე საქართველოშიც გაიცემა.

*ზოგადი განათლება*

### სოფელ წეროვანში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილზე ახლადაშენებული სკოლა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა

სკოლის მშენებლობა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო და 10 თვეში დასრულდა.
სკოლაში 970 მოსწავლე სწავლობს, აქედან 75 პირველკლასელია.
სამინისტრომ სკოლა ახალი მერხებით, 40 პერსონალური კომპიუტერული კლასით და უკაბელო ინტერნეტით აღჭურვა. სკოლის ყველა პირველკლასელს დაურიგდა სასკოლო წიგნები და ჩანთები. სკოლა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, TBC ბანკის-ის TBC ფონდმა დონორების თანამონაწილეობით ააშენა.
ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტმა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დროებით გადაადგილებული მოსწავლეები, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს სკოლა 2009 წელს.

### ნიკა გვარამია სოფელ ნიკორწმინდაში რეაბილიტირებულ სკოლას ეწვია და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის პედაგოგებს შეხვდა

ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის საჯარო სკოლას პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 50 000-მდე ლარი დაიხარჯა.

პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის „იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 2009 წელს 29 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 200 000 ლარი გამოიყო.
ვიზიტის ფარგლებში ნიკა გვარამია რეგიონის 200-მდე პედაგოგს ამბროლაურის №1 საჯარო სკოლაში შეხვდა და მათ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები გააცნო. ახალ სასწავლო წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ყველა პირველკლასელმა მოსწავლემ, ტრადიციულად, პრეზიდენტის საჩუქარი ჩანთებისა და წიგნების სახით მიიღო.

### ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებელთა ხელფასები კვლავ გაიზარდა

1 სექტემბრიდან მასწავლებელთა ხელფასები, მასწავლებელთა სამუშაო სტაჟის, განათლების და კვალიფიკაციის გათვალისწინებით გაიზარდა და საბაზო ხელფასმა 220 ლარიდან 245 ლარამდე მოიმატა. მატება მნიშვნელოვნად აისახა დამრიგებელთა ანაზღაურებაზეც. საბაზო ხელფასის გაზრდისა და სადამრიგებლო დანამატის გათვალისწინებით, სადამრიგებლო დანამატი 27 ლარიდან 63 ლარამდე გაიზარდა. დამრიგებელთა რაოდენობა მასწავლებელთა 50%-ზე მეტია, შესაბამისად, მასწავლებელთა დაახლოებით 50%-ს ხელფასი საერთო ჯამში 70 ლარით გაეზარდა.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების შედეგად, საბუნებისმეტყველო საგნების საათების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა ხელფასებიც.
მთავრობის მიერ გაზრდილი იქნა სასკოლო ვაუჩერის ოდენობაც: პირველ 400 მოსწავლეზე - ზრდა 70 ლარით; 400-ზე ზემოთ - ზრდა 55 ლარით.

### საქართველოს მასშტაბით ახალი სამშენებლო სტანდარტებით 2009-2010 წლებში 22 ახალი სკოლის მშენებლობა დაიგეგმა

2009-2010 წლებში ახალი სამშენებლო სტანდარტებით ახალი სკოლების მშენებლობა იგეგმება სამცხე-ჯავახეთში, გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო - ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში.
სამინისტრომ ახალი სკოლების არქიტექტურული პროექტები კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზა"-ში გამოფინა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 9 საჯარო სკოლის არქიტექტურული პროექტები: ახალი დიოკნისის (მარნეული), მელაანის (გურჯაანი), ნოქალაქევის (სენაკი), ფუთის (ზესტაფონი), შიბლიანის (საგარეჯო), ჩიბათის (ლანჩხუთი), მუხურის №2 (ტყიბული), აბანოს (ქარელი), ქვემო ნიქოზის (გორი) მშენებლობისთვის.
ახალი სამშენებლო სტანდარტები და სასკოლო ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესთან შესაბამისი, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული, უსაფრთხო გარემოზე ორიენტირებული იქნება. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი ივნისში გამოაცხადა.

### "ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში წარმატებული მოსწავლეების პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოება კვლავ გრძელდება

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში ნიკა გვარამიამ ქ. ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლისა და ქ. ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.
"ჩემი პირველი კომპიუტერი"-ს ფარგლებში საქართველოს მასშტაბით პერსონალური კომპიუტერები სულ 3 191 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცემა; პროგრამის ბიუჯეტი 2 400 000 ლარია.

### გვახსოვდეს აფხაზეთი!

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირების დროს დაღუპულთა ხსოვნას საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში ღია გაკვეთილები და სხვადასხვა ღონისძიებები მიეძღვნა.

*პროფესიული განათლება*

### საქართველოში სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური 2009-2012 წლების სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა

პროფესიული განათლება, რომელსაც ახალი ტიპის პროფესიული სწავლების ცენტრები იძლევიან, არის ის ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს დაეხმარება ისეთი პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა: უმუშევრობა, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ეკონომიკური ზრდა და სხვ.
სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო შეიქმნა. სახელობო განათლებისა და მომზადების სტრატეგია ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა და მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განათლების სფეროს ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა.

### კომპიუტერით სარგებლობის "საერთაშორისო მართვის მოწმობა" უკვე საქართველოშიც გაიცემა

თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრმა "კომპიუტერის მომხმარებელთა სერთიფიცირების ევროპული ფონდისგან" (ECDL) ექსკლუზიური უფლება მოიპოვა, რის საფუძველზეც, ამიერიდან ლიცენზირებულად გასცემს საქართველოში კომპიუტერული სარგებლობის "მართვის მოწმობას" (Skills Card-ს).
ცენტრის ბაზაზე დაფუძნებული ECDL - ტესტირებისა და სერთიფიცირების ავტორიზებული ცენტრი ამიერკავკასიაში პირველია. ტესტირების გავლის საფუძველზე, კომპიუტერის მოხმარების ცოდნის სერთიფიკატი შეუძლია აიღოს იმ ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს საოფისე პროგრამებსა და ინტერნეტში მუშაობის უნარ-ჩვევებს.

*უმაღლესი განათლება*

### ქ. ქუთაისში აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაბილიტირებული კორპუსი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ გახსნა

ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია "საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა, რაზეც 700 000 ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაციის შედეგად უახლესი ტექნიკით აღიჭურვა საკონფერენციო აუდიტორია, ინტერნეტ-ლაბორატორია, ზოოლოგიური მუზეუმი, 2 სამკითხველო დარბაზი. კეთილმოეწყო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია. ამჟამად, უნივერსიტეტში 8 ფაკულტეტზე 6 000 სტუდენტი სწავლობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

# სპორტი

## ახალი ენერჯი, ძველი მიზანი

ზურაბ თალაკვაძე

საქართველოს ნაკრებმა ერთი დივიზიონით მაღლა აინაცვლა, სამომავლოდ ლუქსემბურგ-ირლანდიის ნაცვლად, იტალია-გერმანია ან სადღაც ამ დონის მეტოქეები გვეყოლება და იქნებ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გასვლა არარეალური აღარ იყოს. ეს მომავალი და პერსპექტივაა, მალე კი ჩვენი, აქაური ამბები აჩუხჩუხდება და სუპერლიგის მორიგი სეზონის მოლოდინში შევეცდებით, თითქმის ყველა მონაწილეზე დაწვრილებით თუ არა, საკმარისად გაგესაუბროთ. ვიწყებთ ჩვენი ფლაგმანით, რუსთავის "ენერჯი ინვესტის" გუნდური პორტრეტით.

ბოლო წლებში ეს გუნდი სტაბილურობის, პროგრესისა და ყველაზე აწყობილი ინფრასტრუქტურის საუკეთესო მაგალითი იყო. მაგარი სასიამოვნო იყო არცთუ ტევად, მაგრამ კოხტა დარბაზში "ენერჯის" თამაშზე დასწრება და მიუხედავად იმისა, რომ საშინაო შეხვედრებს რუსთაველები თითქმის ყოველთვის დამაჯერებლად, წარბშეუხრელად იგებდნენ, იქ ყოფნა ბევრისთვის ცარიელ სპორტის სასახლეში ჩათვლემაზე სასიამოვნო ნაღდად გახლდათ.

წელს "ენერჯის" შარშანდელთან შედარებით სულ სხვა გუნდი ეყოლება. გეზი შემადგენლობის გაახალდაზრდავებაზეა გადატანილი. აღარ ირიცხებიან გუნდში ბესიკ ლეჟავა, რევაზ დიდია, ლაშა გამყრელიძე, დავით უგრეხელიძე. მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დავით უსტიაშვილი მისმა ასისტენტმა მიხეილ ბერუაშვილმა შეცვალა, რომელსაც თავის მხრივ, მანამდე "ენერჯის" ახალგაზრდებთან მუშაობაში გამობრძმედილი ბადრი კიკვიძე უასისტენტებს. გუნდში დარჩნენ კოტე ტუღუში, ზვიად ბაბიაშვილი და ჟულიევტ ტუჯანი, დანარჩენები კი "ენერჯის" შარშანაც ჰყავდა. ახლა უფრო დაწვრილებით.

სუპერლიგაში მოთამაშეების მიდი-მოდი უკვე სისტემად იქცა და "ენერჯის" გამოკლებით, თითქმის ყველა გუნდი სეზონს შეცვლილი შემადგენლობით იწყებს. საბოლოო შედეგს ეს არანაირად არ ცვლიდა, მაგრამ წელს იქნებ ისე მოხდეს, რომ ჩემპიონატს აზრი და ინტრიგა დაუბრუნდეს.

თქვენი არ ვიცი და მე კი რუსთაველთა ახალგაზრდებისთვის სათამაშო დროის თუნდაც იძულებით გაზრდას დადებითად ვუყურებ. ახალგაზრდებში კაკო დვალიშვილი ყველაფერს აგდებდა და ხსნიდა, დიდებში სტატისტიკა იქნებ გაუუარესდეს, მაგრამ არა იმ დონემდე, რომ პირველივე მეოთხედში შესაცვლელი გახდეს. საკმაოდ ნორმალური საშუალო სროლა, გაუმჯობესებული ფიზიკური კონდიციები და რაც მთავარია, გამოცდილების შეძენა შინაურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე.


გუნდის ლიდერი კოტე ტუღუში.

მოზიდა ბუხაიძის ფოტო

მიხეილ ჭოჭუას აკლდა სტაბილურობა და თავდაჯერებულობა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ყველაფერი ეს სასტარტოში ხშირი ვერმოხვედრით (რაც ობიექტური გახლდათ) იყო განპირობებული. მიშას კარგი "ფიზიკა", სტაბილური საშუალო თუ შორი სროლა და საშუალოზე უარესი დაცვა აქვს, თუმცა ესეც მოგვარებადია.

საკმაოდ გადატვირთულია უკანა ხაზი, სადაც უალტერნატივო ტუღუშს გვერდით მიხეილ ჩიტაშვილი, ზურაბ მაჭავარიანი, რეზო ჩაჩანიძე და ლევან ცეკვავა ეყოლება. ჩითაშვილი და ცეკვავა სუპერლიგას წლების წინ გაუშინაურდნენ, პირველის სახით კი "ენერჯის" ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი მოთამაშე, ნაღდი სპრინტერი ეყოლება. შარშან მიშას ქართულ-აზერბაიჯანულ ნტდ-ში სეზონი ტრავმების გამო ჩაუვარდა და იმედია, წელს დანავსული სერია აღარ ექნება.

კარგი მონაცემების მქონეა რუსთავში კალათბურთის ერთ-ერთი უხუცესის, ბატონი ოთარ ხმელიძის ვაჟი, ლევანი, რომელიც მსუბუქი ფორვარდი უფროა, ვიდრე სხვა ამპლუის, მაგრამ უნივერსალობას არ უჩივის და იქნებ სხვაგანაც ათამაშოს ბერუაშვილმა.

და მაინც, "ენერჯის" წლევანდელი წარმატება (თუ პირიქით) მთლიანად "დიდ სამეულზე", ანუ ტუღუშ-ბაბიაშვილ-ტუჯანზე იქნება დამოკიდებული.

ბევრი დამეთანხმება, რომ რამაზ გოგობერიშვილის მერე, საქართველოს ჩემპიონატში არ ყოფილა მოთამაშე, რომელსაც კოტესავით ნებისმიერი მატჩის მარტოდ მოგება შეეძლო (ვატო ნაცვლიშვილის ხანმოკლე დაბრუნებას თუ არ ჩავთვლით). სამმაგი დუბლები, ძალიან კარგი დაცვა, ავტომატიზმამდე დაყვანილი შორეული ტყორცნა და რაც მთავარია, პერმანენტული მოტივაცია. ზედიზედ სამგზის საუკეთესომ, ტუღუშმა წელს ეროვნულ გუნდშიც დიდი პროგრესი განიცადა და "ენერჯისთვის" საკვანძო ფიგურა იქნება. შარშან, უსტიაშვილი სასტარტო ხუთეულში ხშირად გამყრელიძეს, ტუღუშსა და ლეჟავას აყენებდა, კოტეს კი არცთუ იშვიათად მსუბუქი ფორვარდის ფუნქციის შესრულება უხდებოდა. გვახსოვს ის რამდენიმე შეხვედრაც, როდესაც ტუღუშს მასზე გაცილებით მაღალი, ჯანიანი ოპონენტის (თუნდაც, მიხეილ ბერიშვილის) წინააღმდეგ მოუხდა თამაში და პრაქტიკულად ყოველთვის, "ენერჯის" კაპიტანი გამარჯვებული რჩებოდა.

ალბათ, ბერუაშვილი სასტარტო ხუთეულში ცენტრად ნომინალურ მძიმე ფორვარდს, ანუ ტუჯანს გაამწესებს, დვალიშვილი კი სათადარიგოებში იქნება. ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე, ტუჯანს ჯანისა და სიმაღლის დეფიციტი თანაამპლუელებთან ჭიდაობისას არ ექნება, თუმცა დასვენება მასაც დასჭირდება და ამ დროს მოედანზე დვალიშვილი იქნება. დაცვა "ენერჯის" ერთ-ერთ ვეტერანს მართლაც გამორჩეული აქვს და საკმაოდ კარგადაც კითხულობს თამაშს.

ბაბიაშვილს შარშან სტატისტიკა ლამის გაუნახევრდა, მაგრამ ასე იყო საჭირო უსტიაშვილის აზრით. ხშირი როტაცია "ენერჯის" ყველა წევრს დასვენებისა და ენერგიის აღდგენის შანსს აძლევდა, რამაც რუსთაველებს მორიგი ჩემპიონობა გაუნაღდა.

წლევანდელ სეზონში ზვიადი მეტსაც ითამაშებს და ვეჭვობ, შარშანდელზე უარესი სტატისტიკა ჰქონდეს. არც ისეთ მწვერვალებს მიუახლოვდება, როგორც - "ავიაში", მაგრამ პროგრესი რომ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

მოკლედ, "ენერჯი" ახალი შემადგენლობით და ძველი მიზანით, ანუ მხოლოდ ჩემპიონობაზე დაგეშილი იწყებს მზადებას დამდეგი სეზონისთვის, რომელშიც სუპერლიგის მონაწილეები ჯერ კვლავ უცნობია, თუმცა ტურნირი რომ შარშანდელზე არანაკლებ საინტერესო იქნება, ესეც ფაქტია.

### "თბილისი" "ბენფიკისთვის" ემზადება

ხელბურთში საქართველოს ჩემპიონი "თბილისი" ევროპის ფედერაციის თასის მეორე ეტაპზე სათამაშოდ ემზადება. ქართველმა ხელბურთელებმა პირველი ეტაპი წარმატებით დაძლიეს და სექტემბერში კვიპროსის "პაფოსი" 33:30 და 32:25 დაამარცხეს. მეორე ეტაპზე "თბილისი" პორტუგალიის "ბენფიკას" 17 და 18 ოქტომბერს ლისაბონში დაუპირისპირდება.

პირველი ეტაპის ორივე მატჩი კვიპროსზე გაიმართა. კიპრი ხელბურთის გრანდთა მარაქაში ნამდვილად არ არის, მაგრამ "თბილისის" გამარჯვება მაინც სასიხარულოა. ჯერ ერთი ჩვენებმა ორივე მატჩი სტუმრად ითამაშეს, მეორეც, იქაური ქომაგის თავგადაკლული გულშემატკივრობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ კუნძულზე თამაში გვარიანად რთული საქმეა.

"თბილისს" მეორე წრეში გაცილებით სერიოზული მეტოქე ელის. ქართველები "ბენფიკას" ორივეჯერ პორტუგალიაში გაეჯიბრებიან და ცხადია, უდიდეს გამოცდილებასაც შეიძენენ. მატჩები 17 და 18 ოქტომბერს გაიმართება. ქართველი ხელბურთელები პორტუგალიას 15 ოქტომბერს მიაშურებენ, მანმადე კი "სკას" დარბაზში ინტენსიურად ემზადებიან.

გუნდის მწვრთნელის მამუკა მჟავანაძის განკარგულებაში ეს მოთამაშეები არიან

**მეკარეები:** კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი

**მოედნის მოთამაშეები:** ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, გიორგი წივწივაძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე, ომარ ქუთათელაძე, ოთარ ამირანაშვილი, გიორგი იობაშვილი, აკაკი ყაველაშვილი, გიორგი სამარლანიშვილი, ირაკლი თევზაძე, ალექსანდრე ლობჟანიძე, შალვა თოდაძე.

ამათგან ყველაზე გამოცდილი ტიტე კალანდაძეა, რომელსაც ევროპაში თამაშის რამდენიმე წლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს და მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

### ირლანდია გაბელიას გუნდის დასახვედრად გაემზადა

9 ოქტომბერს 20011 წლის ნვროპის ახალგაზრუდლი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში ირლანდიის ნაკრები ქართველ ახალგაზრდებს უმასპინძლებს.

ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა დონ გივენსმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც გაბელიას გუნდს დაუხვდება.

შეინ რედმონდი ("ბარტონი", ინგლისი), სტივენ ჰენდერსონი ("ბრისტოლი", ინგლისი), სიმუს კონელი ("გელვეი"), სიმუს კოულმენი ("ევერტონი", ინგლისი), ბრენდამ მოლოუნი ("ნოთს ქაუნთი", ინგლისი), კიან ჰატონი ("ლინკოლნი", ინგლისი), გევინ განინგი ("ბლექბერნი", ინგლისი), კალუმ მორისი ("ნიუკასლი", ინგლისი), დარენ დენეჰი ("ჰერეფორდი", ინგლისი), სტივენ გლისონი ("დონსი", ინგლისი), ოუენ გარვანი ("იფსვიჩი", ინგლისი), ჯეიმს ბერეტი ("ჰადერსფილდი", ინგლისი), ჯეიმს მაკკარტი ("უიგანი", ინგლისი), ალან ჯაჯი ("პლიმუთი", ინგლისი), ჯეი ოშეი ("ბირმინგემი", ინგლისი), შონ სკანელი ("კრისტალ პალასი", ინგლისი), კილიან შერიდანი ("პლიმუთი", ინგლისი), ჯეიმს კოლინსი ("ასტონ ვილა", ინგლისი), კეიტ ტრისი ("შეფილდ იუნაიტედი", ინგლისი).

ცნობისთვის, ირლანდიელები დუბლინის ახლადაშენებულ თალლაგჰტ შტადიუმ-ზე პირველ შეხვედრას ჩაატარებენ. მატჩი თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი 5-დან 15 ევრომდე იქნება.

### "ასკა" და ამისულაშვილი სიმბოლურ ნაკრებში

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ ინტერნეტ გამოცემა "სპორტმა" ტურის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რომელშიც ერთბაშად ორი ქართველი ცენტრალური მცველი მოხვდა. მალხაზ ასათიანი და ალექსანდრე ამისულაშვილი.

რუსმა ჟურნალისტებმა ქართველების თამაში საკმაოდ კარგად შეაფასეს:

"ყაზანის "რუბინთან" შეხვედრაში ასათიანმა უდიდესი სამუშაო შეასრულა. მალხაზი თავის დავალებასაც ასრულებდა და დაცვაში პარტნიორებსაც აზღვევდა. საბოლოო ჯამში, ქართველი ფეხბურთელის გამოცდილება სატურნირო ცხრილში ციფრებზე აისახა" - ასე შეუფასეს ჩემპიონის წინააღმდეგ გარჯა ასათიანს საფეხბურთო მიმომხილველებმა, რომლებსაც ამისულაშვილის კარგი თამაშიც არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა - "გასულ უიქენდზე ამისულაშვილმა საუცხოო შეხვედრა ჩაატარა და ნალჩიკელებმა საკუთარ აქტივში ძალიან მნიშვნელოვანი ქულა ჩაიწერეს. მითუმეტეს, რომ რუსეთის ჩემპიონატში მათ მეტად არამყარი მდგომარეობა აქვთ".

24-ე ტურში, "ლოკომოტივმა" საკუთარ მოედანზე რუსეთის ოქროსმედალოსან ყაზანის "რუბინს" 2:1 სძლია, ხოლო ნალჩიკელები სამარას "კრილია სოვეტოვს" დაუზავდნენ.

## კრიმინალი ფორვარდი

ინგლისური "ევერტონის" ფორვარდ ჟოზე ბაქსტერს ბრიტანელი სამართალდამცავები მარიხუანს შენახვასა და ყალბი ფულის დამზადებას სდებენ ბრალად.

17 წლის ფეხბურთელი, ორ მამაკაცთან ერთად, რომელთა ვინაობა არ კონკრეტდება, ორშაბათს ლივერპულის პოლიციამ დააკავა.

"სამივე დაკავებული პირი თავდებით გაუშვეს და ამჯერად ისინი გამოძიების მოლოდინში არიან", - ნათქვამია პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## კეირუშმა შემადგენლობა დაასახელა

10 და 14 ოქტომბერს პორტუგალიის ნაკრები უნგრეთისა და მალტის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს დაუპირისპირდება. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ორი მატჩისთვის პორტუგალიელთა მთავარმა მწვრნელმა კარლუშ კეირუშმა შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა.

**მეკარეები:** ბეტუ ("პორტუ"), ედუარდუ ("ბრაგა"), რუი პატრისიუ ("სპორტინგი").

**მცველები:** ჟოზე ბოსინგვა, რიკარდუ კარვალიო, პაულუ ფერეირა (ყველა "ჩელსი", ინგლისი), ბრუნუ ალვეში, როლანდუ (ორივე "პორტუ"), სეზარ პეიშოტუ ("ბენფიკა"), პეპე ("რეალი", ესპანეთი).

**ნახევარმცველები:** დეკუ ("ჩელსი", ინგლისი), დუდა ("მალაგა", ესპანეთი), ჟოაუ მოუტინიუ, მიგელ ველოზუ (ორივე "სპორტინგი"), რაულ მეირელეში ("პორტუ"), ტიაგუ ("იუვენტუსი", იტალია), ნუნუ ასიში ("ვიტორია"), პედრუ მენდეში ("გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), ნანი ("მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), კრიშტიანუ რონალდუ ("რეალი". ესპანეთი), სიმაო საბროზა ("ატლეტიკო", ესპანეთი).

**თავდამსხმელები:** ლიედსონი ("სპორტინგი"), ედინიო ("მალაგა", ესპანეთი).

## "ბირმინგემიც" აზიელთა ხელში ჩავარდა

აზიელი ბიზნესმენებიი ისე დაეხვივნენ ბრიტანულ კლუბებს როგორც ფუტკარი თაფლს. თუ ასე გაგრძელდა პრემიერლიგა აზიტელი ბიზნესმენების პაექრობის მოედნად იქცევა.

ცნობილი გახდა, რომ კლუბი "ბირმინგემი" ჰონგკონგელმა ბიზნესმენმა კარსონ იენგმა იყიდა. ამ პიროვნებამ "ყირმინგემის" აქციების 90 პროცენტი უკვე შეიძინა.

## ზენდენი "სანდერლენდში" ვარჭიშობს

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდუვეინ ზენდენი, რომელიც თავისუფალი აგენტია, ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "სანდერლენდში" ვარჯიშობს.

33 წლის ფეხბურთელმა, რომელიც გასულ სეზონში საფრანგეთის "მარსელში" გამოდიოდა, კლუბი ამა წლის ზაფხულში დატოვა. "ზენდენი ჩვენს აკადემიაში რამდენიმე კვირის განმავლობაში ივარჯიშებს, ვიდრე ახალ კლუბს მოძებნის" - განაცხადა "სანდერლენდის" მთავარმა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა.

## პელეგრინის ბენზემამაც შეუტია

"სევილიასთან" წაგებული თამაშის შემდეგ "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გუნდის მთავარ მწვრნელ მანუელ პელეგრინის შეუტია. პერესის თქმით მას პელეგრინის მიერ განხორციელებული როტაციის სისტემა არ მოსწონს, მადრიდის "რეალის" პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მის მიერ სეზონის დაწყების წინ ნაყიდმა ვარსკვლავებმა ყველა მატჩში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

პერესს მხარი "სამეფო კლუბის" ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამაც აუბა.

გასულ ზაფხულს "ლიონისგან" 35 მილიონ ევროდ შეძენილი თავდამსხმელის აზრით, იგი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში უნდა იმყოფებოდეს. გარდა ამისა, ფრანგი იმითაცაა გაღიზიანებული, რომ მას წყვილში რაულთან ერთად უწევს თამაში, მაშინ როდესაც, მისი აზრით, ესპანელი ფორვარდი ასეთი ასპარეზობისთვის არასაკმარისად მობილურია.

გავრცელებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ბენზემას ამგვარი საქციელი შეიძლება უარყოფითად აისახოს გუნდში არსებულ ატმოსფეროზე, პელეგრინი მდუმარედ ისმენდა ფრანგის ხმამაღალ საყვედურს.

თუ რა ზომები მოჰყვება კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან მომხდარს, ჯერჯერობით, უცნობია.

## როსიცკის კონტრაქტი არ ადარდებს

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი "მეთოფეებთან" კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხს ამ ეტაპზე აქტუალურად არ მიიჩნევს.

"ჯერჯერობით ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბარი აქტუალური არ არის. დარწმუნებული ვარ, თუკი "არსენალში" არ დავრჩები, ახალი კლუბის გამოძებნას შევძლებ. ამჟამად ჩემთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ ტრავმები არ მივიღო. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ "ბლექბერნთან" შეხვედრისას 70-ე წუთზე შემცვალეს, ფინალურ სასტვენამდე თამაში თავისუფლად შემეძლო. ვგრძნობ, რომ ვენგერის ჩემდამი ნდობა სულ უფრო იზრდება", - ამბობს როსიცკი.

# ფაბრეგასს "ბარსელონაზე" საუბარი არ სურს

მას შემდეგ რაც სესკ ფაბრეგასი ლონდონის "არსენალში" ათამაშდა არ წყდება საუბარი მის შესაძლო დაბრუნებაზე "ბარსელონაში". შეგახსენებთ, რომ "არსენალის" ამჟამინდელი კაპიტანი კატალონიური გრანდის აკადემიის აღზრდილია. ვენგერმა სესკი ადრეულ ასაკში შეამჩნია და "არსენალში" გადაიბირა ახლა კი უკვე კატალონეილები ცდილობენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკთესო ნახევარმცველის დაბრუნებას.

ცხადია ფაბრეგასის შესაძლო ტრანსფერზე საუბარი იმატებს, როდესაც სესკი ესპანეთის ნაკრებშია გამოძახებული. სწორედ ეს პერიოდია ახლაც. კატალონიურ გაზეთ "სპორტის" ჟურნალისტი დაინტერესდა აპირებს თუ არა სესკი "ბარსელონაში" დაბრუნებას, მით უმეტეს, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ფაბრეგასის შესაძლო ტრანსფერზე საკმაოდ აქტიურად საუბრობდნენ.



ფაბრეგასი ამ ეტაპზე კლუბის შეცვლას არ აპირებს

"არსენალის" კაპიტანი ჟურნალისტთან საუბრისას საკმაოდ დიპლომატიური იყო, ფეხბურთელმა კი თქვა, რომ "ბარსელონაზე" საუბარი არ სურს მაგრამ დააკონკრეტა, რომ ეს მხოლოდ ამჟამად, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერია შესაძლებელიო.

"ამჟამად "ბარსელონაზე" საუბარიც არ მსურს, - აღნიშნა ფაბრეგასმა, - სეზონი არც ისე დიდი ხანია რაც დაიწყო, წინ უამრავი მატჩი გველის. მე კონტრაქტით ვარ დაკავშირებული "არსენალთან" და ამ ეტაპზე მხოლოდ ლონდონურ კლუბზე ვარ კონცენტრირებული. რაც შეეხება "ბარსელონას", მოდით მოვიცადოთ დაველოდოთ შესაძლოა დადგეს კიდეც ის დრო, როდესაც ტრანსფერზე საუბარი შესაძლებელი გახდება".

ფაბრეგასს არ დაუკონკრეტებია თუ როდის არის ამ დღის დადგომა შესაძლებელი, თუმცა ალბათ ეს არც ისე რთული მისახვედრია. ახძალგაზრდა და ამბიციურ ფეხბურთელს ტიტულები სჭირდება და თუ "არსენალმა" წლევანდელი სეზონიც ტიტულის გარეშე დაასრულა სავარაუდოდ ფაბრეგასი კლუბის გამოცვლაზე უკვე სერიოზულად დაფიქრდება.

# მარადონა გადადგომით იმუქრება

10 და 14 ოქტომბერს არგენტინის ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს გასამართი, "ალბისელესტეს" რიგებში კი აშკარა არეულობაა. შეგასხენებთ, რომ არგენტინული მედია უკვე კარგა ხანია საუბრობს დიეგო მარადონას გადადგომაზე, ლეგენდარული ფეხბურთელი ჯერჯერობით მწვრთნელის რანგში აშკარად არ ამართლებს და შესაძლოა ისეც კი მოხდეს, რომ მესი და კომპანია მუნდიალს მიღმა დარჩნენ.

გუშინ კი უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახლა უკვე თავად მარადონა იმუქრება გადავდგებიო. დიეგოს განცხადებით იგი დაუყოვნებლივ დატოვებს თანამდებობას, თუ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ყველა მის პირობას არ დააკმაყოფილებს, თუმცა რა პირობების დაკმაყოფილებაზეა საუბარი ამას მარადონა არ აკონკრეტებს.

"როდესაც თავის დროზე ნაკრების მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს, მითხრეს, რომ ჩემს ყველა პირობას დააკმაყოფილებდნენ. რეალობაში კი რა ხდება? თავადაც იცით, რომ ჩემი მოთხოვნები არ სრულდება. ამ პირობებში მუშაობა შეუძლებელია, ფედერაციამ ჩემთვის მოცემული სიტყვა უნდა შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდება მომდევნო ორი მატჩი თანამდებობას დავტოვებ, - აცხადებს მარადონა.

უნდა ითქვას, რომ მარადონას მთავარი პრობლემა კარლოს ბილარდო გახლავთ, რომელიც ნაკრების ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. ბილარდოსა და დიეგოს შორის შეხმატკბილებული ურთიერთობა არასდროს ყოფილა ახლა კი ვითარება უაღრესად დაიძაბა.

"მე ვუთხარი ბილარდოს, რომ ინგლისში გამგზავრებულიყო და "სიტის" ხელმძღვანელებთან მოელაპარაკა. ზაბალეტას და ტევესს პრემიერლიგის ბოლო ტურში არ უნდა ეთამაშათ. და რა მოხდა? ბილარდომ ჩემს მითითებას ყური არ ათხოვა. ტევესიც და ზაბალეტაც "სიტის" ძირითადში იყვნენ და ზაბალეტამ ტრავმა მიიღო. არადა ეს ფეხბურთელი ძალიან მჭირდებოდა მომავალი მატჩებისთვის,"- აცხადებს არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

# მარჩელოს სამყარო

ზურაბ თალაკვაძე

საქართველოს ნაკრებს ვქომაგობთ. გვინდა, რომ ტოპკუპერის თუ ნებისმიერი სხვის ხელში ჩვენმა ლომებმა მართლა დაბრდღვნან ყველა და ყველაფერი და დიდი გვირაბის ბოლოს სანთლის პატარა სხივის დანახვასაც მივესალმებით. ეგ იქით იყოს და, ამჯერად სულ სხვა თემაზე, ნაკრებსა და კაც(ებ)ზე ვისაუბროთ. რატომღაც მგონია, რომ ჩვენი ნაკრების მერე საქართველოში ყველაზე მეტი ფანი ცისფერ ბიჭებს, ანუ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს - იტალიელებს ჰყავთ. ჰოდა, რაკი მათმა მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ შესარჩევი ტურნირის ბოლო ორი მატჩისთვის (ირლანდიისა და კვიპროსის წინააღმდეგ) შემადგენლობა დაასახელა, თვალი გადავავლოთ მაესტრო ლიპის არჩევანს.

ლიპი უნიკალური მწვრთნელია. ალბათ, ერთადერთი, ვისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ: 1) რა ფორმაშია ესა თუ ის სანაკრებო კანდიდატი, 2) რა ასაკშია სანაკრებო კანდიდატი, 3) როგორ თამაშობს გუნდში სანაკრებო კანდიდატი, 4) სჯობს თუ არა თავის უშუალო კონკურენტს "აძურაში" ეს კანდიდატი. ლიპის ნებისმიერ მოთამაშეზე აზრი სწრაფად უყალიბდება და მერე აღარ ცდილობს არაფრის შეცვლას.

იტალიელებს არასოდეს დაავიწყდებათ 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფი, როდესაც მარჩელოს ტერმინატორმა ნაკრებმა პირველობა გაიფორმა. ლიპის იმ გუნდში გოლიც თითქმის ყველას გაჰქონდა, თავსაც ყველა მაგრად იცავდა და ჯიჯი ბუფონიც კარიერის ზენიტში იყო. ლიპი ლეგენდად იქცა და ამას აღარაფერი ეშველება. მომავალ წელს გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე იტალია ჯგუფიდანაც რომ ვერ გავიდეს, ლიპი სამუდამოდ დარჩება უდიადესთა შორის, ისევე როგორც კიდევ ერთი დიდი იტალიელი ენცო ბეარზოტი, რომელმაც 1982 წლის ტრიუმფის მერე, მექსიკაში გამართულ ჩემპიონატზე, სამარცხვინო ნაკრები ჩაიყვანა. უფრო სწორად, ნაკრები კი არა, ალესანდრო ალტობელი და სხვები.

და მაინც, იტალია იტალიაა და ნაკრებისგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ელიან. ლიპის მეორე სანაკრებო ეპოქისას კი მთავარი სადავო ნიუანსი "აძურას" თავდასხმა გახდა.

ბოლო დროს ლიპი თითქმის ყოველთვის ანტონიო დი ნატალეზე, ფაბიო კვალიარელაზე, ჯუზეპე როსიზე, ალბერტო ჯილარდინოსა და ვინჩენცო იაკვინტაზე აკეთებს აქცენტს. და სხვები? "მაესტროს" არც კი ახსოვს, ან ახსოვს და "შავ სიაში" უშვებს ფაბრიციო მიკოლის, ანტონიო კასანოს, ჯამპაოლო პაცინისა და ფრანჩესკო ტოტის (ალესანდრო დელ პიეროს ალბათ უფრო პერსპექტიულ მწვრთნელად მოიაზრებს, ვიდრე სანაკრებო კადრად).

ბულგარეთთან 2:0 მოგებულ მატჩში იტალიამ დომინანტურად ითამაშა, სხვა მხრივ კი აპენინელთა შემტევი ხაზი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ტურინში ბულგარელების დამარცხებამდე იტალიელ ფორვარდებს 4 მატჩის განმავლობაში არ ჰქონდათ გატანილი გოლი. და საქართველოსთანაც კახა კალაძეს რომ არ...

საკვალიფიკაციო ტურნირის რვა მატჩში იტალიელი ფორვარდების ანგარიშზე მხოლოდ 5 გოლია. კარგი ბიჭია დი ნატალე (მაგრამ "უდინეზეში" და არა ნაკრებში), კვალიარელას ნაკრებში 20 თვის (!) განმავლობაში არ გაუტანია გოლი. იაკვინტა მშრომელი, მაგრამ მაინც იაკვინტაა, ჯილარდინოს შემტევი არეალი კი ამ სამის ფონზეც კი შეზღუდულია. ერთადერთი "ვილიარეალის" როსის იმედი თუ უნდა ჰქონდეთ "სკუადრას" ფანებს - სწრაფი, მოურიდებელი, სტაბილური, მაგარი ტიპია.

წელს სერია ა-ს მთავარი აღმოჩენა არა დიეგო, არა სემი ეტოო, არა "ფიორეს" ჩერნოგორიელი იოვეტიჩი, არამედ ჯუზეპე დელ ნერის "სამპდორიაა". და ვინ ქმნის ამინდს გუნდში? ანტონიო კასანო! და კიდევ? ჯამპაოლო პაცინი. "პალერმო" კი... მოაცილეთ ამ გუნდს ფაბრიციო მიკოლი და ერთ ჩვეულებრივ ქვედაეშელონელს მიიღებთ.

სხვა თემაა ტოტი. ნაკრებში თამაშზე კაცი გადაღლილობის გამო რომ იტყვის უარს და თან დაასაბუთებს, "რომაში" მეტი ენერგია დამრჩებაო, სასაყვედურო ნაღდად არაფერი აქვს ამ პიროვნებას, მაგრამ ლიპიმ ტოტი ერთხელ რომ დაივიწყა, მას მერე აღარც გახსენებია. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ "რომას" კაპიტანი სეზონის სტარტიდან ფენომენალურ ფორმაშია და გოლი გოლზე გააქვს. ტოტის, კასანოს, მიკოლის (და თუნდაც "იუვენტუსის" ბებერი კაცის) გარეშე ლიპის "მეორე" იტალიას აკლია ფანტაზია, გამოცდილება და ჩემპიონის ფსიქოლოგია. აბა, რომელი ჩემპიონები და ტიტულებით დახუნძლული ხალხია დი ნატალე, კვალიარელა, ჯილარდინო, როსი და იაკვინტა?

აკრიტიკებენ, და სრულიად სამართლიანადაც, მარჩელოს სხვა "ფავორიტებსაც". "მილანი" ანტიფეხბურთს თამაშობს, რინო გატუზო გუნდის კაპიტანი და ყველაზე სუსტი წერტილია, ლიპის ნაკრებში კი ადგილი თითქმის ყოველთვის გარანტირებული აქვს. იგივეს თქმა შეიძლება ჯანლუკა ძამბროტაზეც. "იუვეს" მცველი ნიკოლა ლეგროტალიე კი ნაკრებში უფრო ხშირადაა ძირითადში, ვიდრე - კლუბში. აღარ ენდობა მარჩელო კიდევ ერთ ყოფილ იუვენტინოს, მარკო მარკიონის. საქართველოსთან "ფიორეს" 29 წლის ნახევარმცველი ძირითადშიც კი დააყენა, მერე კი დაივიწყა. არადა, მას მერე მარკიონი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მოკლედ, ამ ეტაპზე იტალია მთლიანად ლიპისა და ბუფონზეა დამოკიდებული, სხვა მხრივ კი, რა გითხრათ, რით გაგახაროთ. მსოფლიოზე სათამაშოდ ესეც საკმარისია, მაგრამ ტიტულის შესანარჩუნებლად? არა მგონია.

გვრჩება კიდევ ერთი სუბიექტი, მაგრამ ამ კაცს ამდენი ხანია იტალიური პასპორტი არ აღირსეს და ამიტომ, საეჭვოა, მარჩელომ კარვალიო ამაური ნაკრებს გააკაროს. ან იქნებ გააკაროს კიდეც და "იუვეს" ფორვარდი ლიპისთვის ისეთივე ფიგურად იქცეს, როგორიც ბეარზოტისთვის 1986-ში ალტობელი იყო. ამაური გოლებს გაიტანს, ბუფონი დარტყმების 90 პროცენტს მოიგერიებს და ჩემპიონები კი კაკა და ფელიპე მელო გახდებიან.

# ვიცი, რომ საუკეთესო ვარ

ზურაბ თალაკვაძე



ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო. დინარა საფინა პირველი ჩოგანი კი იყო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ქულების დარიცხვის უსამართლო სისტემამ და სერენა უილიამსის ზარმაცობამ, რუსს ჰანდიკაპი შეანარჩუნებინა. ამერიკული სეზონის ჩაგდების მერე, მარატ საფინის დაიკოს უხვად ქულა დააკლდა, სერენას კი განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. უბრალოდ, გავიდა ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში (სადაც კიმ კლაისტერსთან წააგო), პეკინში კი საფინა ეგრევე მიჩოგნეს, სერენას კი პირველობის დასაბრუნებლად ორი მატჩის მოგება სჭირდებოდა და იანკურმა გრიგალმა ეს შანსი მშვენივრად გამოიყენა.

ჩვენი ამერიკელი კოლეგები სერენას პირველობის დაბრუნებასთან დაკავშირებით გაესაუბრნენ.

**- გილოცავთ პირველი ჩოგნის სტატუსის დაბრუნებას.**

- დიდი მადლობა. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სეზონის მაღალ დონეზე დასრულება მსურს და მოხარული ვარ, რომ პარალელურად, ამის გაკეთება საუკეთესოს რანგში შემეძლება. რამდენიმე დიდი ტურნირი დამრჩა სათამაშო და ვეცდები, გულშემატკივრებს ცუდი გამოსვლით გული არ ვატკინო.

**- ალბათ, ამერიკის ღია პირველობაზე მომხდარს ვერ ივიწყებთ?**

- თუ მსაჯთან შელაპარაკებას გულისხმობთ, ამას ახლაც ვნანობ და მზად ვარ, იმ ადამიანს ბოდიში ერთხელაც მოვუხადო. პროფესიონალმა სპორტსმენმა ეს არ უნდა იკადროს. შემეშალა და ვნანობ.

**- ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო ორი პირველი ჩოგანი, ვისაც დიდი სლემის ტურნირი არ მოუგია. რამდენად ლოგიკურად მიგაჩნდათ იანკოვიჩისა და საფინას პირველობა?**

- იცით, დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ჩოგნობაზე უარს არცერთი მოთამაშე არ იტყოდა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ მას დიდი სლემის ტურნირებიდან ერთიც არ ექნებოდა მოგებული. ყოფილან მოთამაშეები, რომლებსაც "დიდი ოთხეულიდან" ერთშიც არ უმარჯვიათ, მაგრამ პირველები ვერ გამხდარან. პირიქითაც ხდება. ასე რომ, თუ იანკოვიჩი და საფინა გარკვეული დროის განმავლობაში რეიტინგის სათავეში იყვნენ, ესე იგი, ერთიც და მეორეც ამას იმსახურებდა.

**- დაბრუნდა (და თან როგორ!) კლაისტერსი, იანვრიდან ტურნირებს გაუშინაურდება ანენი, ძველ ძალასა და სტაბილურობას იბრუნებს შარაპოვა. პირველობის შენარჩუნებაც უფრო რთული იქნება, არა?**

- კი, მაგრამ უფრო საინტერესოც. არა მგონია, რომელიმე გულშემატკივარი კიმის ან ჟუსტინის დაბრუნების წინააღმდეგი იყოს. მეტი ინტრიგა, დაძაბულობა არავის ავნებს. მე და ვენუსი კი ყველანაირად ვეცდებით ყველასთვის იმის დამტკიცებას, რომ ქალთა ჩოგბურთში საუკეთესოები დღესაც უილიამსები არიან. ამის გაკეთება რთული იქნება, მაგრამ მჯერა, რომ ეს რეალურია.

**- წელს უკვე ათი მატჩის წაგება მოასწარით. კლაისტერსთან ნახევარფინალის გარდა, როდის განიცადეთ ყველაზე დიდი იმედგაცრუება?**

- "სონი ერიქსონის" ფინალში აზარენკასთან სამარცხვინოდ ვითამაშე და მხოლოდ ოთხი გეიმი მოვიგე. მეტოქე მაგარ ფორმაში იყო, მაგრამ მაინც უკეთ უნდა მეთამაშა. ასევე საშინლად ვითამაშე სათიხნარო სეზონის ტურნირებზეც. ზედიზედ სამჯერ წავაგე პირველ წრეში, "როლან გაროსზეც" ბევრი ვერაფრით გამოვიჩინე თავი. ისე, შემეძლო, კუზნეცოვასთან, რომელიც ჩემპიონი გახდა, მომეგო და იქნებ, ფინალშიც გავსულიყავი, მაგრამ უამრავი შეცდომა დავუშვი. ვეცდები, სეზონის დარჩენილი მატჩებიდან ყველა მოვიგო.

**- ყველა?**

- კი, ნამდვილად. ვიცი, რომ საუკეთესო ვარ და ამას დავამტკიცებ.

# "უილიამსი" 14 გუნდის წინააღმდეგია

"უილიამსი" წინააღმდეგია, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რაოდენობა 14-მდე გაიზარდოს. ასე რომ, "ბეემვე ზაუბერის" ახალ მფლობელებს თავიანთი რიგის ცდა მანამ მოუწევთ, სანამ ახლანდელი გუნდებიდან რომელიმე ჩემპიონატს დატოვებს.

"ჩემპიონატში ყოველთვის 13 გუნდი მონაწილეობდა და შემდეგშიც ასე იქნება. "ზაუბერს" ურჩევნია, პირველი რეზერვის სტატუსზე იზრუნოს. ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა. არალოგიკურია, როცა ერთი რომელიმე გუნდისთვის, ან პიროვნებისთვის წესებს ცვლი", - ამბობს "უილიამსის" შეფი და თანამოწილე, სერ ფრენკ უილიამსი.

მას შემდეგ, რაც "ბეემვემ" მსოფლიო ჩემპიონატის დატოვების შესახებ გამოაცხადა, "ზაუბერმა" დროულად ვერ მოაწერა ხელი თანხმობის ახალ ხელშეკრულებას, რის გამოც, მომავალ ჩემპიონატის მონაწილეთა სიიდან ავტომატურად ამოვარდა. მაგრამ ცოტა ხანში, გუნდის დამაარსებელმა და თანამფლობელმა პეტერ ზაუბერმა ინვესტორი - საინვესტიციო ფონდი "ქადბაკი" მოიზიდა, რომელმაც გუნდის აქციების გამოსყიდვა ითავა. მაგრამ ჩემპიონატის მონაწილეთა სიაში დაკარგული თავისი ადგილი დაკავებული დახვდა - მის ნაცვლად, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) ლეგენდარული "ლოტუსი" დააბრუნა.

პარალელურად, FIA იმაზე ზრუნვასაც შეუდგა, რომ მონაწილეთა სიაში "ზაუბერი" მე-14 გუნდად შეეყვანა. მაგრამ ამას ყველა გუნდის თანხმობა სჭირდება. მანამდე კი შვეიცარული გუნდი პირველი რეზერვის სტატუსით სარგებლობს.

უილიამსი, რომლის გუნდიც ერთ დროს "ბეემვეს" პარტნიორი იყო და მისგან ძრავებს ექსკლუზიურად ღებულობდა, აცხადებს, რომ ჩემპიონატში 14 გუნდისთვის ადგილი არ არის და ამაზე ფედერაციასთან დისკუსიასაც არ აქვს აზრი, რადგან შესაბამის დებულებას თანხმობის ხელშეკრულება განსაზღვრავს და სრს ფედერაციასა და გუნდებს შორის შეთანხმება. თანხმობის ხელშეკრულების თუნდაც ერთი უმნიშვნელო პუნქტის შეცვლას კი უკლებლივ ყველა გუნდის თანხმობა სჭირდება.

"ეს რომ "ფერარი" ყოფილიყო, რომელმაც შუა სეზონში მიატოვა ჩემპიონატი და მერე დაბრუნება გადაწყვიტა, ჩვენ რაიმე გზას გამოვნახავდით წესისთვის გვერდის ასავლელად. მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გუნდთან, რომლის მფლობელთა შესახებაც არაფერი ვიცით. წარმოდგენა არ გვაქვს, რა გეგმები აქვთ მათ. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არიან ისინი და რა გეგმები აქვთ ფორმულა 1-თან დაკავშირებით", - დასძენს უილიამსი.

"მაკლარენის" შეფი მარტინ უიტმარში კი საქმეს სხვა კუთხით უყურებს. ის ფიქრობს, რომ აჩქარება არ ღირს, რადგან ახალი გუნდებიდან რომელიმემ შეიძლება ახალ სეზონამდე ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლოს და მაშინ, "ზაუბერს" ხელს აღარავინ შეუშლის.

"ამ საქმესთან დაკავშირებით, ერთსულოვნება მოსალოდნელი არაა. ჩვენზე ტრომ იყოს დამოკიდებული, "ზაუბერის" დაბრუნებას ხელს არ შევუშლიდით, რადგან ეს გუნდი FOTA-ს (ფორმულა ერთის გუნდების ასოციაცია) მუდმივი წევრია. "ზაუბერის" გამო, მე დავეთანხმებოდი გუნდების რაოდენობის 14-მდე გაზრდას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსოფლიო ჩემპიონატში 14 გუნდი მეტისმეტად ბევრია", - ამბობს უიტმარში.

"ბეემვე ზაუბერის" ახლანდელი შეფი მარიო თაისენი კი აცხადებს, რომ მისი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, მალე გაიგოს, თუ რა ელის, რათა სპონსორების მოზიდვასა და პილოტების აყვანაზე იზრუნოს. "ჯერჯერობით ვიცდით, მაგრამ დრო სულ უფრო ნაკლები გვრჩება. სპონსორებთან და პილოტებთან კონტრაქტებია საჭირო, მანქანა მოსამზადებელია. მოკლედ, ბევრი რამაა გასაკეთებელი, ჩვენ კი ჯერაც გაურკვევლობაში ვართ. არადა, ყოველ დღეს მნიშვნელობა აქვს", - ამბობს დოქტორი თაისენი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**
http://formula1ge.blogspot.com/

## ვან ბომელმა ვარჯიში დაიწყო

ფეხის ტრავმით გამოწვეული ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა მიუნხენის "ბაიერნის" კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა. "ძალიან მიხარია, ისევ თანაგუნდელებთან ერთად რომ ვვარჯიშობ" - აღნიშნა კლუბის ვებგვერდთან საუბარში 32 წლის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა.

## ლიპი ფრეზე არ ითამაშებს

10 ოქტომბერს იტალიის ნაკრები სტუმრად გამართავს მატჩს ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ ორივე ეს გუნდი მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მატჩი მაინც მეტად პრინციპული იქნება. მარჩელო ლიპი ირლანდიაში მოსაგებად მიემგზავრება, რაზეც იტალიელთა თავკაცმა თავად ისაუბრა ჟურნალისტებთან.

"შესარჩევ ტურნირში ეს კვირა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა საუბარი სწორედ იტალიაზე მსურს. საქმე ისაა, რომ დღევანდელ ფეხბურთში დავითისა და გოლიათის დაპირისპირების მსგავსი მდგომარეობა აღარაა. ირლანდიისგან ისეთივე მაღალი დონის თამაშს ველით, როგორიც ამ გუნდმა აქამდე აჩვენა. ჩვენ ქულების აღება და სამხრეთ აფრიკის საგზურის მოპოვება შაბათსავე გვჭირდება. ტრაპატონიმ იცის, გუნდი როგორ მოამზადოს. იოლი გასეირნება არ გველის და ამიტომ, აქცენტი ფრეზე არ უნდა გავაკეთოთ, რადგან შეიძლება დავისაჯოთ" - განაცხადა ლიპიმ, რომლის გუნდსაც მომავალ შეხვედრაში ერთი ქულის აღებაც ჰყოფნის, ჯგუფში პირველი ადგილის შესანარჩუნებლად.

## ბუფონი ფერარას ენდობა

ტურინის "იუვენტუსის" მეკარე ჯიჯი ბუფონი გადამეტებულად მიიჩნევს "იუვეს" კრიზისზე საუბარს და გუნდის მთავარ მწვრნელ ჩირო ფერარას ბოლომდე ენდობა. "ფერარა ჩინებული მწვრთნელია და უახლოს დროში "იუვე" მისი ხელმძღვანელობით ეროვნულ ჩემპიონატში კვლავაც დაიბრუნებს წამყვან პოზიციას. "პალერმოსთან" დასანანი მარცხი განვიცადეთ და დრო გვესაჭიროება, რათა ამ წაგების შემდეგ გონს მოვიდეთ", - ამბობს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე.

## "ჰამბურგი" პეტრიჩის გარეშე დარჩა

"ჰამბურგისა" და ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი მლადენ პეტრიჩი, რომელმაც კვირას ბერლინის "ჰერტასთან" სტუმრად მოგებულ შეხვედრაში კოჭის ტრავმა მიიღო, დაუყოვნებლივ ოპერაციას საჭიროებს, რის შემდეგაც გუნდს პირველი წრის ბოლომდე გამოაკლდება. გერმანულ მედიას ამის თაობაზე ინფორმაცია "ჰამბურგის" ექიმმა ოლივერ დირკმა მიაწოდა. მუხლის ტრავმის გამო თამაშს მომავალ გაზაფხულამდე გამოთიშული პერუელი მეგოლის, პაოლო გერეროს შემდეგ ეს "ჰამბურგისთვის" უკვე მეორე უმძიმესი დანაკლისია.

## დელ პიეროს რჩევა

ტურინის "იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო მიიჩნევს, რომ მისმა გუნდმა სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის დროს ყველა პრობლემა კარგად უნდა გაიაზროს.

"პალერმოსთან მარცხმა კარგად უნდა გაგვააზრებინოს ის, რომ რაღაცას ისე არ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა. ამასთან, ეს ჩვენთვის საწყის წერტილად უნდა იქცეს, რათა კვლავ სწორ კურსს დავადგეთ. ლიდერი 2 ქულით გვისწრებს და ამ ჩამორჩენის ლიკვიდირება რაც შეიძლება მალე უნდა შევძლოთ. სანაკრებო პაუზა დასვენებისა და "ფიორენტინასთან" მომავალი საშინაო მატჩისთვის კარგად მომზადების შესაძლებლობას მოგვცემს", - ამბობს დელ პიერო.

## ევრას ოცნება

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი პატრის ევრა, რომელიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩებისთვის ემზადება, მიიჩნევს, რომ მისი გუნდი, მუნდიალზე ვერ მოხვედრის შემთხვევაში, დაცინვის ობიექტი გახდება.

"ამჟამად სრულად ვარ კონცენტრირებული იმაზე, რომ საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვო. ვფიქრობ, თუ მუნდიალზე ვერ მოვხვდებით, დაცინვის ობიექტად ვიქცევით. გასულ წელს, როდესაც ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატში არ მონაწილეობდა, ალბიონელებს ვუთხარი, რომ შეეძლოთ ჩემგან პულტი ეთხოვათ, რადგან დიდხანს მოუწევდათ ტელევიზორის ყურება. ჰოდა, არ მსურს მათ ამ მხრივ ანგარიშის გათანაბრების შანსი მივცე. ამჟამად ჩემთვის მთავარი ფარერის კუნძულების წარმომადგენლებთან და ავსტრიელებთან მომავალი შეხვედრებია. სატურნირო ცხრილში საუკეთესო პოზიციაზე არ ვიმყოფებით და შესაძლოა, პლეი-ოფის მატჩებში მონაწილეობაც მოგვიწიოს, მაგრამ ჩემი გუნდის იმედი მაქვს. ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს და ამჟამად ურიგოდ არ ვთამაშობთ. კერძოდ, ცუდად არ გვიასპარეზია რუმინელებთან და სერბებთან, თუმცა ამ თამაშებიდან მხოლოდ 2 ქულა მოვიპოვეთ. არ გვაკრიტიკებენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ გუნდს იღბალი აკლია. ეს სიტყვა არასოდეს მიყვარდა, მაგრამ ამჯერად ასეთ მოსაზრებას მეც ვიზიარებ: ნამდვილად არ გვიმართლებს", - განაცხადა ევრამ.



*უსეინ ბოლტი გავლენიანთა შორის მეორე კაცი აღმოჩნდა*

მის საქართველო
2009 MISS GEORGIA




Image CENTRE
SUZUKI Way of Life!
იმიჯ-ცენტრი იწვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009 -ში მონაწილეობის მისაღებად.
გახდი მის საქართველო!
მოიგე მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გაემგზავრეთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსებზე.
მის საქართველო 2009, ფინალური შოუ, ბათუმი 11 ოქტომბერი
დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით:
თბილისი ნიკო ნიკოლაძის №6, ტელ.: 98 51 48, 20 00 20, 855 95 90 25
www.missgeorgia.ge www.imagecentre.ge
kikala studio SELA AXARA Sinéquanone AIRZENA Media group 24 საათი music box ბომონდი

# გავლენიანები 49

*ინტერნეტ გამოცემა AskMen.com წლების განმავლობაში წლის ყველაზე გავლენიან მამაკაცთა ნუსხას ადგენს. ვინ აღარ მოხვედრილა მათ შორის. ამასთან ყველა პროფესიისა თუ გაქანების ადამიანი. ამავე გამოკითხვის შედეგად 2009 წლის ყველაზე გავლენიანთა შორის ვხედავთ შვეიცარიელ ჩოგბურთელსს როჯერ ფედერერს. ევროპელმა გამოკითხვაში მერვე საფეხური დაიკავა. მასზე წინ, ამასთან მეორე საფეხურზე იამაიკელი სპრინტერი უსეინ ბოლტი აღმოჩნდა.*

"შვეიცარიელმა ჩოგბურთის ლეგენდამ როჯერ ფედერერმა 2009 წელს რამდენიმე რეკორდი დაამყარა და იმავდროულად განიმტკიცა ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის რეპუტაცია", - წლეულს მეთხუთმეტე დიდი სლემის და პიტ სამპრასის რეკორდის დამამხობელი შვეიცარიელის კომენტირებისას ვიტყობთ ჟურნალის გვერდიდან.

ნუსხაში კიდევ არაერთი სპორტსმენია შესული. მათ შორის ამერიკელი ჩოგბურთელი ენდი როდიკი, რომელმაც უიმბლდონის ფინალში მეტად დრამატული შეხვედრა სწორედ ფედერერთან დათმო, გამოცემა შემდეგნაირად განმარტავს: "მართალია, უიმბლდონი არ მოუგია, მაგრამ მეტად წარმატებული წელიწადი ჰქონდა. ამასთან მოაგვარა პირადი ცხოვრებაც, როდესაც მოდელ ბრუკლი დეკერზე იქორწინაო".

ხმის მიცემაში, რომელსაც უნდა განესაზღვრა ზე 49 გავლენიანი მამაკაცი, საიტის ნახევარ მილიონზე მეტმა დამთვალიერებელმა მიიღო მონაწილეობა. ნუსხის სათავეში კი ტელესერიალის Mad Men-ის გმირი დონ დრეიპერი (განასახიერებს ჯონ ჰემი). სამეულში შევიდნენ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი იამაიკელი მძლეოსანი უსეინ ბოლტი და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.

ცნობისთვის, 2006 წელს ამავე გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე მსახიობი ჯორჯ ქლუნი გავიდა, 2007 წელს პირველობა ფეხბურთელს დევიდ ბექჰემს დარჩა, ხოლო შარშან ყველაზე გავლენიანად ბარაკ ობამა სცნეს.

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით
სიახლე!
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

040.030.000.37.101.013.595
29.09.2009წ. დადგენილება N26.03.832

22 სექტემბერი 2009 წელი

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული
მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის
რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის
მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის N17.01.580
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის N17.01.580 დადგენილებაში.

დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. ამ მუხლით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურება და მასზე დაწესებული საფასურის განაკვეთები, 1-ლი პუნქტის „გ.ა.” ქვეპუნქტის, „გ.ბ.” და „გ.გ.” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული 3 - დღიანი დაჩქარებული მომსახურებისა და ნებისმიერი კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის გარდა, არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაზე (1-ლი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული 5 და 10 - დღიანი დაჩქარებული მომსახურების გარდა), III და IV კლასების შენობა-ნაგებობებსა და იმ მომსახურებაზე, რომლის განხორციელებაც, კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებას.”

2. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

---

07 ოქტომბერი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრი”
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია შპს “გრინ დეველოპმენტი”-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ივანე მოსაშვილის, ნელი ჭანკვეტაძის და კახაბერ პაიჭაძის მიმართ, სასესხო დავალიანების - 110 525 (ასათი ათას ხუთას ოცდახუთი) აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 16 ოქტომბერს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ “დავების განმხილველი ცენტრში” შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეებისთვის: **ივანე მოსაშვილი**, მცხ. წალენჯიხა, ჯვარი, დადიანის ქ.N22; **ნელი ჭანკვეტაძე**, მცხ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამ. N37 დ; **კახაბერ პაიჭაძე**, მცხ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას V კვარტალი, IV კორპუსი, ბინა 116.

---

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აგრძელებს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღებ კონკურსს.**

**კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2009 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, 10-დან 18 საათამდე (შესვენება 14-დან 15 სთ-მდე)**

**სკოლაში მიღების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

**ა) სერტიფიკატი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;**
**ბ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;**
**გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და ასლი;**
**დ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;**
**ე) ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4);**
**ვ) ავტობიოგრაფია.**
**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. N12**
**ტელ./ფაქსი.: 27-31-09 ტელ.: 27-31-00 შიდა (111, 128, 130)**

---

## განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე 2009 წლის 10 სექტემბერს ჩატარებულ ტენდერში (6 ლოტი) გაიმარჯვეს და ხელშეკრულებები გაფორმდა:

1. შ.პ.ს. “ალგეთი” - ლოტი I, II, III, Vდა VI.
2. შ.პ.ს. “აგარაკმშენი” - ლოტი IV.

**სატენდერო კომისია**

---

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი” DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა”-ს
საარბიტრაჟო პრეტენზია ემზარ ცანავს მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 21 ოქტომბერს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ემზარ ცანავა მცხოვრები მარტვილის რ-ნი, სოფ. სერგეთი.

---

## განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს “სარფი‘‘-ს გაკოტრების მმართველი **შპს `ELITE CONSULTING GROUP„ -ი (წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დირექტორი დიმიტრი ბლიაძე)** აცხადებს აუქციონს შპს “სარფი”-ს სამეურვეო ქონების (აქტივების) რეალიზაციაზე (ბათუმში, ქუთაისის ქუჩა N8-ში მდებარე მდებარე 160 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო N05.01.18.003) და 3200 ლარის ღირებულების ინვენტარის (ძირითადათ ექსპლოატაციისთვის უვარგისი თაროები და დახლები) რეალიზაციაზე (ერთ ლოტად).

აუქციონზე გამოტანილი ლოტის ღირებულებაა **600 000** (ექვასი ათასი) **ლარი**; ბიჯი **- 10 000 (**ათი ათასი) **ლარი**, ბე **- 120 000** (ას ოცი ათასი) **ლარი**.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც 100 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს “პროკრედიტ ბანკი‘‘-ს ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220101901 ანგარიშის ნომერი 360201010301045, საიდ.N. 245384784.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდალური დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2009 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით 10 სთ-დან 13:00 სთ-მდე (ბათუმი, ზღვიპირა პარკი, შპს ჩოგბურთის კლუბი “ბათუმი‘‘-ს ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (პირველ სართულზე).

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 24 ოქტომბერს 13.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი შპს ჩოგბურთის კლუბი “ბათუმი‘‘-ს ყოფილი ადმინისტრაციული შენობა (პირველ სართულზე).

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. საკონტაქტო ტელეფონი: 871 33 17 74. საკონტაქტო პირი დიმიტრი ბლიაძე

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

## განცხადება

2009 წლის 30 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე გაიმართება "საქართველოს რკინიგზის" თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები.
წარმოგიდგენთ საჯარო განხილვების გამართვის განრიგს:

| დრო | მისამართი |
|---|---|
| 30 ნოემბერი, 14:00 საათი | ისანი-სამგორის გამგეობის შენობა (ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14) |
| 1 დეკემბერი, 14:00 საათი | დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის შენობა (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა) |
| 2 დეკემბერი, 14:00 საათი | გლდანი-ნაძალადევის გამგეობის შენობა (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. № 1) |
| 3 დეკემბერი, 11:00 საათი | შპს «საქართველოს რკინიგზა» (ქ. თბილისი, თამარ მეფის ქ. № 15) |

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს თბილისში რკინიგზის ექსპლუატაციის ეფექტურობა და უსაფრთხოება. ასევე ხელი შეუწყოს გამოთავისუფლებული ტერიტორიების ახლებურ გამოყენებას ქალაქის გენერალური გეგმის მიხედვით.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება 14 ოქტომბრიდან შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური;
- ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 – ორჰუსის ცენტრი საქართველოში;
- ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი, 14 – ისანი-სამგორის გამგეობა;
- ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის, 140ა – დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა;
- ქ. თბილისი, სარაჯიშვილის, 1 – გლდანი- ნაძალადევის გამგეობა;
- ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი, 15 – საქართველოს რკინიგზა.

ანაგარიშის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

- http://aarhus.dsl.ge
- http://www.cenn.org
- http://www.cenn.org/wssl/index.php

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ წერილობითი კომენტარების გამოგზავნა შესაძლებელია ა. წ. 23 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე:
შპს "საქართველოს რკინიგზა", თამარ მეფის გამზირი, 15. თბილისი - 0112, საქართველო

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:
შპს "საქართველოს რკინიგზა", სტრატეგიული პროექტებისა და განვითარების დეპარტამენტი, **ცხელი ხაზი: ტელ: (+995 32) 56 54 90**
**(+995 32) 56 48 57**
info@railway.ge

---

**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") აცხადებს ღია კონკურსს ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული საკანალიზაციო კოლექტორის რეკონსტრუქციაზე (სიგრძე 57მ).**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 - 18:00 სთ-მდე.

განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 16 ოქტომბერი.
საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143
**ელ-ფოსტა:** ekvintradze@georgianwater.com; zmamatsashvili@georgianwater.com;

**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი") აცხადებს ღია კონკურსს ქალქა თბილისში ისანი-სამგორის რაიონში, კაიროს ქუჩის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციაზე.**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" შესყიდვების განყოფილებაში, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 09:00 - 18:00 სთ-მდე.

განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 19 ოქტომბერი.
საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143
**ელ-ფოსტა:** ekvintradze@georgianwater.com; zmamatsashvili@georgianwater.com;

---

## ქალაქ თბილისის მერი

**29.09.2009წ.**
**010.260.030.38.101.013.596**
**ბრძანება N44**

**22 სექტემბერი 2009წ.**

"ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში დამატებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილებები "ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის დებულებაში (დანართი 1):
ა) დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ა1, ა2 და ა3 ქვეპუნქტები:
"ა1.) უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების დაკვეთა;
ა2) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან/და მის მართვას დაქვემდებარებული იურიდიული პირების საკუთრებაში (კაპიტალში) არსებული ან საკუთრებაში მისაღები ქონების ღირებულებითი შეფასების სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი ღირებულებითი შეფასების დაკვეთა;
ა3) ქ. თბილისის მთავრობისათვის, გარკვეული პერიოდულობით, დასამტკიცებლად ანგარიშის წარდგენა, ჩატარებული აზომვითი სამუშაოებისა და ქონების ღირებულებითი შეფასების შესახებ."
ბ) დებულების 5-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "დ" და "ე" ქვეპუნქტები:
"დ) უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოების დაკვეთის უზრუნველყოფა;
ე) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან/და მის მართვას დაქვემდებარებული იურიდიული პირების საკუთრებაში (კაპიტალში) არსებული ან საკუთრებაში მისაღები ქონების ღირებულებითი შეფასების სამუშაოების შესრულების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათი ღირებულებითი შეფასების დაკვეთის უზრუნველყოფა."
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გიორგი უგულავა**

---

## იყიდება!

**მოქმედი მრავალფრაქციული "დრაბილკა",**
**ლიცენზირებული კარიერით**
**80 000 კბ. მ-ზე**
**ტექნიკასთან ერთად:**

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "TO-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

**ფასი შეთანხმებით**

**საკონტაქტო ტელეფონი:**
897 56 20 60

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს, ქალაქ ქუთაისში **მოსახლეობის, ფიზიკური და იურიდიული პირების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფისა და ქუჩების დასუფთავების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: **ქალაქ-მუზეუმის, საფიჩხიის, 'ელქვიანის, ნიკეას, უქიმერიონის, კახიანოურის, სულხან-საბას, გამარჯვების, ვაკისუბნის, მუხნარის, გუმათისჯ** და **ავტოქარხნის მართვის ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიებზე მოსახლეობის, ფიზიკური და იურიდიული პირების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფისა და ქუჩების დასუფთავების** მომსახურების შესყიდვა.

**სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).**

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2009-2016 წლების ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდ წლიან პერიოდს.

**მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად **(დედანი და ასლი)**, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 28 ოქტომბერს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1. იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მინაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**5.2. ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

**5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის**:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება(ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგი მინაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | მიწოდების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ვ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ზ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

თ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

**შენიშვნა:**

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

| | გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება | შესრულების წელი და ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| | **და ა.შ** | | | |

**ბ)** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

**გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც**

**ი) ტენდერში მონაწილის პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს საბაზისო მონაცენების 9.1 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს.**

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

6'. აღნიშნულ შესყიდვაში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ფასის 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით), შესაბამისი საბანკო გარანტიების /ან სადაზღვევო გარანტიების წარმოდგენით

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 08 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქიაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; 4-01-64. ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## **შპს "ბარამბო"** აცხადებს **კონკურსს სადისტრიბუციო კომპანიების შესარჩევად** მის მიერ ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციისთვის.

შპს "ბარამბო" (შემდგომში "კომპანია") არის ახლადშექმნილი კომპანია, რომელიც აშენებს საკონდიტრო ქარხანას მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში, სადაც გათვალისწინებულია შოკოლადის და კარამელის ნაწარმის გამოშვება. მშენებლობის და ყველა სახის სამონტაჟო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერში, ხოლო დეკემბრის ბოლოდან დაიწყება პროდუქციის საცალო სავაჭრო ქსელში განთავსება და რეალიზაციის დაწყება.

დისტრიბუციის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორია დაყოფილი გვაქვს 11 ზონად, შესაბამისად დისტრიბუტორობის მაძიებელ ერთ და იგივე კომპანიას შეუძლია წარადგინოს განაცხადი მხოლოდ ერთ ზონაზე:

1. თბილისის მარცხენა მხარე
2. თბილისის მარჯვენა მხარე
3. კახეთი: მთლიანად კახეთის რეგიონი საგარეჯოს რაიონის გარდა.
4. ქვემო ქართლი: მთლიანად ქვემო ქართლი საგარეჯოს რაიონის დამატებით
5. მცხეთა-თიანეთი და შიდა ქართლი (გორის რ-ნი, კასპის რ-ნი)
6. ჭიათურის რ-ნი, ხაშურის რაიონი, ქარელის რაიონი, საჩხერის რ-ნი, ბორჯომის რაიონი
7. სამცხე-ჯავახეთი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ბორჯომის რაიონის გამოკლებით
8. იმერეთი: იმერეთის რეგიონი საჩხერის და ჭიათურის გამოკლებით. რაჭა-ლეჩხუმი: მთლიანად რეგიონი
9. სამეგრელო: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი ფოთის გარდა.
10. ფოთი-გურია: ქ. ფოთი, გურიის რეგიონი.
11. აჭარა: მთლიანად აჭარის რეგიონი.

მაძიებელმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი "ბარამბო"-ს ნაწარმის დისტრუბუციის სურვილის თაობაზე, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელ რეგიონში აქვს მაძიებელს დისტრიბუციის სურვილი.

განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს **მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე** შემდეგ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი, შპს "ბარამბო".

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე +(995 99) 265105 , ან ელექტრონული ფოსტით: davit.kukhalashvili@barambo.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქუჩა N1 აცხადებს ტენდერს ომპიუტერული და ორგტექნი ის შესასყიდად (დაფინანსების წყარო - სა უთარი შემოსავლები) და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად, ერძოდ:

**ლოტი N1**

- 55 ცალი პერსონალური ომპიუტერი

PROCESSOR:
CPU: Dual-Core from - 2.5 Ghz/1MB/800Mhz/LGA775
M/B: LGA775 <G31>PCI-E+SVGA+LAN SATA Micro ATX 2xDDR2< from - PC-5300>
DDR-II DIMM 1Gb <from - PC-5300>
HDD 160 Gb (or any copatible) SATA-II 300 7200rpm, 8Mb
Cooler Silent
Sound on Board
Video 256Mb on Board
Keybaord <PS/2> 104keys + Mutlimedia 17 Keys
Optical Mouse 2Button+Roll USB&PS/2
Power Block - 400W ATX
DVD-R/RW & CD-R/RW <Black> SATA

MONITOR:
17” Monitor LCD, 1280x1024, from 2ms to 5ms, VGA

SPEAKER:
2x1W

**ლოტი N2**
- 60 ცალი უწყვეტი ვების წყარო
UPS:
Ups from - 600VA
**ლოტი N3**
- 70 ცალი პრინტერ-ს ანერ-ქსეროქსი
ALL IN ONE:
Print technology: Monochrome Laser
Print speed A4 black: Up to 19 ppm. First page out black: < 7 sec (min). Warm-up time: less than 13 sec. Exact speed varies depending on the
system configuration, software program, and document complexity.
Processor: from - 230 MHz.
Memory 32 MB or higher (internal fixed)
Print Quality HP Resolution Enhancement (REt) and FastRes 1200 technology
Resolution A4 black: Up to 600 x 600 dpi (1200 dpi effective output)
Printer languages Host-based
Economical printing Economode print quality settings prints text with less toner. N-up printing (saves paper), Typefaces/fonts None (Host-based)
Duty cycle (monthly, A4) Up to 5000 pages
Print margins approximately - (mm) Top: 4 mm. Left: 4 mm. Right: 4 mm. Bottom: 4 mm
Scan Type Flatbed. Colour scanning: Yes
Scan resolution Optical: Up to 1200 dpi. Enhanced: Up to 19200 dpi Bit depth 24-bit
Grey scale levels 256
Twain version TWAIN compatible Version 1.9
Copy Copy speed Black: Up to 14 cpm
Copy resolution Up to 600 x 600 dpi
Multiple copies Up to 99
Reduce/enlarge 25 to 400%
Media handling Input: Capacity Weight Size
Tray 1 sheets: (min) - 250, envelopes:10, transparencies: 100
60 to 163 g/m A4, A5, A6, B5, postcards, envelopes (B5, C5, DL), 76 x 127 to 216 x 356 mm
Tray 2 - sheets: (min) - 10, envelopes:10, 42 to 260 g/m A4, A5, A6, B5, postcards, envelopes (B5, C5, DL), 76 x 127 to 216 x 356 mm
Output: Sheets: Up to 125. Envelopes: Up to 10. Transparencies: Up to 65
Duplex printing: Manual (driver support provided)
Media types Paper (plain, laser), envelopes, transparencies, labels, cardstock, postcards
Interface and connectivity: Hi-Speed USB (compatible with USB 2.0 specifications); 10/100Base-T Ethernet network port, Hi-Speed USB (compatible with USB 2.0 specifications)
Memory card compatibility None
Operating systems compatibility Microsoft® Windows® 2000, Server 2003, XP Home, XP Professional, XP Professional x64; Certified for Windows Vista®; Linux.

**ლოტი N4**

- 25 ცალი ს ანერი

SCANNER:
Scanner type: Sheetfed
Scan resolution, optical - Up to 600 dpi
Daily duty cycle: Up to 500 pages per day
Bit depth: 48-bit
Levels of grayscale: 256
Automatic document feeder capacity (min): Standard, 50 sheets
Automatic document feeder speed (min): Up to 18 ppm/36 ipm
Minimum Task speed OCR 8.5 x 11-in page to PageManager: less than 25 sec; OCR 8.5 x 11/A4-size page to file: less than 23 sec; OCR business card to file: less than 22 sec
Scan size, maximum (ADF): 8.5 x 14 in
Media types: Paper (plain, inkjet), envelopes, labels, checks, cards (business)
Scan file formats: PDF, JPEG, TXT, UNICODE, RTF, HTM, DOC, WPD, XML, XLS, OPF, JPG, TIF, G3, G4, uncompressed or JPEG, PNG (TXT, HTM WPD, OPF not applicable for Asian languages)
Button functions (maximum): 6 front-panel buttons (Cancel, Copy, Scan business card, Scan document, Scan to PDF, Scanner tools)
Operating temperature range: 50 to 95° F
Connectivity, standard 1 Hi-Speed USB 2.0
Compatible Operating Systems - Certified for Windows Vista(R); Windows XP Home; Windows XP Professional; Windows XP Professional x64; Windows XP Media Center; Windows 2000
Power consumption: 35 watts maximum

ტენდერის შედეგად თვითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშე რულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა და მიწოდების ადგილი: ხელშე რულების დადებიდან 5 დღის განმავლობაში გამარჯვებულ პრეტენდენტი უზრუნველყოფს 15 ცალი პერსონალური ომპიუტერის, 15 ცალი უწყვეტი ვების წყაროს, 15 ცალი პრინტერ-ქსეროქს-ს ანერის და 10 ცალი ს ანერის მოწოდებას, ხოლო დარჩენილი საქონლის მიწოდებას ხელშე რულების დადებიდან 14 დღეში. ქ. თბილისი ქეთევან წამებულის ქუჩა N1.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დო უმენტაციის გაცნობა და მიღება ქართულ ენაზე შეუძლიათ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან სა ვალიფი აციო მონაცემების და სატენდერო დო უმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე, მისამართზე: ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302.

სატენდერო დო უმენტაცია გაიცემა მხოლოდ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსა რებლის გადახდის შემდეგ.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო მოსა რეებლი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბან ის ოდი 220 101 222 ანგარიშის ნომერზე N200122900, სახაზინო ოდი 302004000 იუსტიციის სამინისტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილებოსათვის.

4. სა ვალიფი აციო მონაცემების დამადასტურებელი დო უმენტაციის და სატენდერო წინადადების მიღების ვადაა 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის 17:00 საათამდე.

5. სა ვალიფი აციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორამციას.

5.1. **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლი ვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გა ოტრება ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობას რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2. **ფიზი ური პირისათვის:**

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გა ოტრების საქმე.

ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

5.3 **როგორც ფიზი ური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბან ო რე ვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

იურიდიული და ფიზი ური პირი ვერ გაივლის სა ვალიფი აციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5.4 მე- 5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

როგორც ფიზი ური ასევე იურიდიული პირებისათვის სავალდებულოა სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბან ო გარანტიის წარმოდგენა. სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბან ო გარანტია, სა ვალიფი აციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, დახურულ ონვერტში ორ ეგზემპლარად. (ერთი დედანის და ერთი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება ორ ონვერტად.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშე რულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სახელშე რულებო თანხის 2 % -ის ოდენობის საბან ო გარანტია.

სუბ ონტრაქტორთა მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბ ონტრაქტორთა სა ვალიფი აციო მონაცემები.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზი ურმა და იურიდიულმა პირებმა სა ვალიფი აციო მონაცემების დამადასტურებელი დო უმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ტენდერის შედეგად თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშე რულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსა რებლის გადახდამდე დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შემდეგი პირებისაგან ვლადიმერ ღუდუშაური, ლევან ბაიდოშვილი ტელეფონი: 74-92-61, მისამართზე ქეთევან წამებულის ქუჩა N1, მესამე სართული ოთახი N302

**სატენდერო კომისია**

## სსიპ "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 4 წლის ვადით, ხოლო მედიცინის მიმართულებით 6 წლის ვადით, აკადემიური თანამდებობების (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №311, ტელ.: 7 15 37;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №40, ტელ.: 7 17 97;
3. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლამცოდნეობის. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №524, ტელ.: 7 64 58;
4. ჯანდაცვის. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №113, ტელ.: 7 27 01;
5. განათლების. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №105, ტელ.:7 23 75;

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

**Dდეტალური ინფორმაცია ვაკანსიების და კონკურსთან დაკავშირებით სხვა საკითხებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.**

**I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2009 წლის 09 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით,** ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 10.00 საათიდან 15.00 საათამდე. **კონკურსი ჩატარდება 2010 წლის 08 იანვრიდან 20 იანვრამდე, ხოლო შედეგები გამოქვეყნდება** არაუგვიანეს **2010 წლის 22 იანვრისა,** შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge.

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2010 წლის 22 თებერვლიდან;**

**II. საკონკურსო პირობები**

2.1.კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

2.2.კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2ც ფოტოსურათი, 3X4.

2.3.სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე დონეზე;

ბ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი - ძირითადი კურსის სილაბუსით;

გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

2.4. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:

ა) სამოტივაციო წერილი.

**III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა**

3.1.კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.

3.2.პირი, რომელიც მუშაობს სხვა დაწესებულებაში (სრული საშტატო ერთეული), მოცემულ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში (გარდა კლინიკური დარგებისა) ვალდებული იქნება არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს ან გადავიდეს ნახევარ საშტატო ერთეულზე 2010 წლის 22 თებერვლიდან.

**IV. კონკურსის ჩატარების წესი**

4.1. კონკურსი ჩატარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 24 ივნისის #60 დადგენილებით დამტკიცებული **"შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის** შესაბამისად, რომელსაც კონკურსანტი გაეცნობა საპროცედურო კომისიებში და რსუ-ს ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:

ა) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

გ) სასწავლო პროცესისა და კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სასწავლო და სამეცნიერო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და დარგობრივი აკადემიების წევრობა;

ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა;

ვ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო/ სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) დისერტაციის ოპონირება (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) წიგნების (კრებულების,/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ი) თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება და განვითარება: ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა; კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ტრენინგების გავლა; საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტის წევრობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

კ) სახელმწიფო და სამეცნიერო პრემიები, სტიპენდიები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ლ) სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდოები;

მ) პატენტი (საავტორო მოწმობა);

ნ)საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

4.3.აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად გათვალისწინებული იქნება აგრეთვე პირის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ - ჩვევები, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან.

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

---

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ფარი მამედოვას, ვიდადი მამედოვის და აკიფ მამედოვის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 20 ოქტომბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ფარი მამედოვა მცხოვრები გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალარი, ვიდადი მამედოვი მცხოვრები გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალარი, აკიფ მამედოვი მცხოვრები გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალარი.

---

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის N177 საჯარო სკოლა (მის. ქ. თბილისი, გლდანი მე-5 მ/რ) აცხადებს კონკურსს 98,5 კვმ. ფართის (II სართ. დერეფანი) დღის მეორე ნახევარში (16-18 სთ.) ქორეოგრაფიული წრის ფუნქციონირებისთვის იჯარით გაცემის შესახებ.

ტელ.: 571685; 682745.

ელ. ფოსტა: tbilisi-177school@yahoo.com

**საკონკურსო კომისია**

---

## სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა მეცნიერთათვის - 2010 წელს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად

კონკურსის მიზანია იმ ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მაგისტრატურასა ან დოქტორანტურაში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების განხრით, და გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით. . . . . . . . . . . . . . . . . .

საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, სტიპენდია გაიცემა ერთი წლის განმავლობაში. სტიპენდიის ოდენობაა თვეში 300 ლარი.

**კონკურსანტისადმი წაყენებული მოთხოვნები:**

ა) უნდა იყოს 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე;

ბ) უნდა იყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მაგისტრანტი ან დოქტორანტი;

გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთი ნაშრომისა მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალში, ქართველოლოგიური, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების განხრით.

დეტალურ ინფორმაციას კონკურსის პირობებისა და ფონდში წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ იხილავთ რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე www.rustaveli.ogr.ge

**საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2009 წლის 1 დეკემბრის 18:00 საათამდე.** მიღება წარმოებს სამუშაო დღეებში.

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2010 წლის იანვარში.**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი), ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის „ 68, II სართული,

ტელ: 95 33 21; ელფოსტა: info@rustaveli.org.ge

**სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) აცხადებს კონკურსს მეცნიერთათვის - 2010 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად**

კონკურსის მიზანია იმ მეცნიერთა (მეცნიერებათა დოქტორები ან/და მათთან გათანაბრებული პირები) წახალისება, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითსა ან/და აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების განხრით, და გამოირჩევიან აქტიური და წარმატებული სამეცნიერო საქმიანობით. . . . . . . . . . . . . . . .

საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, სტიპენდია გაიცემა ერთი წლის განმავლობაში. სტიპენდიის ოდენობაა თვეში 500 ლარი.

**კონკურსანტისადმი წაყენებული მოთხოვნები:**

ა) უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
ბ) უნდა იყოს მეცნიერებათა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი;
გ) უნდა იყოს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ან/და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი;
დ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი ნაშრომი მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების განხრით.

დეტალურ ინფორმაციას კონკურსის პრობებისა და ფონდში წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ იხილავთ რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე www.rustaveli.ogr.ge

**საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2009 წლის 4 დეკემბრის 18:00 საათამდე.** მიღება წარმოებს სამუშაო დღეებში.

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2010 წლის იანვარში.**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სსიპ - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი), ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის „ 68, II სართული,
ტელ: 95 33 21; ელფოსტა: info@rustaveli.org.ge

## შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**1. აუქციონის საგანი:**

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში: "კორპორაცია") აცხადებს აუქციონს (ნავთობის ლამის) - ნედლი ნავთობის თხევადი და მყარი ნარჩენების (შემდგომში: საქონელი) 220 მეტრიკული ტონა ±25% გაყიდვასთან დაკავშირებით და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. ხარისხი:**

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" პოტენციურ მყიდველს სთავაზობს (ნავთობის ლამს) - საქონელს შემდეგი დაახლოებითი მახასიათებლებით:

ა) ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარი N2/1:

სიმკვრივე 200 C -ზე - 0,945 გრ/სმ3;
წყლის მაქსიმალური წონითი შემცველობა - 58.58%.
ნახშირწყალბადები - 13.55%.
ლამი - 27.96%.

ბ) სოფელ გამარჯვებაში, თელეთის უბნის ტერიტორიაზე მდებარე N2 რეზერვუარი:

სიმკვრივე 200 C -ზე - 0,925 გრ/სმ3;
წყლის მაქსიმალური წონითი შემცველობა - 13.8%.
ლამი - 86.2%.
ლამში მექანიკური მინარევები - 4.9%, ასპალტენ-ფისების ნაერთები და ნახშირწყალბადები 71.3%

**3. მიწოდების პირობები:**

a) 145 ტონა ±25% საქონლის მიწოდება "კორპორაციის" მიერ განხორციელდება სოფელ სართიჭალაში მდებარე ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარი N2/1-დან. (აუქციონში გამარჯვებული უზრუნველყოფს მიწოდების ადგილიდან საქონლის ავტოცისტერნებში ჩატვირთვას და მის გატანას).

ბ) 75 ტონა ±25% საქონლის გატანა მოხდება აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ სოფელ გამარჯვებაში, თელეთის უბნის ტერიტორიაზე მდებარე N2 რეზერვუარიდან. (აუქციონში გამარჯვებული უზრუნველყოფს საქონლის რეზერვუარიდან გადმოტვირთვას, მისი ავტოცისტერნებში ჩატვირთვას და გატანას).

**4. აუქციონში მონაწილეობის პირობები:**

ა) **აუქციონი ჩატარდება არანაკლებ ორი სუბიექტის მონაწილეობის შემთხვევაში**;

ბ) ერთ მეტრიკულ ტონა სარეალიზაციო საქონელზე აუქციონის მონაწილეებს შორის ვაჭრობა გაიმართება კორპორაციის მიერ წარმოდგენილი საწყისი ფასის 85 ლარის (დღგ-ს გარეშე) მიმართ სავაჭრო 5 ლარის ბიჯით გაზრდით.

გ) აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია აუქციონში მონაწილეობის განაცხადის შეტანამდე შეიძინოს აუქციონში მონაწილეობის ბილეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 50 ლარს და რომლის საფასურიც გადახდილ უნდა იქნეს კორპორაციის საბანკო ანგარიშზე.

დ) აუქციონში მონაწილეობის მსურველმა სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად უნდა წარადგინოს კორპორაციის საბანკო ანგარიშზე "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი. "ბე"-ს ოდენობა შეადგენს 5610 (ხუთიათასექვსასათი) ლარს. გადახდილი "ბე" აუქციონში გამარჯვებულს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. აუქციონში გამარჯვებულთან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს აუქციონში, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი "ბე"-ს ოდენობა.

ე) იმ შემთხვევაში თუ აუქციონში მონაწილეობს ერთი სუბიექტი, რაც განაპირობებს აუქციონის არშემდგარად გამოცხადებას, მონაწილეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში უბრუნდება კორპორაციის ანგარიშზე ჩარიცხული "ბე"-ს თანხა.

ვ) აუქციონში მონაწილეებს "ბე" არ დაუბრუნდებათ თუ აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, რის შედეგადაც შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ;

ზ) აუქციონში გამარჯვებულს "ბე" არ დაუბრუნდება თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე ან აუქციონის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში არ გააფორმებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.

თ) აუქციონში მონაწილეებს "ბე" არ დაუბრუნდებათ თუ აუქციონში მონაწილე (გამარჯვების მიუხედავად), უარს იტყვის აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე.

ი) იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული უარს იტყვის აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე ან აუქციონის დასრულებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში არ მოაწერს ხელს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, სააუქციონო კომისია უფლებამოსილია საქონლის შესყიდვა შესთავაზოს იმ მონაწილეს, რომელმაც გამარჯვებულის შემდეგ ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. თუ ეს უკანასკნელიც იტყვის უარს, მის მიერ დაფიქსირებული ფასით საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერაზე მაშინ მასაც არ დაუბრუნდება შეტანილი "ბე" (იგივე პირობა ვრცელდება ყველა მომდევნო მონაწილეზე).

კ) ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხდეს აუქციონში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან 3 კალენდარულ დღის განმავლობაში.

ლ) აუქციონში მონაწილე ყველა სუბიექტი ვალდებულია აუქციონის დასრულების შემდეგ ხელი მოაწეროს ოქმს.

**5. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

ა) აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება აუქციონში მონაწილე, რომელიც ერთი მეტრიკული ტონა საქონლის ყიდვისათვის კორპორაციას შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტ ფასს.

ბ) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სრულად გაიტანოს სოფელ სართიჭალაში მდებარე ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარი N2/1-დან და სოფელ გამარჯვებაში არსებული თელეთის ტერიტორიაზე მდებარე N2 რეზერვუარიდან არსებული საქონელი.

**6. განაცხადის წარმოდგენის და აუქციონის ჩატარების ვადები:**

ა) აუქციონში მონაწილეობის მსურველმა 2009 წლის 12 ოქტომბრის 15.00 საათამდე აუქციონის პირობებზე თანხმობის და მონაწილეობაზე განაცხადთან ერთად კორპორაციაში უნდა წარმოადგინოს მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, კორპორაციის საბანკო ანგარიშზე "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი და მე-7 პუნქტში მითითებული ინფორმაცია.

ბ) მსურველებმა განაცხადი აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". ტელ: 24 40 40.

გ) აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 12 ოქტომბერს 16.00 საათზე, შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21).

**7. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

ბ) აუქციონში მონაწილე კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდება, რეგისტრაციის მოწმობა) თითო ასლი.

გ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას იმოქმედოს აუქციონში მონაწილის სახელით. მინდობილობაში უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის პირადობის მოწმობის ან საპასპორტო მონაცემები. თუ აუქციონში მონაწილე კომპანიას წარმოადგენს დირექტორი, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) აუქციონში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, საკონტაქტო მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.

**8. აუქციონში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ზოგადი პირობები:**

ა) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კალენდარულ დღეში წინასწარ გადაიხადოს, საქონლის საშუალო სარეალიზაციო რაოდენობის - 220 მეტრიკული ტონის ღირებულების 125%, რაშიც გათვალისწინებული იქნება წინასწარ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა.

ბ) აუქციონში გამარჯვებულმა საქონლის გატანა უნდა განახორციელოს საქონლის ღირებულების გადახდიდან 5 კალენდარულ დღეში.

გ) საქონლის მთლიანი ღირებულება დაანგარიშებული იქნება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ოდენობიდან.

დ) ზედმეტად გადახდილი თანხა გამარჯვებულს დაუბრუნდება საქონლის გატანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

**9. სხვა პირობები:**

ა) აუქციონის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე - www.gogc.ge.

ბ) ტიპიური ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას", შემდეგ მისამართზე:

საქართველო,
ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი 21.
საკონტაქტო პირი - დავით ვაშაკიძე
ტელ: +995 (32) 244040 EXT. (146)
ფაქსი: +995 (32) 244041

**კორპორაციის საბანკო რეკვიზიტები:**

ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: 220 101 502
მიმღები: შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
საიდ. კოდი: 206 237 491
ანგარიშის ნომერი: 145 770 000

### შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ცვლილება “ უნიფორმის” შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში

2009 წლის 24 სექტემბერს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ “უნიფორმის” შესყიდვის მიზნით, გაზეთ “24 საათში” (N207) გამოცხადებული ტენდერის მეოთხე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად ერთი დალუქული კონვერტით (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 15 ოქტომბერს 15:00 საათამდე, მისამართზე: თბილისი, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, კახეთის გზატკეცილი N38. საკვალიფიკაციო მონაცემის კონვერტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 15 ოქტომბერს 15:00 საათზე.

### სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად

სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს 2009 წლიდან 4 წლის ვადით შემდეგ თანამდებობებზე

**ისტორიის განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;

**არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელის 1 საშტატო ერთეული;

**ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელის 1 საშტატო ერთეული;

**ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელის 1 საშტატო ერთეული;

**ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა განყოფილება**

1. განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელის 1 საშტატო ერთეული;

**განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2009 წლის 2 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით,** ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

**სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ღია კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 5 დეკემბერს.**

შედეგები გამოქვეყნდება კონკურსის ჩატარებიდან მესამე დღეს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.nbi.ge

**საკონკურსო პირობები:**

**კონკურსის ძირითადი პირობებია:**

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის მუშაობის სტაჟი.

**კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტები:**

ა. განცხადება საშტატო ერთეულის მითითებით.

ბ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

გ. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV) მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები.

დ. შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომას ასლი.

ე. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიები, სტატიები) ჩამონათვალი.

ვ. ერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს (კვლევის უნარს).

ზ. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითრების სტრატეგიული ხედვა (მკაფიოდ გამოყოფილი საკვლევი პრობლემები, კვლევის მიმართულებები და კონკრეტული ამოცანები, დაგეგმილი ამოცანების განხორციელების გზები, საჭირო რესურსები, რესურსების მოძიების გზები, მოსალოდნელი შედეგები და მისი ასახვა) რაც კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში მისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველი იქნება.

თ. სამეცნიერო გრანტებისა და საერთაშორისო თემატიკაში მონაწილეობის ჩამონათვალი.

ი. პატენტები.

კ. მონაწილეობა სიმპოზიუმებში, კონფერენციებში.

ლ. კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

**IV. კონკურსის ჩატარების წესი**

4.1. კონკურსი ჩატარდება სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულების შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

**ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექცია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობის (სერვისი სათადარიგო ნაწილების მიწოდებით) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა ჩარიცხონ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, **რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900**, გადახდის დოკუმენტში უნდა მიეთითოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის **ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის (სერვისი) შესყიდვაზე** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შედეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. №72; მე-2 სართული, რის შემდეგაც პრეტენდენტებს გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა პრეტედენტებს 2009 წლის 8 სექტემბრიდან 2009 წლის 29 სექტემბრის 18 საათამდე.

1. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი № | მომსახურების დასახელება (ავტომანქანის მარკის მიხედვით) | განზომილება | რაოდენობა | მომსახურების მიწოდების ადგილი | მომსახურების მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | „შკოდა ოქტავია" (გამოშვების თარიღი 2007 წ.) | ერთეული | 14 | თბილისი | მომსახურების მიწოდების ვადაა 2009 წლის 10 ნოემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. |
| 2 | „მერსედეს ბენცი"-ს მარკის ავტობუსი (გამოშვების თარიღი 1999-2000 წ.) | ერთეული | 2 | ბათუმი | |

2. მომსახურების მიწოდების ვადაა 2009 წლის 10 ნოემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.
3. გადახდის გრაფიკი და პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში;
4. ქ. თბილისში (მომსახურების მიწოდების ადგილად) მითითებულ ლოტებზე, ტექმომსახურება, უნდა განხორციელდეს საჭიროებისას, არანაკლებ 5 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ერთდროულად;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 30 ოქტომბერს 14:00 საათიდან 17:00 სათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 30 ოქტომბერს 17:00 საათზე, შემდეგ** მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72.
6. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას (თანდართული დოკუმენტებს) თან უნდა დაერთოს მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის შესახებ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1** **იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:**

7.1.1 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

7.1.2 ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

7.1.3 ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

**7.2** **ფიზიკური პირებისათვის:**

7.2.1 პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7.2.2 სასამართლოდან ცნობა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

**7.3** **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

7.3.1 ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, პრეტედენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტედენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7.3.2 ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ - საგადასახადო ინსპექციიდან;

7.3.3 ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ – მომსახურე ბანკიდან;

7.3.4 ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან;

8. წარმოდგენილ უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდება წარმომდგენ პრეტედენტებს.
10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
12. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
13. დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %- ის ოდენობით.**
15. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას; ხოლო სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაა წარმოდგენიდან არანაკლებ 30 დღე.
16. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;
17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
18. **გოჩა ფიფია 877 57 57 80; ზვიად მანჯგალაძე 877 98 70 03;**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს მცენარეების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია - 210 000 ცალი ვიოლა-პენსი "მამონტი" (Mammoth).

*შენიშვნა: შესყიდვის ობიქტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ პირობაში.*

**2**. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - არა უგვიანეს 2009 წლის 25 ნოემბრამდე. მიწოდების ადგილი - შემსყიდველის მიერ მითითებული ტერიტორია, ქ. თბილისის ფარგლებში.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 8 ოქტომბრიდან ამავე წლის 28 ოქტომბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, მცენარეების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 28 ოქტომბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.
***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.
**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).
**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

---

**შეზღუდული პასუხისმგებლობა □ საქმეორეული□ -ს**

**პარტნიორთა 2009 წლის 07 ოქტომბრის 5 კრების გადაწყვეტილებით ხორციელდება ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 6 კვარტ. კორპ. 18, ბ. 98.**

**ან დარეკეთ 858 462571.**

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №158 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია განმეორებით აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **ფ/პ ნინო ბურჯანაძის (სნ 105074909 პნ 01026000650)** კუთვნილი ქონება, მდებარე: დაბა წყნეთი, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია (ნაკვ. 109/018). კერძოდ:

<table>
<tr><th>№</th><th colspan="2">დასახელება</th><th>ზომის ერთეული</th><th>რაოდენობა</th><th>ერთეულის ღირებულება (ლარი)</th><th>მთლიანი ღირებულება (ლარი)</th></tr>
<tr><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">შენობა-ნაგებობები</td><td>№4,8 (კოტეჯი №2)</td><td>კვ.მ</td><td>571</td><td rowspan="3"></td><td rowspan="3">1 351 529</td></tr>
<tr><td>№6 (ავტოფარეხი)</td><td>კვ.მ</td><td>39</td></tr>
<tr><td>№1 №2, №3, №5, №7</td><td>კვ.მ</td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td>და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი № 01.20.01.109.018)</td><td></td><td>კვ.მ</td><td>31696</td><td>320</td><td>10 142 720</td></tr>
<tr><td></td><td>სულ ჯამი:</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>11 494 249</td></tr>
</table>

შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***ქონების საწყისი ფასი შეადგენს 5 747 124.5 ლარს (ხუთი მილიონ შვიდასორმოცდაშვიდი ათას ასოცდაოთხ ლარს და ორმოცდაათ თეთრს).***
***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 21 ოქტომბრის დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ№16, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც უფლება აქვთ ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%,** რომლის შეძენასაც აპირებს, რაც, გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ჩამორთმეულ ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.
ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 21 ოქტომბრამდე დაგვიკავშირდნენ, *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში,* ტელეფონზე 26-11-51, 26-11-54.